

მემაქვილჩაოხითი სამარტალ

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2023, № 12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2023, № 12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2023, № 12

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2023, № 12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. ანდერძის ფორმა
შინაურული ანდერძის ნამდვილობა 4
2. სამკვიდროს მიღება
სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით 13; 27; 46
სამკვიდროს მიღების ვადა 55; 68
სამკვიდროს მიღებაზე შედავების ვადა 81
3. სამკვიდროს გაყოფა
მემკვიდრის ადგილსამყოფელის დადგენის მოვალეობა 96
4. კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ
მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე 103
კრედიტორების მოთხოვნის წარდგენის ვადა 121; 132; 141
5. სამკვიდრო მონაწილეობა
სამკვიდრო მონაწილეობის გაცემის კანონიერება 147

1. ანდერძის ფორმა

შინაურული ანდერძის ნამდვილობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-23-2020

8 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
ლ. მიქაბერიძე (მომხსენებელი),
მ. ერემაძე

დავის საგანი: უძრავი ქონების მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ტ-მა (შემდგომ – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ბ-ნასა (შემდგომ – პირველი მოპასუხე) და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო, ასევე, ერთობლივად მოპასუხეები) მიმართ მ. ს-ვას (შემდგომ – მამკვიდრებელი) ანდერძისმიერ მემკვიდრედ და ქალაქ თბილისში, ... №17 კორპუსში მდებარე ბინა №139-ის მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

სარჩელის საფუძვლები

2. მოსარჩელის განმარტებით, მამკვიდრებელმა გარდაცვალების წინა დღეს, 2017 წლის 26 იანვარს, საკუთარი ხელით შეადგინა შინაურული ანდერძი, რომლითაც სადავო ბინა დაუტოვა მოსარჩელეს. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ ექსპერტით დადგინდა ანდერძზე ხელმოწერის ნამდვილობა. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სანოტარო ბიუროს სამკვიდრო მონუმობის გაცემის მოთხოვნით. ნოტარიუსის 2017 წლის 30 აგვისტოს დადგენილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე იმ საფუძველით, რომ ანდერძით ვერ დგინდებოდა ნაანდერძევი ქონების იდენტიფიკაცია. ანდერძში მითითებულია, მამკვიდრებელი, მცხოვრები სადავო მისამართზე, თავის საცხოვრებელ ბინას (დაკონკრეტების გარეშე) უანდერძებს მოსარჩელეს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობით დგინდება, რომ მამკვიდრებელს საკუთრებად ერიცხება სწორედ ის უძრავი ქონება, რომელიც მოხსენებულია ანდერძში მამკვიდრებლის საცხოვრებელ მისამართად.

3. ამასთან, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატას, საიდანაც მიიღო პასუხი, რომ მამკვიდრებლის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე სანოტარო ბიუროში მოსარჩელის გარდა, შეტანილია პირველი მოპასუხის განცხადება, რომელიც, სავარაუდოდ, მამკვიდრებლის მეხუთე რიგის მემკვიდრეა.

მოპასუხეთა შესაგებელი

4. პირველმა მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მამკვიდრებლის დედა იყო თავისი მამის – პ. ბ-ნის და. მოპასუხემ მამიდაშვილის გარდაცვალების შესახებ შემთხვევით შეიტყო. მან დაიწყო საბუთების მოძიება და ცნობილი გახდა, რომ 2017 წლის 25 იანვარს მიიყვანეს ნოტარიუსი სახლში, მაგრამ მან უარი განაცხადა ანდერძის შედგენაზე მამკვიდრებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2016 წლის 30 სექტემბრის შინაურულ ანდერძზე არის მამკვიდრებლის ხელმოწერა, ხოლო თავად მოსარჩელე მხარე სასარჩელო მოთხოვნას ამყარებს 2017 წლის 26 იანვრის ანდერძზე, რომელიც არ არის შედგენილი შინაურული ანდერძისათვის კანონით გათვალისწინებული წესებით. ამასთან, არ ირკვევა იმ ქონების იდენტიფიკაცია, რომელსაც მოანდერძე უტოვებს მემკვიდრეს. გარდა აღნიშნულისა, შინაურული ანდერძი დანერგულია გარდაცვალების წინა დღეს, როდესაც მამკვიდრებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო მძიმე და ნოტარიუსმა უარი განაცხადა ანდერძის შედგენაზე.

5. სააგენტომ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ანდერძი ვერ აკმაყოფილებს შინაურული ანდერძის ფორმას, იგი არ არის დაწერილი მოანდერძის მიერ. ამასთან, სამკვიდროს მონაწილის გაცემაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ანდერძით ვერ დასტურდება ნაანდერძევი ქონების იდენტიფიკაცია. ანდერძი არ არის დადასტურებული სამოქალაქო კოდექსით დადგენილი დანაწესის შესაბამისად, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საჩივრო ზოლუციო ნაწილი:

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

7. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების საჩივრო ზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატის 2019 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განწყვეტილება.

9. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადანყვეტილების დასკვნები და მიიჩნია, რომ შინაურული ანდერძის საფუძველზე, მოსარჩელის ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან სათანადო მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა ანდერძში გამოხატული ნების ნამდვილობა.

10. მოსარჩელე ითხოვს შინაურული ანდერძის საფუძველზე, უძრავი ქონების მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობას, ხოლო მოპასუხე მოანდერძის ნების გამოვლენის ნამდვილობას შეედავა. პალატის შეფასებით, საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებების შინაარსი ეჭვქვეშ აყენებდა 2017 წლის 26 იანვარს მამკვიდრებლის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობას. მოწმედ დაკითხულმა ნოტარიუსმა ნათლად და დამაჯერებლად მიუთითა, რომ მამკვიდრებელს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არ შეეძლო ნების სწორად გამოხატვა. ერთ-ერთმა მოწმემ კი აღნიშნა, რომ ან გარდაცვლილი არ აპირებდა კუთვნილი უძრავი ქონების ვინმესთვის დატოვებას, მას სურდა რუსეთში გამგზავრება ნათესავებთან, თუმცა ბოლო პერიოდში მისი ჯანმრთელობა დამძიმდა. ამ ფაქტობრივი მოცემულობის პირობებში კი, მოსარჩელეს მართებდა, სარწმუნოდ დაედასტურებინა 2017 წლის 26 იანვრის ანდერძში გამოვლენილი ნების ნამდვილობა, რაც მან ვერ მოახერხა.

11. რაც შეეხება წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნას, სააპელაციო პალატის მითითებით, ექსპერტიზა ჩაუტარდა არა 2017 წლის 26 იანვარს შედგენილ ანდერძს, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე მოითხოვს მემკვიდრედ ცნობას, არამედ 2016 წლის 30 სექტემბრით დათარიღებულ დოკუმენტს. ამ მხრივ პალატამ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ თავდაპირველად ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვა: „რუსულენოვანი შინაურული ანდერძის ხელნაწერი ტექსტი 2017 წლის 26 იანვრის თარიღით და ხელმოწერა შესრულებული იყო თუ არა მამკვიდრებლის მიერ“, დაკორექტირდა 2017 წლის 1 თებერვლის განცხადებით და ექსპერტიზის წინაშე დაისვა საკითხი – 2016 წლის 30 სექტემბრის შინაურულ ანდერძზე (უჯრებიან რეეულის ფურცელზე) განლაგებული ხელმოწერა შესრულებული იყო თუ არა მამკვიდრებლის მიერ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ გაიზიარა წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შინაარსი.

12. ამდენად, პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა 2017 წლის 26 იანვრის ან-

დერძის შესაბამისობა მამკვიდრებლის ნებასთან, რის გამოც მოსარჩელეს სწორად ეთქვა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

13. ზემოაღნიშნული განჩინება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

14. კასატორის მტკიცებით, პირველ მოპასუხეს მამკვიდრებელთან ნათესაური კავშირის დასადასტურებლად არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, შესაბამისად, არ დადასტურდა მისი სავარაუდო მემკვიდრეობა. სწორედ ამიტომ, მოპასუხედ სააგენტოც მოიწვიეს. შესაბამისად, ამ პირს შედავებისათვის იურიდიული ინტერესიც არ ჰქონდა. რაკი მას შემხებლობა არ აქვს საქმესთან, მისი შედავება ნების გამოვლენის ნამდვილობის შესახებ სასამართლოს არ უნდა გაეთვალისწინებინა.

15. გასაჩივრებული განჩინების დასკვნა, თითქოს, სათანადო მტკიცებულებით არ დასტურდება 2017 წლის 26 იანვრის შინაურული ანდერძის უშუალო მოანდერძის მიერ შედგენა და ხელმოწერა, დაუსაბუთებელია. ექსპერტიზის ფარგლებში ექსპერტიზამ დაადგინა არა მხოლოდ 2016 წლის 30 სექტემბრის ანდერძზე არსებული ხელმოწერის ან გარდაცვლილის კუთვნილების ფაქტი, არამედ კვლევის პროცესში დადგინდა 2017 წლის 26 იანვრის ანდერძზე არსებული ხელმოწერის მამკვიდრებლისათვის კუთვნილება, რამდენადაც კვლევისა და შედარებისთვის 26.01.2017 წლის ანდერძი იქნა გამოყენებული და მისი ტექსტიც და ხელმოწერაც კვლევის საგანი იყო, რაც ექსპერტიზის მიერ არ განსაზღვრულა როგორც საეჭვო ანდა სხვა პირისადმი მიკუთვნილებული ტექსტი, ანდა ხელმოწერა.

16. ასეც რომ არ იყოს, მოსარჩელემ თავისი ინიციატივით ჩაატარა ექსპერტიზა. არც კანონმდებლობა და არც სასამართლო პრაქტიკა არ მოითხოვს შინაურულ ანდერძზე ხელმოწერის ნამდვილობისათვის ექსპერტიზის დასკვნას. მოპასუხეებს კი, გარდა ზეპირი შედავებისა, არ წარმოუდგენიათ მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ 26.01.2017 წლის ანდერძზე ხელმოწერა მამკვიდრებელს არ ეკუთვნის.

სამოტივაციო ნაწილი:

17. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

18. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელა-

ციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება – დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

19. განსახილველ შემთხვევაში, სადავო ქონების მესაკუთრედ ცნობას მოსარჩელე ანდერძის საფუძველზე მოითხოვს. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ-ის) 1306-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძველით.

20. კასატორი დავობს გასაჩივრებული განჩინების დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, სათანადო მტკიცებულებებით არ დადასტურდა ანდერძში გამოხატული ნებისა და მამკვიდრებლის ხელმოწერის ნამდვილობა. საკასაციო პრეტენზიების დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, პალატა მიიჩნევს, რომ, უპირველესად, უნდა დადგინდეს ანდერძის შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან.

21. სსკ-ის 1345-ე მუხლის თანახმად, მოანდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია, გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. ამავე კოდექსის 1364-ე მუხლის თანახმად კი, მოანდერძეს შეუძლია, თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას (შინაურული ანდერძი). მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, შინაურული ანდერძის ნამდვილობისათვის კანონი ადგენს მარტივი წერილობითი ფორმის დაცვის აუცილებლობას, რომელიც შედგენილი და ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ, ხოლო ანდერძში გადმოცემული ნება ქმედუნარიანი პირის გონივრული განსჯის შედეგს უნდა წარმოადგენდეს. ამდენად, კანონმდებლობით გათვალისწინებული „შინაურული ანდერძის“ ნამდვილობის წინაპირობებია – მამკვიდრებლის ნების თავისუფალი გამოვლენა და აღნიშნული ანდერძის მისივე ხელმოწერით დადასტურება.

22. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის შედავებას, ანდერ-

ძის ნამდვილობის პრეზუმფციის თაობაზე და განმარტავს, რომ ამგვარი ვარაუდის გაქარწყლება ეკისრება პირს, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული იგი. ამდენად, 2017 წლის 26 იანვრის ანდერძის კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობა მოპასუხეთა მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა (შდრ.სუსგ №ას-685-655-2014; 2 ოქტომბერი, 2015 წელი).

23. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე მონმედ დაკითხული ნოტარიუსის ჩვენების საფუძველზე დაადგინა, რომ ანდერძის შედგენის დღეს, 2017 წლის 26 იანვარს, მოსარჩელესთან შეთანხმებისამებრ, სამისდღემიო რჩენის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, ნოტარიუსი იმყოფებოდა მამკვიდრებლის ბინაში, თუმცა ამ უკანასკნელის ჯანმრთელობა არ იყო დამაკმაყოფილებელი, რის გამოც ნოტარიუსმა უარი განაცხადა სანოტარო აქტის შედგენაზე. მონმის განმარტებით, მამკვიდრებელი ძალიან ცუდად იყო. მანვე ნათლად და დამაჯერებლად მიუთითა იმის შესახებ, რომ მამკვიდრებელს უჭირდა ნების ჩამოყალიბება, „ვერ აყალიბებდა ნებას და თითქოს ეშინოდა კიდევ“ (იმყოფებოდა ზეგავლენის ქვეშ). მონმის განმარტებით, მან მიიჩნია, რომ იმ მომენტში მამკვიდრებელი არ იყო ადეკვატური და უარი განაცხადა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე. მამკვიდრებლის მძიმე ჯანმრთელობის შესახებ მიუთითეს სხვა მონმეებმაც (მაგალითად, მონმე ს. ბ-ემ აღნიშნა, რომ მამკვიდრებელი არ აპირებდა კუთვნილი უძრავი ქონების ვინმესთვის დატოვებას, მას სურდა რუსეთში გამგზავრება ნათესავებთან, თუმცა ბოლო პერიოდში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა).

24. პალატა მიიჩნევს, რომ მონმეთა ჩვენებები ქვემდგომმა სასამართლოებმა შეაფასეს იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულება, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მონმის ჩვენებაზე და სხვა) გათვალისწინებით, რომელიც ამ მტკიცებულებისთვისაა დამახასიათებელი. ამასთან, უდავოდ მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ მონმეთა ჩვენებების საწინააღმდეგოდ, ამ მტკიცებულების გასაქარწყლებლად და მამკვიდრებლის ნების ნამდვილობის დასადასტურებლად მოსარჩელეს დასაბუთება არ წარუდგენია და არც მისი გამაბათილებელი რაიმე მტკიცებულებაზე არ მიუთითებია. იგი არც წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ედავება მტკიცებულებას. ამ მიმართებით კასატორის ერთადერთი პრეტენზია ისაა, რომ სასამართლოს მოანდერძის ნების ნამდვილობა არ უნდა ეკვლია, რამდენადაც მას შეედავა პირველი მოპასუხე, რომელსაც მამკვიდრებელთან ნათესაური კავშირის დასადასტურებლად მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

25. პალატა მიუთითებს, რომ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში მოსარჩელემ სწორედ პირველი მოპასუხე დაასახელა მოპასუხედ. მისი არასათანადოობა სასამართლოს არ დაუდგენია, შესაბამისად, სარჩელის საფუძვლიანობას სასამართლო პირველი მოპასუხის შედავების ფარგლებშიც ამოწმებს. აქედან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა პირველი მოპასუხის მიერ შედავებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სწორად განსაზღვრეს მტკიცების საგანში შემავალი გარემოებები, რადგან მოპასუხე სათანადოდ შეედავა სარჩელის არსებით გარემოებებს, ხოლო უკვე მტკიცების სტადიაზე დამტკიცა მის მიერ მითითებული სადავო გარემოება. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საპროცესო კანონმდებობის სრული დაცვით დააკმაყოფილა პირველი მოპასუხის შუამდგომლობა ნოტარიუსის მონმის სახით დაკითხვის თაობაზე და სწორად შეაფასა ის, ხოლო მოსარჩელემ, როგორც აღინიშნა, ვერ მოახერხა თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარი დასაბუთება, რომელიც ასევე აქარწყლებდა მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებას.

26. რაც შეეხება 2017 წლის 26 იანვრის ანდერძის მოანდერძის მიერ დანერგისა და ხელმოწერის დადგენის ფაქტს, პალატა მიუთითებს, რომ, რაც ხელმოწერის ნამდვილობა მოპასუხე მხარემ გახადა სადავოდ და მიუთითა, რომ ანდერძი მამკვიდრებლის მიერ არ იყო ხელმოწერილი, მსგავსად ანდერძში გამოვლენილი ნების ნამდვილობისა, მასვე ეკისრებოდა ამ ფაქტის დამტკიცება. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგინდა ფაქტი, რომ 2017 წლის 26 იანვრის ანდერძზე ხელმოწერა მამკვიდრებელს არ ეკუთვნოდა. პალატა მიიჩნევს, რომ სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც 2016 წლის 30 სექტემბრის ანდერძზე არსებული ხელმოწერის გარდაცვლილისთვის კუთვნილების ფაქტი დადგინდა, 26.01.2017 წლის ანდერძზე ხელმოწერის სიყალბეს არ ადასტურებს. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეებმა ანდერძზე მამკვიდრებლის მიერ ხელმოწერის შესრულების ნამდვილობა ვერ გააქარწყლეს. მიუხედავად ამისა, პალატა განმარტავს, რომ მოანდერძის ნების ნამდვილობის დაუდგენლობა საკმარისი საფუძველია სასარჩელო მოთხოვნის უარსაყოფად.

27. პალატა, კიდევ ერთხელ, მიუთითებს, რომ მოცემულ დავაში უმთავრესი და გადამწყვეტი იყო მამკვიდრებლის ნამდვილი ნების დადგენა, რადგან ანდერძი არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადგენს მოანდერძის ნებას. ანდერძის ბათილობას საფუძ-

ვლად შეიძლება დაედოს მხოლოდ ისეთი დარღვევა, რომელიც საექსპოზიტოს გახდის მოანდერძის ნების ნამდვილობას. სწორედ ამ ფაქტობრივი გარემოების – საკუთარი ქონების განკარგავსთან დაკავშირებით გარდაცვლილის ნების დადგენა წარმოადგენდა მოცემული დავის მთავარ გამოსაკვლევ ფაქტს. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ არ დადგინდა 26.01.2017 წლის ანდერძში გამოვლენილი ნების ნამდვილობა.

28. კასატორმა უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს უზენაეს სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან. შესაბამისად, სსსკ-ის 407.1 მუხლის საფუძველზე, კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2020 წლის 29 ივნისის, 2021 წლის 3 დეკემბრისა და 2022 წლის 3 მარტის განცხადებებზე დართული დოკუმენტები 29 ფურცლად (მათ შორის, ორი ფოტოსურათი).

29. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-
მოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 ოქტომბრის განჩინება;
3. მ. ტ-ს დაუბრუნდეს 2020 წლის 29 ივნისის, 2021 წლის 3 დე-
კემბრისა და 2022 წლის 3 მარტის განცხადებებზე დართული დო-
კუმენტები 29 ფურცლად (მათ შორის ორი ფოტოსურათი);
4. კასატორის მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
5. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სამკვიდროს მიღება

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-1114-1071-2016

22 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქუჩი

დავის საგანი: სამკვიდრო მონუმობის ნაწილობრივ ბათილად
ცნობა, მემკვიდრედ და მესაკუთრედ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ- ვლები:

1.1. გ. ჯ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. ი-ისა და გ. ჯ-ის (შემდგომში – პირველი და მეორე მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარეები) მიმართ და მოითხოვა 2010 წლის 4 იანვარს გარდაცვლილი ვ. ჯ-ის (შემდგომში – მამკვიდრებელი) მემკვიდრედ ცნობა, ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნილის 1/3-ის მიკუთვნება, ასევე 2010 წლის 22 ივლისს გაცემული სამკვიდრო მონუმობის 1/3 ნაწილში ბათილად ცნობა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელე მოპასუხეებთან ერთად 2010 წლის 4 იანვარს გარდაცვლილი მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეა. მოპასუხეებმა დამალეს სხვა პირველი რიგის მემკვიდრის – მოსარჩელის არსებობა, მამკვიდრებლის დანაშთ ქონებაზე (სამკვიდრო ქონებაში შემავალ აქტივებზე, პასივებსა და ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილზე) 2010 წლის 22 ივლისს სამკვიდრო მონუმობა არამართლზომიერად მიიღეს. სამკვიდრო მასაში შედის ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონება (ს/კ №...) და ავტომანქანა (ვოლგა გაზ-21, სახელმწიფო ნომრით 910). მოსარჩელემ სამკვიდრო ქონებაზე უფლება მისი ფაქტობრივი ფლობით მოიპოვა, ამასთან, დაეუფლა სამკვიდრო მასაში შემავალ ავტომანქანას (მის ხელთაა ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი). მოსარჩელის კუთვნილი სანადირო თოფი რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ... ოჯახში არსებული

დაძაბული ურთიერთობის გამო, მოსარჩელე აღარ ცხოვრობს ქ. თბილისში, ... უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოპასუხებთან ურთიერთობა კიდევ უფრო გაართულდა. სადავო სამკვიდრო მონუმბის თაობაზე კი, მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა სარჩელის აღძვრამდე სამი თვით ადრე.

2. მოპასუხეების პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი/განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხეებმა არ ცნეს სარჩელი და აღნიშნეს, რომ მოსარჩელეს სამკვიდრო არც ფაქტობრივი ფლობით და არც ნოტარიუსისათვის განცხადების წარდგენის გზით არ მიუღია. 2010 წლის 4 იანვარს გარდაცვლილი მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი ფლობით მიიღეს პირველმა და მეორე მოპასუხემ, ხოლო სამკვიდრო მონუმბა მათ სახელებზე კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით გაიცა 2010 წლის 22 ივლისს. მამკვიდრებლის დაკრძალვისას წარმოშობილი კონფლიქტის შემდგომ მოსარჩელე სადავო სახლში მივიდა მხოლოდ ორჯერ: მამკვიდრებლის ორმოცსა და წლისთავზე. მოსარჩელის საკუთრებაში არსებული სანადირო თოფის სადავო მისამართზე რეგისტრაცია განპირობებული იყო საკანონმდებლო მოთხოვნით: იარაღის რეგისტრაციის ადგილი უნდა ყოფილიყო მოქალაქის რეგისტრაციის ადგილი. სასარჩელო მოთხოვნის ნამდვილობის პირობებშიც კი, არ იარსებებს მისი დაკმაყოფილების წინაპირობა, რადგანაც გასულია შედავების 2-თვიანი ვადა, შესაბამისად, მოთხოვნა არის ხანდაზმულიც.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამომწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას საკასაციო სასამართლო შეამოწმებს კასატორის მიერ მითითებული პრეტენზიების ფარგლებში, ამ მხრივ, მსჯელობის საგანი იქნება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლება და ამ გზით საკუთრების წარმოშობის საკითხი, ასევე, მისი მხრიდან დაძლეულია თუ არა სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების მტკიცების ტვირთი და წარდგენილი მტკიცებულებები სწორად იქნა თუ არა გამოკვლეული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ. უფრო კონკრეტულად, კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს სარჩელის უარყოფის თაობაზე და აღნიშნავს შემდეგს:

1.1.1. სასამართლომ არ შეაფასა მოპასუხის აღიარება, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ სადავო ავტომობილს დაეუფლა არა მოსარჩელე, არამედ, მოპასუხე, რაც გამორიცხავს სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ მამკვიდრებელმა ავტომობილი მოსარჩელეს სიცოცხლეშივე აჩუქა. ეს დასკვნა გამომდინარეობს სასამართლოს მიერ უარყოფილი მოწმეების ჩვენებიდან, ხოლო ჩუქების ფაქტს უარყოფს მოპასუხე და ადასტურებს, რომ მამკვიდრებლის სიცოცხლეშივე ავტომობილს მართავდა მოპასუხე. სამკვიდროს დაუფლების ფაქტის დასტურად სასამართლომ არასწორად არ მიიჩნია მოსარჩელის მიერ სამკვიდრო ბინის გასაღების ფლობა და ქონებაში ნებისმიერ დროს შესვლის შესაძლებლობა, ასევე, სანადირო თოფის შენახვა ამავე სახლში. არასწორად შეფასდა მოსარჩელის სურვილი, მიეღო სამკვიდრო და ის გარემოება, რომ მამა-შვილს ჰქონდათ კარგი ურთიერთობა, მამკვიდრებელს არასოდეს განუცხადებია იმის თაობაზე, რომ არ სურდა მოსარჩელე ყოფილიყო მემკვიდრეთა რიგში, ხოლო, ამ უკანას-

კნელს სამკვიდროს მიღებაზე არასოდეს განუცხადებია უარი. ამგვარი ქმედებით სასამართლომ გაამართლა მოპასუხეთა ამორალური მოქმედება, რომლებმაც ნოტარიუსს დაუმაღეს კიდეც ერთი მემკვიდრის – მოსარჩელის არსებობა.

1.1.2. სასამართლომ არასწორად განსაზღვრა სამკვიდრო მასა და მცდარად მიიჩნია, რომ სამკვიდროს შეადგენდა მხოლოდ უძრავი ქონება, ვინაიდან სამკვიდრო მასაში შედიოდა ასევე ავტომობილი, რომელიც დღესაც მამკვიდრებლის სახელზეა რეგისტრირებული. სასამართლომ არასწორად არ დაადგინა მოსარჩელის მიერ ავტომობილის დაუფლების ფაქტი, რომლის სარეგისტრაციო მონმობა, დღესაც კასატორის მფლობელობაშია. ამ დოკუმენტის ფლობით სამკვიდროს მიღება პირდაპირაა გათვალისწინებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 85-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში. სწორედ ამ დოკუმენტის მოსარჩელის მიერ ფლობამ განაპირობა ის, რომ მოპასუხეებმა ვერ გადაიფორმეს ავტომობილი და არც სამკვიდროს შემადგენელ ნივთებში ჰპოვა ასახვა მან. შეფასება არ მიეცა იმ ფაქტს, რომ მოსარჩელე მამის სიცოცხლეშიც და მისი გარდაცვალების შემდეგაც სამკვიდრო უძრავ ქონებაში ინახავდა სანადირო თოფს, რომლის გამოყენებისა და შენახვის წესებიდან გამომდინარე, დასტურდება სამკვიდროს დაუფლების ფაქტი, ისევე, როგორც იმ გარემოებიდან, რომ მოსარჩელესა და მისი ოჯახის წევრებს მფლობელობაში ჰქონდათ სადავო ბინის გასაღები და სახლში შესასვლელად არც დედის და არც ძმის ნებართვა არ სჭირდებოდათ. მოსარჩელის ამ უფლებას არც ერთი მოპასუხე არ აყენებს ეჭვქვეშ. სადავო ფაქტს ამტკიცებს ისიც, რომ კასატორი ამავე სახლში ინახავდა საკუთარ ნივთებს – ავტონაწილებს, რადგანაც სახლი, სადაც ის ფაქტობრივად ცხოვრობს, პატარაა, შესაბამისად, ამ ფაქტების ერთობლიობით დგინდება, რომ მოსარჩელე მამის სახლში არ მიიჩნეოდა სტუმრად და ის უძრავ ქონებას, როგორც თანამესაკუთრეს ისე იყენებდა.

1.1.3. სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელემ სამკვიდროს დაუფლების ვერავითარი მტკიცებულება ვერ წარადგინა. ამ დასკვნას უარყოფს კასატორის მიერ ავტომობილის დაუფლების ფაქტი (მოპასუხეები შესაგებლითვე აღიარებენ ამ ნივთის ოჯახის მიზნებისათვის გამოყენებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხე ასევე ფლობდა ავტომობილს, მამკვიდრებლის სიცოცხლეში მისი კუთვნილი ნივთის გამოყენება ნიშნავს მესაკუთრის თანხმობის არსებობას, ხოლო მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ ქონების ექსპლუატაცია – სამკვიდროს დაუფლებას. როგორც მოსარჩელის, ისე – მოპასუხის მიერ წარდგენილი მონმეების: ი. ჯ-ის, გ. ჯ-ის, ნ. გ-ას, მ. ს-ის ჩვენებებით, მართალია, სასამართლომ მიიჩნია, რომ

ავტომობილი სამკვიდრო მასაში არ შედიოდა, თუმცა ეს ფაქტი ეწინააღმდეგება მოპასუხის მიერ შესაგებელში აღიარებულ ფაქტს იმის თაობაზე, რომ მოპასუხე მამის სიცოცხლეში თავადაც მართავდა ავტომობილს); ზ-ის ქუჩაზე მდებარე ბინის გასაღების მოსარჩელისა და მისი ოჯახის მიერ ფლობა (რაც მხოლოდ მესაკუთრისათვის დამახასიათებელი ატრიბუტია. ამ მხრივ, მონინააღმდეგე მხარემ დამატებით მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მოსარჩელეს გასაღები პირველმა მოპასუხემ გადასცა, რაც აღიარებას წარმოადგენს და ადასტურებს კასატორის მიერ გასაღების ფლობის უფლებას); თოფისა და სხვა ნივთების შენახვა სადავო მისამართზე (მოსარჩელის შვილმა აჩვენა, რომ კასატორი სადავო მისამართზე მიდიოდა არა, როგორც სტუმარი, არამედ, როგორც მამის სახლში, ჰქონდა საკუთარი ნივთები, ეზოში რეცხავდა ავტომობილს და ამ მიზნით მიდიოდნენ მისი მეგობრებიც. მოწმე ლ. ი-მ-მა ასევე დაადასტურა, რომ მოსარჩელეს ამ მისამართზე ჰყავდა შინაური ფრინველი. სასამართლომ მოწმეების: ლ. ი-მ-ის, ი. ჯ-ის, გ. ჯ-ის, ი. ჩ-ისა და ნ. გ-ას ჩვენებები მიიჩნია ურთიერთსაწინააღმდეგოდ იმ მოტივით, თითქოს ლ. ი-მა ვერ დაასახელა მამკვიდრებლის გარდაცვალების თარიღი, რაც არასწორია, რადგანაც მოწმეები მინვეულ იქნენ იმ მიზნით, რომ მათ დაედასტურებინათ მოსარჩელის მიერ სამკვიდროს დაუფლების ფაქტი. სასამართლომ არ გაითვალისწინა მოწმის ასაკი და ის გარემოება, რომ 80 წლის ქალს შეიძლება ჰქონდეს მეხსიერებისა და სმენის პრობლემა. მოსამართლემ არ მისცა მხარეს შესაძლებლობა, დაეკონკრეტებინა თუ ვის ეხებოდა შეკითხვა, ისევე, როგორც მოწმეთა ჩვენებების სუბიექტურად შეფასებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასამართლოს დასკვნით, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ მოწმეს აღარ აქვს აქტიური შეხება ჯ-ების ოჯახთან. სწორედ ზ-ის ქუჩის მეზობლების დასანახად ხდებოდა კასატორის მიერ ავტომობილის ექსპლუატაცია, ხოლო თოფის შენახვის ფაქტს მოწმეთა მხრიდან დადასტურება აღარ ესაჭიროება, რადგანაც ეს აღიარებულია მოპასუხეთა მხრიდან. უსაფუძვლოა სასამართლოს დასკვნა, რომ გ. ჯ. და ნ. გ. დაინტერესებული პირები არიან, რადგანაც სასამართლო ამ არგუმენტს ვერ ასაბუთებს, ამასთანავე, ამ კრიტერიუმით ნებისმიერი მოწმე დაინტერესებულ პირად მიიჩნევა, რადგანაც მხარეს მასთან გარკვეული სამუშაოები აქვს ჩატარებული); სასამართლო არასაკმარისი დასაბუთებით უარყოფს თოფის შენახვით სამკვიდროს დაუფლებას, რადგანაც, მისი მოსაზრებით, თოფი ამ მისამართზე მამკვიდრებლის გარდაცვალებამდეც იყო განთავსებული. თოფის განთავსებით კასატორს სურს არა მისი გამოყენების წესების დასაბუთება, არამედ, სამკვიდროს დაუფლების ფაქტის მტკიცება;

1.1.4. არასწორია სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, თუ როდის გახდა კასატორისათვის ცნობილი მოპასუხეების მიერ სადავო სამკვიდრო მონუმობის მიღების ფაქტი. სასამართლოს დასკვნები ამ კუთხით ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას (სუსგ-ებები: №ას-146-140-2012; №ას-1585-1488-2012; №ას-1183-11112-2012), რომლის თანახმადაც საკუთრება აბსოლუტური უფლებაა და მასზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება, ამასთანავე, სამკვიდრო მონუმობის ბათილობა მოთხოვნილია არა, როგორც დამოუკიდებელი დოკუმენტის, რომლის მიმართაც მხარეს იურიდიული ინტერესი უნდა გააჩნდეს, არამედ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საკუთრების დაცვა. სამკვიდრო მონუმობა გაცემულია მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ და ის მოიცავს ქონებას, რომელიც ფაქტობრივი ფლობით საკუთრებაში მიიღო კასატორმა.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულია ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. მოსარჩელე მამკვიდრებლისა და პირველი მოპასუხის შვილია;

1.2.2. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2010 წლის 4 იანვარს. ამ უკანასკნელის დანაშთ სამკვიდროს შეადგენდა ქ. თბილისში, ზ-ის ქუჩა ... მდებარე უძრავი ქონების 1/2;

1.2.3. მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ, ის ესწრებოდა დაკრძალვას;

1.2.4. მოპასუხეები მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე და მას შემდეგაც ცხოვრობდნენ ქ. თბილისში, ზ-ის ქ. №34-ში. მამკვიდრებლის სიცოცხლეში სადავო საცხოვრებელ სახლში ცხოვრობდა მოსარჩელეც. 1990-იანი წლებიდან იგი ცხოვრობს ქ. თბილისში, ..., მე-16 კორპუსში მდებარე №22 ბინაში (მონმეთა: მ. ს-ის, მ. ი-ის, მ. უ-ისა

და ნ. ს-ის, ი. ჯ-ის, ი. ჩ-ის, ლ. ი-მ-ის ჩვენების მიხედვით, მოსარჩელე მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე (თავად მოსარჩელე მიუთითებს, რომ იგი დაოჯახდა 1993 წელს), კერძოდ, დაოჯახების შემდეგ სადავო საცხოვრებელ სახლში აღარ ცხოვრობს და მამის დაკრძალვის დროს მომხდარი კონფლიქტის შემდეგ, ერთი წლის მანძილზე ზ-ის ქუჩა ...-ში აღარ გამოჩენილა).

1.2.5. მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ცეცხლსასროლი იარაღი (მარკა/მოდელი MC21-12), რომელიც განთავსებულია ქ. თბილისში, ... ცეცხლსასროლი იარაღი მოსარჩელის სახელზეა რეგისტრირებული და სადავო სახლში განთავსებული იყო მამკვიდრებლის გარდაცვალებამდეც, რაც განპირობებულია იმ დროს მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნებით (საქართველოს პრეზიდენტის №750 ბრძანებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოს მიერ იარაღის რეგისტრაციისას სარეგისტრაციო ჩანაწერებში იარაღის მესაკუთრის საცხოვრებელ ადგილად შეიძლება აღრიცხულ იქნეს: ა) რეგისტრაციის ან დროებითი რეგისტრაციის ადგილი; ბ) საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის მისამართი; გ) უძრავი ქონების მესაკუთრის წერილობითი თანხმობის საფუძველზე მის საკუთრებაში არსებული საქართველოში რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილის მისამართი);

1.2.6. ავტომანქანა „ვაზ-21“ (სახელმწიფო ნომრით: ...), ამჟამად განთავსებულია მოპასუხეთა სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული სახლის ეზოში, თუმცა იგი სამკვიდრო მასაში არ შედის. ავტომანქანა მამკვიდრებელმა მოსარჩელეს აჩუქა სიცოცხლეში, მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონმობა გაცემულია 1998 წლის 1 ივლისს მამკვიდრებლის სახელზე, რომელსაც ფლობს მოსარჩელე. მონმეთა ჩვენებითა და თავად მოსარჩელის განმარტებით დადგინდა, რომ ამ ნივთით იგი მამის გარდაცვალების შემდეგ იმავე წესით სარგებლობდა, როგორც მის სიცოცხლეში;

1.2.7. საქმის მასალებით არ დგინდება სარჩელში მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ გ. ჯ-ს სადავო სახლში განთავსებული ჰქონდა პირადი სარგებლობის მოძრავი ნივთები და მათ მამის გარდაცვალების შემდეგ იყენებდა საკუთარი სურვილისამებრ, ისევე, როგორც მოსარჩელემ ვერ წარადგინა იმ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ის სამკვიდროს გახსნიდან 6-თვიანი ვადის დაცვით უვლიდა სადავო მისამართზე არსებულ ხეხილს;

1.2.8. მოსარჩელეს მამის სამკვიდრო ქონებაზე განაცხადი საერთაშორისო ორგანოში არ შეუტანია და არც სამკვიდრო მონმობა არ მიუღია, ხოლო მოპასუხეებმა მიმართეს ნოტარიუსს სამკვიდროს

მიღების თხოვნით და დანაშთ სამკვიდროზე, მასში შემავალ აქტივებსა და პასივებზე, ასევე, მამკვიდრებლის კუთვნილ უძრავ ქონებაზე 2010 წლის 22 ივლისს გაიცა სამკვიდრო მოწმობა, რომლის საფუძველზეც აღირიცხა მათ საკუთრებად საჯარო რეესტრში. მოსარჩელეს სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის გზით სადავო არ გაუხდია მოპასუხეების მიერ ქ. თბილისში, ზ-ის ქუჩა ...-ში მდებარე სამკვიდრო ქონების მიღების ფაქტი, ამასთან, 2014 წლის 12 სექტემბერს წარდგენილი სარჩელით მან აღიარა (ეს აღიარება დადგენილი წესით არ გაუქარწყლებია), რომ მოპასუხეების მიერ სამკვიდროს მიღების შესახებ შეიტყო სარჩელის შეტანამდე სამი თვით ადრე.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის პოზიციას ქვემდგომი სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა არასწორი შეფასების თაობაზე და განმარტავს, რომ სამკვიდროს მიღება წარმოადგენს მემკვიდრის უფლებას და არა ვალდებულებას და სამკვიდროზე საკუთრების უფლების წარმოშობა კანონით გათვალისწინებული იმპერატიული დანაწესების განუხრელ დაცვაზეა დამოკიდებული. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი ადგენს სამკვიდროს მიღების წესსა და პირობებს და განსაზღვრავს, თუ რა ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად. ნორმის მე-2 ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ორი წესია შემოთავაზებული: ა) როდესაც მემკვიდრე განცხადებით მიმართავს სანოტარო ბიუროს სამკვიდროს მიღების თაობაზე; ბ) მემკვიდრე ფაქტობრივად დაეუფლება სამკვიდროს/მის ნაწილს – განახორციელებს იმგვარ იურიდიულ მოქმედებებს, რაც მისი მხრიდან სამკვიდროს მიღებად განიხილება. ანუ სამკვიდროს მისაღებად, საჭიროა, როგორც მოსარჩელის ცალმხრივი ნების არსებობა, ისე – ამ ნების გარეგანი ფორმირება (თანხვედრა) კანონით დადგენილი წესით. ბუნებრივია, როგორც ერთი, ისე – მეორე ქმედება სამართლებრივი ძალის მატარებელია მაშინ, თუ იგი ამავე კოდექსის 1424-ე მუხლით გათვალისწინებულ 6-თვიან ვადაში განხორციელდა. თავის მხრივ, როდესაც სარჩელის საგანს სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების გზით მიღება წარმოადგენს და ამას არ ეთანხმება მოპასუხე, მტკიცების საგანში შემავალი უძრავი ფაქტის – ქონების ფაქტობრივად დაუფლების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის მხარეზეა. არც მატერიალური და არც საპროცესო სამართლის ნორმები არ გვთავაზობს მტკიცებულებათა იმგვარ ნუსხას, რომლებითაც შეიძლება, დადასტურებულიყო მოსარჩელის მიერ სამკვიდროს/მისი

ნაწილის დადგენილ ვადაში მესაკუთრის მსგავსად დაუფლება, შესაბამისად, ეს გარემოება შეიძლება დადასტურდეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი მტკიცებულებით (მხარეთა ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, ფაქტების კონსტანტაციის მასალები, ნივთიერი თუ წერილობითი მტკიცებულება და სხვა). ამავე კოდექსის მე-4 და 103-ე (1) მუხლების შესაბამისად, მტკიცებულებები უნდა წარადგინოს მოსარჩელემ, რაც შეეხება მტკიცებულებათა შეფასებას, შეჯიბრებითობის ფარგლებში საქმეში არსებული მტკიცებულებების კვლევას სასამართლო ახდენს თავისუფალი შეფასების ფარგლებში (სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით), რომელიც მოიცავს მათ, როგორც ინდივიდუალურ, ისე – ერთობლივად გამოკვლევას, მტკიცებულების იურიდიული სანდოობის შესწავლას, მათ შეპირისპირებას, რაც სასამართლოს უქმნის შინაგან რწმენას მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის დადასტურების საკითხზე.

1.3.2. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ კანონით დადგენილ ვადაში მოსარჩელეს სანოტარო წესით მამის სამკვიდროზე პრეტენზია არ განუცხადებია, არამედ მისი მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს სწორედ მამკვიდრებლის ქონების დაუფლება წარმოადგენს. ამ მხრივ, მან სასამართლოს წარუდგინა მოწმეები, საკასაციო საჩივრით იგი სამკვიდროს დაუფლების ფაქტს კიდევ სამ ძირითად გარემოებას უკავშირებს: გარდაცვლილი მამის სახელზე რეგისტრირებული ავტომობილის დაუფლებას, რომლის სარეგისტრაციო მონმობასაც მხარე ფლობს; სახლთმფლობელობის დაუფლებას, რაც გამოიხატება მისი მხრიდან სადავო ქონების გასაღების ფლობაში; სამკვიდრო მასაში შემავალი უძრავი ქონების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვას – მასში ინახავს სანადირო თოფსა და პირადი მოხმარების მოძრავ ნივთებს.

1.3.3. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის პოზიციას მოწმეთა ჩვენებების არასწორად შეფასების თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ მტკიცებულებებით არ დგინდება კასატორის მიერ სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება. საკასაციო შედავების ფარგლებში პალატამ შეისწავლა ხსენებული ჩვენებები, ყოველმხრივ და სრულად გამოიკვლია მათი თანმიმდევრულობა, თუმცა მიიჩნევს, რომ მოწმედ დაკითხულმა პირებმა დამაჯერებლად ვერ დაასაბუთეს მოსარჩელის მიერ სადავო უძრავი ნივთის დაუფლების ფაქტი, მათი ჩვენებები დამაჯერებლად არ აღწერს იმგვარ სარწმუნო ფაქტებს, რომელთა ანალიზი დადასტურებდა მტკიცების საგანში შემავალ უმნიშვნელოვანეს ფაქტს. მოწმეებმა: ი. ჩ-მა და ლ. ი-მ-მა ვერ მიუთითეს მამკვიდრებლის გარდაცვალების თარიღი. ი. ჯ-მა აღნიშნა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების

შემდეგ ისინი ზ-ის ქუჩა ...-ში აღარ მისულან. ი. ჯ-მა განმარტა ისიც, რომ მას აქტიური ურთიერთობა მოსარჩელის ოჯახთან აღარ ჰქონია და იგი მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ იყო მისული სადავო საცხოვრებელ სახლში. გ. ჯ-მა განმარტა, რომ ვ. ჯ-ის გარდაცვალებიდან დაახლოებით ორი სამი წლის შემდეგ ეხმარებოდა ბიძას (მეორე მოპასუხეს) სამშენებლო სამუშაოებში. საკასაციო პალატა ამ კუთხით იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების შეფასებებსა და დასკვნებს მათ შორის მოსარჩელის ინიციატივით მიწვეულ მოწმეთაგან ორის: გ. ჯ-ისა და ნ. გ-ას ჩვენების არასანდოობის თაობაზე, რადგანაც ისინი წარმოადგენენ მოსარჩელის ოჯახის წევრებს (მეუღლეს და შვილი), რაც ამ მტკიცებულების გონივრული შეფასების შედეგად გამორიცხავს მათ ნეიტრალურობას დავის საგნის მიმართ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილი მოწმედ განიხილავს ნებისმიერ პირს, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ, თუმცა, კანონის ეს დანაწესი არ ნიშნავს ამ პირის ჩვენების უალტერნატივოდ გაზიარებას. მოხმობილი განმარტებიდან გამომდინარე, ვინაიდან მხოლოდ საკუთარ ახსნა-განმარტებასა და ზემოთ გაკრიტიკებულ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით სურს კასატორს სადავო სახლში პირადი მოხმარების ნივთების შენახვის ფაქტის დამტკიცება, სასამართლო უარყოფს ამ პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ ხსენებულ ფაქტთან მიმართებით გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებულია და არ არსებობს ამ დასაბუთების უარყოფის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე (3) მუხლით განსაზღვრული წინაპირობა, მით უფრო, როდესაც მოწმედ დაკითხული მ. უ-ის განმარტებით, სხვადასხვა მოძრავ ნივთს მოსარჩელისაგან თხოულობდა მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე.

1.3.4. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას იმის თაობაზე, რომ უძრავი ქონების გასაღების ფლობის ფაქტი, როგორც ინდივიდუალური გარემოება, სამკვიდროს დაუფლების ნებას არ ადასტურებს, როგორც აღინიშნა, სამკვიდროს მიღებად მიიჩნევა პირის იმგვარი მოქმედებები, რომლებიც საშუალო წინდახედულობის მქონე ადამიანს შეუქმნის რწმენას, რომ მემკვიდრე ქონებას იყენებს, როგორც საკუთარს. რა თქმა უნდა უძრავი ქონების გასაღების ფლობა ზოგადად მესაკუთრისათვის დამახასიათებელი ქმედებაა და საკუთრებით სარგებლობის სანივთო-სამართლებრივი რეგულაცია (იხ. სკ-ის 170-ე მუხლი) თავის თავში მოიცავს საკუთრებით არსარგებლობასაც, თუმცა, უნდა ითქვას, რომ თუკი მოსარჩელეს მართლაც გააჩნდა სურვილი, მიეღო მამის ქონებიდან წილი (რომელსაც ფლობდნენ მოპასუხეები) ფაქტობრივი დაუფლებით, მხოლოდ გასაღების ქო-

ნით ის ამ მიზანს ვერ მიაღწევდა. საკასაციო სასამართლო, გასაღების ფლობის ფაქტის შეფასებისას მხედველობაში იღებს საკასაციო საჩივრით შეუდავებელ იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე, მამის დაკრძალვაზე მომხდარი კონფლიქტის გამო, სადავო სახელში აღარ მიდიოდა ერთი წლის განმავლობაში, მხოლოდ ორმოცსა და წლისთავზე დაინახეს მეზობლებმა.

1.3.5. დასაბუთებულია გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ცეცხლსასროლი იარაღის სადავო მისამართზე შენახვა არ განიხილება სამემკვიდრეო წესებიდან გამომდინარე საკუთრების წარმოშობის საფუძვლად. განსახილველ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლოებმა ეს მსჯელობა იმ დასაბუთებით უარყვეს, რომ იარაღის შეძენის დროისათვის მოსარჩელე რეგისტრირებული იყო და ცხოვრობდა სადავო მისამართზე, ამასთანავე, ვინაიდან თავად იარაღი არ წარმოადგენს ქონებას სამოქალაქო კოდექსის მიზნებისათვის (იხ. სკ-ის 147-ე მუხლი: ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს), არამედ, მისი შეძენა-შენახვა სახელმწიფოს მიერ რეგულირებულია ნორმატიული საფუძვლით (საქართველოს პრეზიდენტის იმ დროს მოქმედი ბრძანებულება №147), ამ ნორმატიული საფუძვლის მოთხოვნათა სავალდებულობიდან გამომდინარე, ცეცხლსასროლი იარაღის მამკვიდრების სიცოცხლეში და მას შემდეგ სადავო მისამართზე განთავსება, მართლაც არ ნიშნავს დანაშაულის ქონების დაუფლებას.

1.3.6. ავტომობილის ტექნიკური პასპორტის ფლობის ფაქტთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ზოგადად იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის“ თანახმად, ეს წარმოადგენს სამკვიდროს მიღების დადასტურებას, თუმცა იმისათვის, რომ ავტომობილის ფლობა სამკვიდროს მიღებად იქნას მიჩნეული, მფლობელმა უნდა დაადასტუროს, რომ ეს ნივთი სამკვიდრო მასაში შემავალ დანაშაულებას წარმოადგენს. ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილია, რომ სამკვიდრებელმა ხსენებული ავტომობილი სიცოცხლეში აჩუქა მოსარჩელეს, რაც სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის შესაბამისად, გამოიწვევს ნივთის სამკვიდრო მასისათვის კუთვნილებას. მართალია, კასატორი ედავება ხსენებულ ფაქტობრივ გარემოებას და მის უსწორობას მოწმეთა ჩვენებების არასწორად შეფასებას უკავშირებს, თუმცა, როგორც ითქვა, საკასაციო

პალატა შედავების ფარგლებში გაეცნო ამ ჩვენებებს და არ ჩამო-
უყალიბდა გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი გარემოების
საწინააღმდეგო შინაგანი რწმენა. უფრო მეტიც, დამკვიდრებული
ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, ვინაიდან ავტომობილი წარ-
მოადგენს მოძრავ ნივთს, მისი განკარგვის ნამდვილობა სამოქა-
ლაქო კოდექსის 186-ე მუხლის ფარგლებში უნდა შეფასდეს და სა-
მოქალაქო უფლების წარმოშობისათვის ადმინისტრაციული კანონ-
მდებლობით დადგენილი უფლების შსს-ს მომსახურების სააგენ-
ტოში რეგისტრაცია არ არის სავალდებულო (მრავალთა შორის იხ.
სუსგ-ებები: №ას-914-954-2011, 27 ოქტომბერი, 2011 წელი; №ას-
658-625-2014, 5 დეკემბერი, 2014 წელი). ამდენად, საკასაციო პა-
ლატა მხედველობაში იღებს გასაჩივრებული განჩინებით დადგე-
ნილ იმ გარემოებას, რომ თავად მოსარჩელის განმარტებიდან გა-
მომდინარე, მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე ის ისევე სარგებ-
ლობდა სადავო ავტომობილით, როგორც მამის გარდაცვალების
შემდეგ და მიიჩნევს, რომ სამკვიდრო მასის გარეთ არსებული ქო-
ნების ექსპლუატაციით სამკვიდროს დაუფლების თაობაზე კასა-
ტორის პრეტენზია სამართლებრივად უსაფუძვლოა.

1.3.7. პალატა უარყოფს კასატორის პოზიციას სამკვიდროს მი-
ღების შედავების ვადის გაშვების თაობაზე გასაჩივრებული გან-
ჩინების შეუსაბამობაზე ერთგვაროვან პრაქტიკასთან და მიიჩნევს,
რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება ასევე დასაბუთებუ-
ლია. პალატის ეს დასკვნა ემყარება შემდეგს: ქვემდგომმა სასა-
მართლოებმა საცესებით მართებულად შეაფასეს სარჩელში მითი-
თებული გარემოება – პრეტენზიის წარდგენამდე (სარჩელის აღ-
ძვრამდე) სამი თვით ადრე სამკვიდროს მიღების ფაქტის შეტყობა
აღიარებდა (სსსკ-ის 131-ე მუხლი), რომელიც გაქარწყლებული არ
არის, შესაბამისად, ეს ფაქტი მოწმობს სამოქალაქო კოდექსის
1450-ე მუხლით განსაზღვრული შეცილების ვადის მოსარჩელის
მხრიდან დარღვევას (სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა
შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რო-
ცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს
სათანადო საფუძველი). რაც შეეხება საკასაციო სასამართლოს
პრაქტიკას, რომელსაც იშველიებს კასატორი, ქვემდგომი სასამარ-
თლოს დასკვნები არ ეწინააღმდეგება მას. როგორც ამ განჩინების
სამოტივაციო ნაწილის 1.3.1. პუნქტში აღინიშნა, სამკვიდროს მი-
ღება წარმოადგენს მემკვიდრის უფლებას და არა ვალდებულებას
და მას საკუთრების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოეშ-
ვება მამკვიდრებლის დანაშთ ქონებაზე, თუკი კანონით დადგე-
ნილ ვადაში და წესით განახორციელებს საკუთრების წარმომშობ
იურიდიულ მოქმედებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქონებაზე მას

საკუთრება არ წარმოეშობა და მისი უფლების დაცვა სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის ფარგლებში ვერ განხორციელდება. სწორედ ამგვარი მიდგომითაა ნაკარნახები ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის მიდგომა იმის თაობაზე, რომ უკვე წარმოშობილი საკუთრების უფლებაა აბსოლუტური ხასიათის და მასზე ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლება უზრუნველყოფილია ასევე ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, თუმცა, უფლების დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტიდან გამომდინარე, ნორმის მოქმედება ასევე წარმოშობილი საკუთრების მიმართ ვრცელდება. თავად საკუთრების წარმოშობის საფუძვლები კი, ხსენებული ნორმით სახელმწიფოსათვის დადგენილი შეფასების ფართო ზღვრის გათვალისწინებით, დგინდება ეროვნული კანონმდებლობით, ამგვარი საკანონმდებლო დათქმები კი, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1424-ე მუხლებია. ვინაიდან საქმის არსებითი განხილვით დადგინდა მოსარჩელის მიერ ზემოხსენებული ნორმებით განსაზღვრული იურიდიული შემადგენლობის დაუცველობა, პალატა თვლის, რომ მას არც საკუთრების უფლება არ წარმოშობია მამის დანაშთ ქონებაზე, რაც სწორად დაედო სარჩელის უარყოფას საფუძვლად.

1.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე წინაპირობა, რის გამოც, ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს მას.

2. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო კასატორი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, გათავისუფლებულია ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებისაგან, საქმის განხილვასთან დაკავშირებულ პროცესის ხარჯს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამის-

სად, გაიღებს სახელმწიფო. რაც შეეხება კასატორის მონინალმდე-
გე მხარის (მეორე მოპასუხე) მიერ საკასაციო პასუხით წარმოდგე-
ნილ შუამდგომლობას, რომლითაც ეს უკანასკნელი მოითხოვს პრო-
ცესისგარეშე ხარჯის – იურიდიული მომსახურებისათვის გადახდი-
ლი თანხის კასატორისათვის დაკისრებას, პალატა მიიჩნევს, რომ არ
არსებობს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი საფუძვე-
ლი. ამ მხრივ პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე,
რომ შესაგებელში არ არის მითითებული არც მოთხოვნილი თანხის
ოდენობა და არც მოთხოვნის საფუძვლები. მართალია, საკასაციო
პასუხს ერთვის მინდობილობა, რომელიც ადასტურებს მოპასუხესა
და წარმომადგენელს შორის დავალების ხელშეკრულების არსებო-
ბას, ამასთანავე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის
პირველი ნაწილი ასევე ადგენს იურიდიული მომსახურების ხარჯის
განსაზღვრის ცენზს, თუმცა, ამ ნორმის ლოგიკური განმარტები-
დან გამომდინარე, ხარჯის ოდენობა დავის სირთულითა და წარმო-
მადგენლის მიერ გაწეული შრომის მოცულობით ფასდება. წარმოდ-
გენილი საკასაციო პასუხი არა თუ ფორმალურ შედავებას, არამედ,
მინიმალურ დასაბუთებასაც არ შეიცავს საკასაციო საჩივრით სადა-
ვოდ გამხდარი გარემოებების უარყოფის თაობაზე, არამედ, მასში
მითითებულია, რომ მხარე არ ეთანხმება კასატორის პრეტენზიებს
და, როგორც დაზუსტებულ შესაგებელს, ისე – იურიდიული მომსა-
ხურების ხარჯის ოდენობას წარმომადგენს მოგვიანებით. საქმის არ-
სებითად განხილვამდე საკმაო დროის გასვლის მიუხედავად, ამგვა-
რი დაზუსტებული შედავება საქმეში წარმოდგენილი არ არის, რაც
საკასაციო განხილვის ეტაპზე წარმომადგენლის მხრიდან რაიმე და-
ვლების შესრულების გამორიცხვისა, და შესაბამისად, შუამდგომ-
ლობის უარყოფის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. გ. ჯ-ის შუამდგომლობა იურიდიული მომსახურების ხარჯე-
ბის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-
ჩივრდება.

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფაქტობრივით

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-603-562-2017

10 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავედი

დავის საგანი: უძრავი ქონების 1/2 ნაწილზე მემკვიდრედ და
თანამესაკუთრედ ცნობა, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად
ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ი. ვ-ძემ (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ჭ-ძის (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“, „მოსარჩელის ძმა“ ან „პირველი კასატორი“) და ა. ჭ-ძის (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“, „მოსარჩელის ძმისშვილი“ ან „მეორე კასატორი“) მიმართ და მოითხოვა უძრავი ქონების, მდებარე: ქ. ვანი, ..., ს.კ. ... 1/2-ის (შემდგომში – „სადავო უძრავი ქონება“ ან „სადავო სახლი“) მესაკუთრედ ცნობა და პირველ და მეორე მოპასუხეებს შორის 2015 წლის 24 ნოემბერს დადებული სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. მოსარჩელე დაიბადა და გაიზარდა მშობლებთან და დედამამშვილებთან ერთად ქ. ვანში. მისი მამა – ა. ჭ-ძე (შემდგომში – „პირველი მამკვიდრებელი“, „მამა“, „მოსარჩელის მამა“ ან „პირველი მოპასუხის მამა“) გარდაიცვალა 1988 წელს, ხოლო დედა – შ. ჭ-ძე (შემდგომში – „მეორე მამკვიდრებელი“, „დედა“, „მოსარჩელის დედა“ ან „პირველი მოპასუხის დედა“) 2001 წელს;

2.2. მშობლების გარდაცვალებისთანავე მოსარჩელე მის ძმასთან, პირველ მოპასუხესთან ერთად, ფაქტობრივად დაეუფლა მშობლების სამკვიდრო ქონებას;

2.3. მოსარჩელეს წლების მანძილზე აქვს უთანხმოება მის ძმასთან და ძმისშვილთან. მათ იცოდნენ, რომ იგი, როგორც მშობლების პირველი რიგის მემკვიდრე, პრეტენზიას აცხადებდა სამკვიდრო ქონებაზე;

2.4. აღნიშნულის მიუხედავად, მოსარჩელისთვის ცნობილი გახდა, რომ პირველმა მოპასუხემ მშობლების დანაშთი, მთლიან სამ-

კვიდრო ქონებაზე მიიღო სამკვიდრო მონაწილეობა, რის საფუძველზეც მან საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა სამკვიდრო ქონება;

2.5. ვინაიდან პირველმა და მეორე მოპასუხეებმა იცოდნენ სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით მოსარჩელის პრეტენზიის შესახებ, 2015 წლის 24 ნოემბერს სადავო უძრავ ქონებაზე გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც პირველმა მოპასუხემ თავის შვილს, მეორე მოპასუხეს 5000 ლარად მიჰყიდა სადავო უძრავი ქონება (რომელიც სამკვიდრო მონაწილეობის შესაბამისად შეფასებულია 20 000 ლარად);

2.6. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო უძრავი ქონება საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მეორე მოპასუხის სახელზე, რომელიც ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არ შეიძლება ჩაითვალოს კეთილსინდისიერ შემძენად.

3. მოპასუხეებმა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს შემდეგი:

3.1. მოსარჩელე არ დაუფლებია სამკვიდრო ქონებას, ხოლო, პირველმა მოპასუხემ კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად მიიღო მშობლების დანაშთი ქონება, მათ შორის, სადავო უძრავი ქონება, რომელიც, ასევე, კანონის მოთხოვნათა დაცვით მიჰყიდა თავის შვილს, მეორე მოპასუხეს;

3.2. მოპასუხეებმა, ასევე, მიუთითეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.

4. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 02 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი 2015 წლის 24 ნოემბერს პირველ და მეორე მოპასუხეებს შორის სადავო უძრავ ქონებაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება; მოსარჩელე ცნობილ იქნა სადავო უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ.

5. მოპასუხეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივარი. მათ მოითხოვეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 02 ნოემბრის გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7.1. მოსარჩელე და პირველი მოპასუხე არიან და-ძმა, 1988 წლის 13 აპრილს გარდაცვლილი პირველი მამკვიდრებლისა და 2001 წლის 23 სექტემბერს გარდაცვლილი მეორე მამკვიდრებლის შვილები და პირველი რიგის მემკვიდრეები;

7.2. ნოტარიუსის მიერ 2015 წლის 10 ნოემბერს გაიცა სამკვიდრო მონმობები, რომლის თანახმად, პირველმა მოპასუხემ, როგორც დედისა და მამის პირველი რიგის მემკვიდრემ, სრულად მიიღო სამკვიდრო ქონება;

7.3. სამკვიდრო მონმობების საფუძველზე 2015 წლის 16 ნოემბერს სადავო უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა პირველი მოპასუხის სახელზე, ხოლო, 2015 წლის 24 ნოემბერს პირველ და მეორე მოპასუხეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე მოპასუხის საკუთრებაში;

7.4. სასამართლო სხდომაზე დაკითხული მონმეების – ა. კ-ძის, ი. ჭ-ძისა და ზ. მ-ის ჩვენებებით დადასტურებულად ჩაითვალა, რომ მოსარჩელე მამის გარდაცვალების შემდეგ დაეუფლა მისი სამკვიდრო ქონების ნაწილს, კერძოდ, სამფითილიან ნავთქურას, წიგნს – ბიძია თომას ქოხი, ასევე, სარგებლობდა მამის სამკვიდროში შემავალი მიწის ნაკვეთით და მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლით; ხოლო, დედის გარდაცვალების შემდეგ დაეუფლა მის პირად ნივთებს, მათ შორის, თავსაბურავს, ასევე, სარგებლობდა დედის სამკვიდროში შემავალი მიწის ნაკვეთით (მასზე განთავსებული ხეხილით) და საცხოვრებელი სახლის ნაწილით;

7.5. მოპასუხეებმა შესაგებლით დაადასტურეს ის გარემოება, რომ მათ კონფლიქტური დამოკიდებულება ჰქონდათ მოსარჩელესთან, რომელმაც თავისი პრეტენზიის გაცხადება დაიწყო 2015 წლის 31 აგვისტომდე, ხოლო მოპასუხემ 2015 წლის ნოემბრის თვეში მოახდინა სამკვიდრო ქონების მიღება და გასხვისება.

8. სააპელაციო სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ სამკვიდრო მონმობის მიხედვით, მოსარჩელისა და პირველი მოპასუხის მამის სამკვიდროს წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონება.

9. სააპელაციო პალატის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მონმის სახით დაკითხულმა ა. კ-ძემ განმარტა, რომ არის მოპასუხის მეზობელი. მოსარჩელესთან მის ოჯახს აქვს კონფლიქტური დამოკიდებულება, თუმცა პირადად მას არა. პირველი მამკვიდრებლის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგაც, მოსარჩელე ხშირად მიდიოდა მამის ოჯახში, და-ძმას კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მამის გარდაცვალებიდან 40 დღის შემდეგ მოსარჩელე მანქანით იყო მისული, დედის მეშვეობით საბარგულში ჩააწყო ნივთები და წაიღო; დედის გარდაცვალების შემდეგ, მან წაიღო წიგნი, თავსაფარი, ასევე, ვანში ჩასვლის დროს,

ლამეს ათევდა დედის ოთახში; მშობლების გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელეს ღვინო გაუკეთეს მშობლების ეზოში მოწეული ყურძნით და გაატანეს; პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომებზე პირველმა მოპასუხემ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ რამდენიმე წიგნი წაიღო, რაც მისი შეძენილი იყო და აჩუქა თავის დას; აპელანტს არ გაუქარწყლებია მოწმის მიერ მითითებული გარემოებები.

10. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით შეაფასა და სწორად დაადგინა, რომ მშობლების გარდაცვალების შემდეგ მათი მოძრავი ნივთების დაუფლება, ასევე, მამკვიდრების მიწის ნაკვეთზე ყურძნის მოსავლის მიღება ადასტურებდა სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით დაუფლებას, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე-1374-ე, 1421-ე და 1433-ე მუხლების შესაბამისად, დანაშთი სამკვიდროს $\frac{1}{2}$ ნაწილის მიღებულად მიჩნევისა და ამ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველის წარმოადგენდა.

11. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ ვინაიდან მეორე მოპასუხისათვის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე ცნობილი იყო სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავის შესახებ, ასევე, მოსარჩელის მიერ მშობლების, მათ შორის, მამის დანაშთი სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ მეორე მოპასუხე ვერ ჩაითვლებოდა სადავო უძრავი ქონების იმ ნაწილის კეთილსინდისიერ შემძენად, რომელიც მემკვიდრეობის საფუძველზე მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენდა.

12. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინეს მოპასუხეებმა და მოითხოვეს გადაწყვეტილების გაუქმება.

14. კასატორებმა საკასაციო საჩივარში მიუთითეს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძველებზე:

14.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები. მან შეაფასა მხოლოდ მოსარჩელის მოწმეთა ჩვენებები და გვერდი აუარა მოპასუხეების მოწმეთა ჩვენებებს. ამასთან,

მონმეთა ჩვენებები წინააღმდეგობრივია და არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამკვიდრო ქონების დაუფლების მტკიცებულებად;

14.2. მოსარჩელემ შეადგინა აქტი, რომელშიც ჩამოთვლილია ის ნივთები, რომლებიც თითქოს მშობლებისგან მიიღო. ამ აქტით არ დასტურდება კონკრეტულად რომელი ნივთია მამის დანატოვარი. მოპასუხეებმა მოითხოვეს აქტში მითითებული ნივთების წარმოდგენა, რაზეც სასამართლომ არ იმსჯელა. სინამდვილეში ასეთი ნივთები არ არსებობს და მოსარჩელე მათ არ დაუფლებია;

14.3. დადგენილი არ არის ნიგნი და ნავთქურა, რომელთა მეშვეობითაც ცდილობს მოსარჩელე მამის სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი დაუფლების დამტკიცებას, ვის სამკვიდრო ქონებას წარმოადგენდა – დედის თუ მამის. გარდა ამისა, არ დასტურდება დაეუფლა თუ არა მოსარჩელე აღნიშნულ ქონებას სამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში;

14.4. მოსარჩელის მიერ სადავო ქონების დაუფლების დადასტურების შემთხვევაშიც, გასაჩივრებული განჩინება არასწორია. სადავო ქონება ირიცხებოდა მოსარჩელის მამის სახელზე, რომელიც გარდაიცვალა 1988 წელს. მას დარჩა პირველი რიგის 5 მემკვიდრე. მეუღლე, რომელმაც სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო და 4 შვილი. აღნიშნული ქონება წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას. ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება არ ეხება ქონების იმ ნაწილს, რომელიც მას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან ეკუთვნოდა. აქედან გამომდინარე, სადავო სახლის ნახევარი არ წარმოადგენს მამის სამკვიდროს. სახლის მეორე ნახევარზე პირველი რიგის მემკვიდრეები არიან მეუღლე და 4 შვილი. მეუღლე გარდაიცვალა 2001 წელს. მის სამკვიდროს შეადგენდა სადავო ქონების ნახევარი, როგორც მეუღლეთა თანასაკუთრება, რომელსაც დაემატა სადავო სახლის მეორე ნახევრის წილი გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრეობიდან. დედის სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო პირველმა მოპასუხემ. ამდენად, სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მოსარჩელისათვის უნდა მიეკუთვნებინა სადავო უძრავი ქონების ნახევრის მხოლოდ $\frac{1}{4}$ ნაწილი, მის მიერ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დამტკიცების შემთხვევაში;

14.5. სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლი, რის გამოც მიიღო არასწორი გადაწყვეტილება. საქმეში არ ყოფილან ჩაბმულები სხვა მემკვიდრეები, რაც სასამართლოს თავისი ინიციატივით უნდა გაეკეთებინა. სხვა მემკვიდრეების გათვალისწინების შემთხვევაში, სარჩელის საფუძვლიანობისას, იგი მხოლოდ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო;

14.6. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება დამოკიდებული იყო პირველი სასარჩელო მოთხოვნის ბედზე. შესაბამისად, ვინაიდან არ დასტურდება მოსარჩელის მიერ მამის სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი დაუფლება, სადავო ქონებაზე სწორად იქნა გაცემული სამკვიდრო მონმობა პირველი მოპასუხის სახელზე და, შესაბამისად, ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იყო მეორე მოპასუხეზე გაესხვისებინა სადავო უძრავი ქონება;

14.7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, მეორე მოპასუხის სასარგებლოდ მოქმედებს რეესტრის მონაცემების მიმართ უტყუარობის პრინციპი. მას ვერ ეცოდიან ბოდა და არც უნდა სცოდნოდა მოსარჩელის საკუთრების შესახებ. შესაბამისად, მეორე მოპასუხე წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს. ის გარემოება, რომ სადავო სახლში ცხოვრობენ მეორე მოპასუხის გარდაცვლილი ძმის მეუღლე და შვილები, არ მიუთითებს ამ ნასყიდობის ხელშეკრულების მოჩვენებითობაზე;

14.8. გარდა ამისა, თუნდაც სარჩელის საფუძვლიანობის შემთხვევაში, პირველ მოპასუხეს ჰქონდა სადავო უძრავი ქონების ნაწილის გასხვისების უფლება. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ სადავო ხელშეკრულება მთლიანად ცნო ბათილად;

14.9. სასამართლომ გასცდა სასარჩელო მოთხოვნებს, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი. კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა $\frac{1}{2}$ ნაწილში, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ ხელშეკრულება მთლიანად ცნო ბათილად;

14.10. განჩინება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

16. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

17. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე

მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

18. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მოსარჩელის მიერ მშობლების სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიღება. კასატორების განმარტებით, მოსარჩელე მამის გარდაცვალების შემდგომ არ დაუფლებია მის სამკვიდროში შემავალ მოძრავ ან/და უძრავ ქონებას.

19. დადგენილია, რომ მოსარჩელისა და პირველი მოპასუხის მამა გარდაიცვალა 1988 წელს. მისი გარდაცვალებით სამკვიდრო გაიხსნა სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე, 1988 წელს. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის შესაბამისად [1. სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ. 3. სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ, ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს], განსახილველი დავა, მამის სამკვიდროს მიღების ნაწილში, უნდა მოწესრიგდეს იმ დროს მოქმედი, 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმებით.

20. 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ სამკვიდრო მემკვიდრისა გახდეს, მან უნდა მიიღოს იგი. არ შეიძლება სამკვიდროს მიღება რაიმე პირობების წამოყენებით. სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემკვიდრე ფაქტიურად შეუდგება სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, აგრეთვე როდესაც იგი შეიტანს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში სამკვიდროს გახსნის ადგილას განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ. ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული მოქმედებები შესრულებულ უნ-

და იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

21. ამდენად, 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მსგავს მონენსრიგებას გვთავაზობს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ხოლო, იმავე კოდექსის 1424-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ სამკვიდროს გახსნის შედეგად მემკვიდრეობის მიღებისათვის მხოლოდ მემკვიდრეობის უფლების ქონა საკმარისი არ არის, ანუ მხოლოდ უფლების არსებობა არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს. აღნიშნული უფლების სარეალიზაციოდ აუცილებელია კონკრეტული მოქმედების განხორციელება – მემკვიდრეობის მიღება (იხ. სუსგ საქმე №ას-851-800-2010, 16 თებერვალი, 2011 წელი). ამასთან, მემკვიდრეობის მიღება სამართლებრივი ძალის მატარებელია მაშინ, თუ იგი კანონით დადგენილ 6 თვით ვადაში განხორციელდა.

23. თავის მხრივ, როდესაც სარჩელის საგანს სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების გზით მიღება წარმოადგენს და ამას არ თანხმება მოპასუხე, მტკიცების საგანში შემავალი უმთავრესი ფაქტის – ქონების ფაქტობრივად დაუფლების ტვირთი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის მხარეზეა. არც მატერიალური და არც საპროცესო სამართლის ნორმები გვთავაზობს მტკიცებულებათა იმგვარ ნუსხას, რომლებითაც შეიძლება დადასტურდეს მოსარჩელის მიერ სამკვიდროს/მისი ნაწილის დადგენილ ვადაში მესაკუთრის მსგავსად დაუფლება, შესაბამისად, ეს გარემოება შეიძლება დადასტურდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი მტკიცებულებით (მხარეთა ახსნა-განმარტება, მონმეთა ჩვენება, ფაქტების კონსტანტაციის მასალები, ნივთიერი თუ წერილობითი მტკიცებულება და სხვა). იმავე კოდექსის მე-4 და 103-ე (1) მუხლების შესაბამისად, მტკიცებულებები უნდა წარადგინოს მოსარჩელემ. რაც შეეხება მტკიცებულებათა შეფასებას, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით საქმეში არსებული მტკიცებულებების კვლევას სასამართლო ახდენს თავისუფალი შეფასების ფარგლებში (სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით), რომელიც მოიცავს მათ, როგორც ინდივიდუალურ, ისე ერთობლივად გამოკვლევას, მტკიცებულებათა იურიდიული სანდო-

ობის შესწავლას, მათ შეპირისპირებას, რაც სასამართლოს უქმნის შინაგან რწმენას მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის დადასტურების საკითხზე (იხ. სუსგ საქმე №ას-1114-1071-2016, 22 ნოემბერი, 2018 წელი).

24. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს (იხ. სუსგ საქმე №ას-833-833-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი; №ას-867-834-2016, 22 ნოემბერი, 2018 წელი).

25. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსარჩელეს კანონით დადგენილ ვადაში სანოტარო წესით მშობლების სამკვიდროზე პრეტენზია არ განუცხადებია. მისი მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლება წარმოადგენს. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მოწმეები.

26. საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორების პრეტენზიას მოწმეთა ჩვენებების არასწორად შეფასებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ აღნიშნული მტკიცებულებებით არ დგინდება მოსარჩელის მიერ მამის სამკვიდროს მიღების ფაქტი. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა მოწმეთა ჩვენებები, ყოველმხრივ და სრულად გამოიკვლია მათი თანმიმდევრულობა და მიიჩნევს, რომ მოწმედ დაკითხულმა პირებმა დამაჯერებლად ვერ მიუთითეს მოსარჩელის მიერ მამის სამკვიდროს კანონით დადგენილ ვადაში მიღებაზე. მათი ჩვენებები დამაჯერებლად არ აღწერს იმგვარ გარემოებებს, რომელთა ანალიზი დაადასტურებდა მტკიცების საგანში შემავალ უმნიშვნელოვანეს ფაქტებს.

27. მოწმე ა. კ.-ძის (მეზობელი) განმარტებით, მამის გარდაცვალებიდან 40 დღის შემდგომ, მოსარჩელე მანქანით იყო მისული მშობლების სახლში, საიდანაც დედამ გაატანა მუქი ფერის (ზუსტად არ ახსოვს ფერი, სავარაუდოდ მოშავო-მოყავისფრო) სამფითილიანი ნავთქურა, თუჯის ქვაბი და რამდენიმე სხვა ქვაბი. აღნიშნული მოწმე, ერთი მხრივ, ყურადღებას ამახვილებს, რომ დასახელებული ნივთები მოსარჩელემ მამის გარდაცვალებიდან 40 დღის შემდგომ ნაილო, თუმცა, მეორე მხრივ, არ აკონკრეტებს ისინი

წარმოადგენდა თუ არა მამის კუთვნილ ნივთებს. ამასთან, ამბობს, რომ დედამ ისინი მოსარჩელეს საჩუქრად გადასცა; აღნიშნულმა მოწმემ თავდაპირველად მიუთითა, რომ მოსარჩელემ წიგნი – ბიძია თომას ქოხი მშობლების სახლიდან წაიღო დედის გარდაცვალების შემდგომ, თუმცა, მოგვიანებით იგივე წიგნთან დაკავშირებით თქვა, რომ დედამ მისცა მამის გარდაცვალებიდან დაახლოებით ერთი-ორი თვის შემდგომ; ამდენად, აღნიშნული მოწმის ჩვენება ორაზროვანი და არათანმიმდევრულია, რის გამოც მას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს.

28. მოწმე ნ. ა-ის (მოსარჩელის მეზობელი) განმარტებით, მამის გარდაცვალებიდან 40 დღის შემდგომ მოსარჩელემ იგი დაპატიჟა მამისადმი მიძღვნილ საპატივცემულო სადილზე, სადაც ნახა ქვაბი, რომელიც მოსარჩელის განმარტებით, დედის და მამის გარდაცვალების შემდგომ ჰქონდა წამოღებული. მან, ასევე, მიუთითა, რომ მოსარჩელემ მამის გარდაცვალების შემდგომ მშობლების სახლიდან წაიღო ნავთქურა და ქვაბი. აღსანიშნავია, რომ მოწმე პირადად არ იცნობდა მოსარჩელის მშობლებს, მას ეს ფაქტები საკუთარი თვალით არ უნახავს და მათ შესახებ იცოდა მხოლოდ მოსარჩელის მონათხრობიდან. ამდენად, საკასაციო სასამართლო დასახელებული მოწმის ჩვენებას ვერ მიიჩნევს სანდოდ და შესაბამისად, ვერც მას გაიზიარებს.

29. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლი მოწმედ განიხილავს ნებისმიერ პირს, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ, თუმცა, კანონის ეს დანაწესი არ ნიშნავს ამ პირის ჩვენების უალტერნატივოდ გაზიარებას. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელე მამის სამკვიდრო ქონების დაუფლების დადასტურებას მხოლოდ საკუთარი ახსნა-განმარტებითა და მოწმეთა ჩვენებებით ცდილობს, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ შეაფასა მოწმეთა ჩვენებები და არასწორად დაადგინა, რომ მოსარჩელეს ფაქტობრივი ფლობით მიღებული აქვს მამის სამკვიდრო ქონება.

30. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არ დასტურდება მოსარჩელის მიერ მამის სამკვიდროს მიღების ფაქტი, საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმსჯელოს მოსარჩელის მიერ დედის სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით. აღნიშნული შესაძლოა გახდეს სადავო უძრავი ქონების ნაწილზე საკუთრების უფლების მოპოვების წინაპირობა.

31. დადგენილია, რომ პირველმა მოპასუხემ კანონით დადგენილი წესით მიიღო მამის სამკვიდრო ქონება. ამასთან, სადავო გარე-

მოებას არ წარმოადგენს, რომ მოსარჩელისა და პირველი მოპასუხის დედა მეუღლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში ფაქტობრივად დაეუფლა მის სამკვიდრო ქონებას. აღნიშნულს თავად კასატორიც ადასტურებს მის მიერ წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 14.4. პუნქტი).

32. ამრიგად, უდავო ფაქტია, რომ მამის სამკვიდრო ქონება მიიღეს პირველმა მოპასუხემ და დედამ.

33. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დადგენილია, რომ სადავო უძრავი ქონება წარმოადგენდა მამის სამკვიდრო ქონებას, რომლის მიღებაზეც პრეტენზია სხვა მემკვიდრეებს არ განუცხადებიათ, იგულისხმება, რომ პირველ მოპასუხეს და დედას საკუთრების უფლება წარმოეშვათ აღნიშნული ქონების $\frac{1}{2}$ - $\frac{1}{2}$ ნილზე. ამასთან, დადგენილი არ არის სამკვიდრო ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების ფაქტი.

34. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ დედის სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლებას, მოწმეთა განმარტებით, მოსარჩელე დედის გარდაცვალების შემდგომ დაეუფლა მის კუთვნილ სხვადასხვა ნივთებს, კერძოდ, მოწმე ა. კ-ის (მეზობელი) განმარტებით, მოსარჩელე დედის გარდაცვალების შემდგომ დაეუფლა მის თავშალს (მუქი ლურჯი, ყვითელი ზოლებით), იგი ხშირად მიდიოდა და რჩებოდა მშობლების სახლში, სარგებლობდა დედის ოთახით, დედის გარდაცვალების შემდგომ, შემოდგომაზე, მოსარჩელეს მშობლების სახლში მოწვეული ყურძნით დაუმზადეს ღვინო და გაატანეს; მოწმე ნ.ა-ის (მოსარჩელის მეზობელი) განმარტებით, მოსარჩელემ დედის გარდაცვალების შემდგომ წაიღო მისი თავშალი (კუბოკრული, შავი-მოწითალო ფერის) და ნაქარგები; მოწმე ი. ჭ-ის განმარტებით (მხარეთა ნათესავი), დედის გარდაცვალების შემდგომ მოსარჩელე სარგებლობდა დედის ნივთებით, მოსარჩელესთან სტუმრად ყოფნის დროს, მან აჩვენა დედის თავშალი (წითელი ზოლებით), რომელიც დედის გარდაცვალებიდან 40 დღის გასვლამდე ან გასვლის შემდგომ ჰქონდა წამოღებული; მოწმე ზ. მ-ის (პირველი მოპასუხის გარდაცვლილი შვილის ცოლი) განმარტებით, მან მოსარჩელე პირველად ნახა დედის დაკრძალვის წინა დღეს, მოსარჩელის სახლში. ამ დღეს მოსარჩელემ მას ანახა დედის ნივთები, მათ შორის, თავშალი (მუქი ფერის – კუბოკრული, მოწითალო ფერებში) და ნაქარგები, რომელიც გარდაცვალების შემდგომ ჰქონდა წამოღებული. იგი, მართალია პირადად არ იცნობდა მოსარჩელის დედას, თუმცა, მოსარჩელის მიერ გადაღებულ ერთ-ერთ ვიდეოში მას ნანახი ჰქონდა, რომ დედას სწორედ ასეთი თავშალი ეკეთა. მოსარჩელის დედის ორმოცზე რომ მივიდა, მოსარჩელე და მისი დანარჩენი დები დედის გარდერობიდან ნივთებს იღებ-

დნენ, რომელთაგან ნაწილი გააჩუქეს, ხოლო ნაწილი თავად წაიღეს.

35. ამრიგად, მოწმეები ადასტურებენ მოსარჩელის მიერ დედის გარდაცვალების შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში მისი ნივთების დაუფლების ფაქტს. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მართებულად არის დადგენილი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არსებითად არც კასატორი უარყოფს ამ გარემოებას. რაც შეეხება მოპასუხე მხარის შუამდგომლობით დაკითხულ მოწმეებს (ნ. მ-ძე, ნ. ჭ-ძე და ნ. დ-ი) მათ, მართალია, უარყვეს ზემოთ დასახელებული მოწმეების მიერ მითითებული ფაქტები, თუმცა, იმავდროულად აღნიშნეს, რომ მათ არ აქვთ აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია, რაც ვერ იქნება მიჩნეული დამაჯერებელ და სანდო განმარტებად და ვერ გააქარწყლებს დანარჩენ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც ადასტურებენ მტკიცების საგანში შემავალ ფაქტობრივ გარემოებას.

36. შესაბამისად, ვინაიდან დადგენილია, რომ მოსარჩელე ფაქტობრივად შეუდგა დედის სამკვიდრო ქონების ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო დედის სამკვიდრო ქონება (სსკ-ის 1421-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

37. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

38. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ დედამ მეუღლის გარდაცვალების შემდგომ, ფაქტობრივი ფლობით მიიღო მისი დანაშთი სამკვიდრო ქონება, რის საფუძველზეც მას საკუთრების უფლება წარმოეშვა სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილზე; დადგენილია, ასევე, რომ მოსარჩელემ ფაქტობრივი დაუფლებით მიიღო დედის სამკვიდრო ქონება და მასზე საკუთრების უფლება წარმოეშვა სამკვიდროს გახსნის დღიდან. შესაბამისად, იგი, როგორც დედის მემკვიდრე, აღიარებულ უნდა იქნეს სადავო უძრავი ქონებიდან დედის კუთვნილი წილის $\frac{1}{2}$ ნაწილის, ანუ სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{4}$ წილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ.

39. კასატორები დავობენ, რომ საქმეში არ ყოფილან ჩაბმულები სხვა მემკვიდრეები, რაც სასამართლოს თავისი ინიციატივით უნდა გაეკეთებინა, რასაც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს.

40. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სავალდებულო თანამონაწილეობა სახეზეა თუ სარჩელის საგანს საერთო უფლება წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, საერთო უფლება გამომდინარეობს კანონიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლიდან, რო-

მელიც განსაზღვრავს კანონით მემკვიდრეთა წრეს. კასატორების განმარტებით, პირველ მამკვიდრებელს ჰყავდა კიდევ ორი კანონისმიერი მემკვიდრე, რომლებიც სასამართლოს, როგორც სავალდებულო თანამონაწილეები თავისი ინიციატივით უნდა მოეწვია და ჩაება საქმის განხილვაში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლებიდან გამომდინარე თანამონაწილეობა სახეზეა მაშინ, როცა მემკვიდრეს კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონება, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, კასატორი ამ ფაქტზე არ მიუთითებს, უფრო მეტიც, იგი დავობს სწორედ იმას, რომ მხოლოდ მას აქვს დედისა და მამის სამკვიდრო მიღებული. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ი. ჭ-ძემ, რომელიც არის მოსარჩელისა და პირველი მოპასუხის და, განმარტა, რომ მას და მის დებს დედის გარდაცვალების შემდგომ არაფერი არ წაუღიათ, დედის კუთვნილი ნივთების ნაწილი გადაყარეს, ხოლო დანარჩენი თან გაატანეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას და თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არაა სავალდებულო თანამონაწილეობის შემთხვევა.

41. კასატორები, ასევე, დავობენ, რომ მეორე მოპასუხე წარმოადგენს სადავო უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენს, რის გამოც არ არსებობს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი.

42. თავდაპირველად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იზიარებს კასატორების პრეტენზიას ნასყიდობის ხელშეკრულების მთლიანად ბათილად ცნობასთან დაკავშირებით. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილზე მესაკუთრედ ცნობა, შესაბამისად, თუნდაც სარჩელის საფუძვლიანობის შემთხვევაში, სადავო გარიგებას სამართლებრივი საფუძველი გამოეცლებოდა მხოლოდ ნაწილობრივ, რაც არ უკარგავს პირველ მოპასუხეს უფლებას გაასხვისოს უძრავი ქონების მისი კუთვნილი ნაწილი.

43. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსარჩენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).

44. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ მოჩვენებითი გარიგება, როცა ნების გამომვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე, რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ

მიეცეს მსვლელობა და არ მოჰყვეს ამ გარიგებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედეგი. მოჩვენებით გარიგებას ორი ძირითადი ნიშანი ახასიათებს: პირველი, ის დადებულია მოსაჩვენებლად და, მეორე, მხარეებს არა აქვთ ამ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომის განზრახვა. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამოვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდეს ნების ნაკლს (იხ. სუსგ საქმე №ას-976-908-2017, 22 იანვარი, 2018 წელი; №ას-366-2019, 17 მაისი, 2019 წელი).

45. ამრიგად, მოჩვენებით გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებით ნების გამოვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში ორივეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი. სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ). ამრიგად, იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებით გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმფციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან თუნდაც მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რისი გაქარწყლებაც მოსარჩელეს ევალება (იხ. სუსგ საქმე №ას-1439-1357-2012, 01 ივლისი, 2013 წელი).

46. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასყიდლიანი გარიგების შემთხვევაში, კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დაცვის საკითხს სამოქალაქო კოდექსი წყვეტს სამოქალაქო ბრუნვის სიმაყარისა და სტაბილურობის ინტერესების გათვალისწინებით, საამისოდ აღნიშნული კოდექსის 185-ე მუხლი არის ის დამცავი ნორმა, რომელიც კეთილსინდისიერ შემძენს იცავს მისი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

47. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებით დადგენილია საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა

და სისრულის პრეზუმფცია, რომელიც ვრცელდება მხოლოდ რეგისტრაციაუნარიან უფლებებზე. აღნიშნული კოდექსის 183-ე მუხლი ადგენს უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობის სანივთოსამართლებრივ წინაპირობებს [უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში], თუმცა, იგი არ არის ამომწურავი, საკუთრების გადაცემის, როგორც განკარგვითი ხელშეკრულების ვალდებულებითი ნაწილიდან გამომდინარე (სსკ-ის 477-ე მუხლი), მასზე ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილი ყველა ის ზოგადი და კერძო შეზღუდვა ვრცელდება, რაც სახელშეკრულებო სამართლისთვისაა დამახასიათებელი. საკუთრების უფლების გადაცემისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ კანონის ზემოხსენებული ფორმალური მოთხოვნების დაცვა (მაგ: მხოლოდ გარიგების ფორმის დაცვა, საზღაურის გადახდა და სხვა), არამედ, უმთავრეს ამოსავალს წარმოადგენს მხარეთა ნების ნამდვილობა, ანუ ქონების განკარგვა უნდა განხორციელდეს გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთმფარავი ნამდვილი ნების საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმის მიხედვით თუ რა ნაკლი გააჩნდა გარეგნულად ფორმირებულ ნებას, დღის წესრიგში დგება მისი შედეგის ნამდვილობის საკითხი (საქილო და უცილოდ ბათილი გარიგებები) (იხ. სუსგ საქმე №ას-28-25-2017, 28 თებერვალი, 2018 წელი).

48. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე მსჯელობისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს სამ კომპონენტზე: ნება, მისი გამოვლენა და მათი ურთიერთშესაბამისობა. ამ სამი ელემენტიდან ერთერთის ხარვეზი განაპირობებს ნების გამოვლენის არარსებობას ან არანამდვილობას ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებების გამო. ასეთია ის გარემოება, რომელიც ნების გამოვლენის გარეგნული გამოხატულების, მისი შემადგენლობის არსებითი ელემენტების არსებობის მიუხედავად, გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე. სამართლებრივი შედეგის გამოწვევა შეიძლება მიუღებელი იყოს გარიგების შინაარსის დაუშვებლობის, მისი დადების გარემოებების, ნების გამოვლენის ფორმის, ნაკლის გამო (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017 წელი). ამრიგად, იმისათვის, რომ შემძენი გახდეს მესაკუთრე, სამოქალაქო კანონმდებლობით გამყიდველის საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაციის ფაქტთან ერთად, ასევე, დადგენილია დამატებითი პირობები.

49. საკასაციო პალატა, ასევე, მიუთითებს, რომ კეთილსინდისიერება უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს და არა ობიექტურს.

ამასთან, კეთილსინდისიერება არსებობს უფლების წარმოშობამდე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვიებული ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვიებული არ იყო მესაკუთრე. იმავე კოდექსის 312-ე მუხლის შესაბამისად, შემძენი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს მესაკუთრე, თუ მან არ იცოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ. ამასთან, უზუსტო ჩანაწერთან დაკავშირებით, შემძენს არაკეთილსინდისიერად აქცევს არა ყოველგვარი ცოდნა, არამედ მხოლოდ ისეთი, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს უფლების შეძენის ნამდვილობას, ანუ იმ გარემოებათა ცოდნა, რის გამოც ჩანაწერი უზუსტოა (იხ. სუსგ საქმე №ას-189-182-2013, 16 იანვარი, 2014 წელი).

50. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლზე მსჯელობისას სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეეძლო თუ არა სცოდნოდა სადავო ფაქტი. სწორედ ამ გარემოებათა გამოკვლევას უნდა ეფუძნებოდეს დასკვნა შენაძენის ნამდვილობასა და მისი დაცვის მიზანშეწონილობის თაობაზე.

51. მოცემულ შემთხვევაში, დადგინდა, რომ მოსარჩელემ კანონით დადგენილი წესით მიიღო დედის სამკვიდრო, ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად, დედის სამკვიდროში შემავალი ქონება მის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან – 2001 წლის 23 სექტემბრიდან. შესაბამისად, ვინაიდან სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო 2015 წლის 24 ნოემბერს, პირველი მოპასუხის მიერ, როგორც სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ წილის არამესაკუთრის მიერ, დაირღვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 477-ე მუხლები. რაც შეეხება მეორე მოპასუხის კეთილსინდისიერებას, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი იძლევა იმგვარი მსჯელობის შესაძლებლობას, რომ გარიგების მეორე მხარე – მეორე მოპასუხე არ წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენს. კერძოდ: პირველი და მეორე მოპასუხეები არიან მამა-შვილი; სადავო გარემოებას არ წარმოადგენს, რომ მოპასუხეთა შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას არ მოჰყოლია შედეგი და მეორე მოპასუხეს, როგორც მყიდველს არ მოუხდენია მესაკუთრის უფლებების რეალიზება – სადავო უძრავი ქონებით სარგებლობენ პირველი მოპასუხე, მისი გარდაცვლილი შვილის ცოლი და შვილები, მიუხედავად იმისა, რომ მასთან მეორე მოპასუხეს აქვს კონფლიქტური ურთიერთობა; მხარეები ადასტურებენ, რომ

მათ შორის სამკვიდროსთან დაკავშირებული დავა წარმოიშვა პირველი მოპასუხის მეორე შვილის გარდაცვალების შემდეგ (31.08.2015წ.), აღსანიშნავია, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია იმავე წელს, 2015 წლის 24 ნოემბერს.

52. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ როდესაც გარიგება ნათესავებს ან სხვა ოჯახის წევრებს შორის იდება (მოცემულ შემთხვევაში მამა-შვილს), ივარაუდება, რომ ოჯახის წევრებისათვის ცნობილი იყო ქონების ნაკლის თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მით უფრო, მემკვიდრეობითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.

53. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად ვარაუდობს, რომ მეორე მოპასუხისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო მოსარჩელის შესახებ, რომელიც, როგორც მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრე, პრეტენზიას აცხადებდა სამკვიდრო ქონებაზე. ზემოთ მითითებული გარემოებები სასამართლოს სწორედ ამ ვარაუდს უქმნის, ხოლო მოპასუხეებს არ წარუდგენიათ მტკიცებულება, რომელიც ამ ვარაუდს გააბათილებდა.

54. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილში სახეზეა პირველ და მეორე მოპასუხეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ფაქტობრივი-სამართლებრივი საფუძვლები.

55. კასატორები მიუთითებენ, რომ გასაჩივრებული განჩინება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, თუმცა, ისინი არ მიუთითებენ კონკრეტულ გარემოებებს, მათი პრეტენზია არის ზოგადი და არაკვალიფიციური, რაც შეუძლებელს ხდის მასზე საკასაციო სასამართლოს მიერ მსჯელობას.

56. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

57. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონ-

ნის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

58. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული განჩინების გაუქმებით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ბათილად უნდა იქნას ცნობილი 2015 წლის 24 ნოემბერს პირველ და მეორე მოპასუხეებს შორის სადავო უძრავ ქონებაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება $\frac{1}{2}$ ნაწილში და მოსარჩელე ცნობილ უნდა იქნას სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ.

59. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

60. მოსარჩელე ითხოვდა, სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობას. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოსარჩელე ცნობილ იქნა სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ, ანუ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნის 50%. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი იყო სახელმწიფო ბაჟი 390 ლარის ოდენობით, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ აღნიშნული თანხის ნახევარის – 145 ლარის გადახდა.

61. მოპასუხეებმა სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადეს 520 ლარი, ხოლო საკასაციო სასამართლოში 650 ლარი, შესაბამისად, ვინაიდან დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნის 50%, მოსარჩელეს მოპასუხეთა სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარის – 260 ლარისა და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარის – 325 ლარის, ჯამში – 585 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. მ. ჭ-ძისა და ა. ჭ-ძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მარტის განჩინება ი. ვ-ძის სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ი. ვ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ბათილად იქნეს ცნობილი 2015 წლის 24 ნოემბერს მ. ჭ-ძესა და ა. ჭ-ძეს შორის ქ. ვანში, ... მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: ...) ნასყიდობის ხელშეკრულება $\frac{1}{2}$ ნაწილში;

5. ი. ვ-ძე ცნობილ იქნეს ქ. ვანში, ... მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: ...) $\frac{1}{2}$ ნაწილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ;

6. მოპასუხეებს მ. ჭ-ძესა (პ/ნ: ...) და ა. ჭ-ძეს (პ/ნ: ...) დაეკისროთ ი. ვ-ძის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ მის მიერ 2016 წლის 6 ივნისს №12 საგადახდო დავალებით სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 390 (სამას ოთხმოცდაათი) ლარის ნახევრის – 145 (ას ორმოცდახუთი) ლარის გადახდა;

7. მოსარჩელეს ი. ვ-ძეს (პ/ნ: ...) დაეკისროს მ. ჭ-ძისა (პ/ნ: ...) და ა. ჭ-ძის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ მათ მიერ სააპელაციო საჩივარზე 2017 წლის 10 იანვრის №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 220 (ორას ოცი) ლარისა და 2017 წლის 16 იანვრის №1 საგადახდო დავალებით გადახდილი 300 (სამასი) ლარის, ჯამში 520 (ხუთას ოცი) ლარის ნახევრის, 260 (ორას სამოცი) ლარის, ასევე საკასაციო საჩივარზე 2017 წლის 7 ივნისის №0 საგადახდო დავალებით გადახდილი 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარის ნახევრის, 325 (სამას ოცდახუთი) ლარის, საერთო ჯამში 585 (ხუთას ოთხმოცდახუთი) ლარის გადახდა.

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-351-2019

15 ოქტომბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეიძე,

ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: სამკვიდრო ქონების წილზე მესაკუთრედ ცნობა, სამკვიდრო მოწმობაში ცლილებების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. ს-ი (შემდეგში – მამკვიდრებელი) 1988 წლის 7 იანვარს გარდაიცვალა. ნ. ს-ი (შემდეგში – მოსარჩელე, კასატორი, მამკვიდრებლის შვილი), თ. ს-ი (შემდეგში – მამკვიდრებლის შვილი, მოსარჩელის და, სამკვიდრო ქონების თანამესაკუთრე) და დ. ს-ი (შემდეგში – მამკვიდრებლის შვილი, კასატორის/მოსარჩელის ძმა, მოპასუხის მეუღლე) მამკვიდრებლის შვილები და, ამდენად, პირველი რიგის მემკვიდრეები არიან.

2. მამკვიდრებელი გარდაიცვალა ქ. თბილისში, ... კორპუსში მდებარე №24 საცხოვრებელ ბინაში, რომელიც მის საკუთრებას არ წარმოადგენდა. სახელმწიფო ფონდის ამ ბინაში დამქირავებლებად ჩაწერილები იყვნენ მამკვიდრებლის შვილები. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, მოსარჩელემ და მისმა დამ ძმის სასარგებლოდ უარი თქვეს მითითებული საცხოვრებელი ბინის თავიანთ კუთვნილ წილზე, რის შემდეგაც ეს ქონება, პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელის ძმის საკუთრებაში აღირიცხა.

3. მოსარჩელის ძმა დაქორწინდა და მეუღლესთან ერთად დასახლდა ქ. თბილისში, ... მდებარე №24 ბინაში.

4. 1992 წლის 9 სექტემბერს ა. ს-ის დანაშთ მამკვიდრო ქონებაზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა, რომლის მიხედვითაც, მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრემ, მოსარჩელის ძმამ საკუთრებაში მიიღო მამის სამკვიდრო ქონება სრულად. სამკვიდრო ქონებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, ... (ყოფილი ...) ქუჩა №51-ში მდებარე უძრავი ნივთის 1/2 ნაწილი (შემდეგში – სადავო სამკვიდრო ქონება, უძრავი ნივთი).

5. მოსარჩელის ძმის გარდაცვალების შემდეგ, 2010 წლის 16 ივ-

ნისს, ნ. გ-ას (შემდეგში – მოპასუხე) სახელზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელის ძმის სამკვიდრო მიიღო მისმა პირველი რიგის მემკვიდრემ (მეუღლემ). სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, სადავო უძრავი ქონება საჯარო რეესტრში მოპასუხის საკუთრებად დარეგისტრირდა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის დის სარჩელი და ეს უკანასკნელი ცნობილ იქნა მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონების, ამჟამად მოპასუხის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების 1/3 ნაწილის მესაკუთრედ.

7. 2016 წლის 25 იანვარს მამკვიდრებლის შვილმა, მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მამის სამკვიდრო ქონების 1/3 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობა მოითხოვა. მოსარჩელის მტკიცებით, მამის გარდაცვალების შემდეგ, ამ უკანასკნელის სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი ფლობით მიიღო, კერძოდ, ის მამის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგაც ცხოვრობდა მამკვიდრებლის უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილას და მხოლოდ ძმის დაქორწინების შემდეგ გადავიდა სხვა ბინაში საცხოვრებლად და თან წაიღო მამის დანატოვარი ნივთებიც, მათ შორის, ჭურჭელი და ტუმბო.

8. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მოპასუხის მტკიცებით, მოსარჩელე, მამის გარდაცვალებიდან კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში, არ დაუფლებია სამკვიდრო ქონებას და არც ნოტარიუსისთვის არ მიუმართავს შესაბამისი მოთხოვნით.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, სასამართლომ მოსარჩელე სადავო სამკვიდრო ქონების 1/3 ნაწილის მესაკუთრედ ცნო. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე ფაქტობრივად დაეუფლა მამის დანატოვარ მოძრავ ნივთებს, კერძოდ, მოსარჩელემ განაგრძო რა ცხოვრება იმავე საცხოვრებელ სახლში, სადაც მამკვიდრებელი გარდაცვალებამდე ცხოვრობდა, დაეუფლა მის კუთვნილ მოძრავ ნივთებს, რომელთაგან გარკვეული ნივთები (საყოფაცხოვრებო ნივთები, ჭურჭელი, პატარა ტუმბო) სხვა ბინაში გადასვლისას თან წაიღო, რაც დაადასტურეს საქმეზე გამოკითხულმა მოწმეებმაც. სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხემ ვერ უზრუნველყო მტკიცების ტვირთის სათანადო რეალიზება და სასამართლოში ვერ წარმოადგინა სათანადო მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტს.

10. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-

რა მოპასუხებ, რომელმაც მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

11. სააპელაციო საჩივარი შემდეგ გარემოებებს დაეფუძნა: მოთხოვნის ხანდაზმულობის მიუხედავად სასამართლომ სარჩელი მაინც დააკმაყოფილა, კერძოდ, მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მისი ძმის მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე, მაგრამ 2016 წლამდე პრეტენზია არ გამოუთქვამს. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ მამკვიდრებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი არ წარმოადგენდა მის საკუთრებას, თუმცა, ამის მიუხედავად, მითითებულ ბინაში ცხოვრების ფაქტზე დაყრდნობით, არასწორად განსაზღვრა მოსარჩელის მიერ მემკვიდრეობის მიღების ფაქტი. ამასთან, დადასტურებული არ იყო, კონკრეტულად რა მოძრავ ნივთებს დაეუფლა მოსარჩელე და ეს ნივთები ნამდვილად ეკუთვნოდა თუ არა მამკვიდრებელს.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი დაუფლების გზით მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში მიღება საქმის მასალებით არ დასტურდებოდა. პალატის განმარტებით, სადავო უძრავ ქონებას მოსარჩელე არც მამის სიცოცხლეში და არც შემდგომ არ დაუფლებია. რაც შეეხება მამკვიდრებლის საცხოვრებელ ადგილას მისი მოძრავი ნივთების დაუფლებას, ეს ფაქტი, სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა. სასამართლოს შეფასებით, ამ საკითხზე თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტება ბუნდოვანი იყო, მოწმეთა ჩვენებები კი – არასაკმარისი მტკიცებულება.

13. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

14. საკასაციო პრეტენზია შემდეგ გარემოებებს ეფუძნება:

14.1. კასატორის განმარტებით, მამკვიდრებელს სამკვიდრო ქონება დაგირავებული ჰქონდა, ხოლო თავად გარდაცვალებამდე წლების განმავლობაში მეუღლესა და შვილებთან ერთად მუდმივად ცხოვრობდა ქთბილისში, ... მდებარე №24 საცხოვრებელ ბინაში. შესაბამისად, მამკვიდრებლის კუთვნილი ყველა მოძრავი ნივთი სწორედ ამ ბინაში იყო განთავსებული. ამ ნივთებით ოჯახის ყველა წევრი სარგებლობდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ეს ნივთები დარჩა ამავე ბინაში და მამკვიდრებლის ოჯახამაც სწორედ ამ

ბინაში გააგრძელა ცხოვრება. მოსარჩელეც მამის გარდაცვალებიდან 2 წლის განმავლობაში ხსენებულ ბინაში ცხოვრობდა, რაც ადასტურებს მის მიერ მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონების – მოძრავი ნივთების ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტს.

14.2. კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწმეთა ჩვენებები, ვინაიდან მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი დასტურდებოდა საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებით. კასატორის განმარტებით, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტის დასადასტურებლად კანონით რაიმე მტკიცებულება იმპერატიულად განსაზღვრული არ არის, ამიტომ მოწმეთა ჩვენებები დასაშვები მტკიცებულებაა. მოწმეთა ჩვენებებით კი, დასტურდება მის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი, რაც სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა. ამასთან, სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა ისეთ გარემოებას (მამკვიდრებლის გარდაცვალების დროს მოსარჩელე ციხეში იყო და ფიზიკურად ვერ დაეუფლებოდა მამის მოძრავ ნივთებს), რომელიც არ ემყარება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

14.3. კასატორის განმარტებით, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ სადავო უძრავ ქონებაში არცერთი მემკვიდრე არ გადასულა საცხოვრებლად, ვინაიდან სამკვიდრო ქონებას განაგებდა მოგირაფნე, ხოლო მასთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, 1998-2014 წლებში, ამ სახლში ცხოვრობდა მოსარჩელის ბიძაშვილი, რომელმაც სადავო საცხოვრებელ სახლში ცხოვრების უფლება მამკვიდრებლის სამივე შვილთან შეთანხმების გზით მოიპოვა. კასატორის მოსაზრებით, მოხმობილი ფაქტი ადასტურებს მოსარჩელის მიერ სამკვიდრო ქონების განკარგვაში მონაწილეობას, რაც სამკვიდროს მიღების მიმართ იურიდიული ინტერესისა და ქონების ფაქტობრივად დაუფლების დამადასტურებელი გარემოებაა.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 30 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი დაკმაყოფილდეს.

16. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი

გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, დასაბუთებულია მოსარჩელის/კასატორის პრეტენზიები იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და არასწორად დაადგინა საქმის გადანყევტისათვის სამართლებრივად მნიშველოვანი ფაქტები, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები სარჩელის უსაფუძვლობის შესახებ.

17. სადავო ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 982.1 (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება), 1306.1 (გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით), 1336.1 (კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები ...), 1421.2 (მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო), 1421.3 (თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი), 1424-ე (სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან) და 1433-ე (მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან) მუხლები. სწორედ მითითებულ ნორმათა შემადგენლობის განხორციელებაზეა დამოკიდებული ხელყოფილი საკუთრების უფლების რესტიტუცია.

18. სამემკვიდრეოსამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა და სამემკვიდრეო უფლებების განხორციელება უკავშირდება არა მარტო სამკვიდროს გახსნის მომენტს, არამედ მემკვიდრეთა მხრიდან გარკვეული იურიდიული მოქმედებების შესრულებას. მართალია, კანონის თანახმად, სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრება

ხდება მისი გახსნის მომენტიდან, მაგრამ როდესაც სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეთა რიცხვი ერთზე მეტია, მაშინ აუცილებელია, თითოეულმა მემკვიდრემ კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადის დაცვით შეასრულოს სამკვიდროს მიღებისათვის აუცილებელი მოქმედება.

19. სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დროს განმსაზღვრელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე კომპონენტები – სამკვიდროს მართვა-დაუფლებისკენ მიმართული ნება და ამგვარი ნების მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში გამოვლენა. ფაქტობრივი ფლობისკენ მიმართული ნებისმიერი მოქმედებიდან უნდა იკვეთებოდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების სურვილი. მემკვიდრის ყველა მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლება (მაგალითად: მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, მამკვიდრებლის ნივთების, როგორც საკუთარის მიღება და განკარგვა, სამკვიდროს ფაქტობრივი მართვა, მოვლა და სხვა) (შდრ. იხ. სუსგ. №ას-283-268-2017, 07.07.2017; №ას-1172-1127-2016, 31.03.2017წ; №ას-203-193-2016, 02.06.2016; №ას-972-921-2015, 15.12.2015წ; №ას-482-455-2012, 31.05.2012წ).

20. საკასაციო პალატა მოსარჩელის მიერ მამკვიდრებლის მოძრავი ქონების, როგორც სამკვიდროს ნაწილის, დაუფლების საკვანძო საკითხის გამორკვევის მიზნით ყურადღებას მიაქცევს საქმეზე გამოკითხულ მოწმეთა ჩვენებებს. მოწმეთა უმეტესობამ დაადასტურა ის გარემოება, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მოსარჩელე მასთან ერთად ცხოვრობდა, ხოლო მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელემ ამავე ბინაში გააგრძელა ცხოვრება და იქ ორი წელი იცხოვრა. აღსანიშნავია, რომ მოპასუხე შესაგებლით არ შედავებია იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ამავე ბინაში გააგრძელა ცხოვრება. მოპასუხის შესაგებელი მხოლოდ იმას ეფუძნებოდა, რომ მამის გარდაცვალებიდან კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში მოსარჩელე არ დაუფლებია სამკვიდრო ქონებას და არც ნოტარიუსისთვის არ მიუმართავს შესაბამისი მოთხოვნით.

21. საკასაციო პალატა, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მოწმეთა ჩვენებების შეფასების შედეგად, დადგენილად მიიჩნევს, რომ მამკვიდრებელი მის მეუღლესთან და შვილებთან, მათ შორის, მოსარჩელესთან ერთად ცხოვრობდა ქ. თბილისში, ... მდებარე №24 ბინაში. ამავე ბინაში იყო განთავსებული ამ უკანასკნელის კუთვნილი მოძრავი ნივთები, რომლითაც მოსარჩელეც სარგებლობდა. მამის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელემ ამავე ბინაში გააგრძე-

ლა ცხოვრება და იქ ორი წელი იცხოვრა, ხოლო ბინიდან გადასვლისას თან წაიღო მამკვიდრებლის კუთვნილი ნივთების ნაწილი (იხ. ამ განჩინების პ.9). მონმეთა ჩვენებების საწინააღმდეგოდ მოპასუხემ ვერ წარმოადგინა ისეთი მტკიცებულება, რომელიც გააქარწყლებდა მოსარჩელის მიერ გარდაცვლილის მოძრავი ნივთების ფაქტობრივად დაუფლების ფაქტს.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ, კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში, ფაქტობრივი ფლობით მიიღო მამის სამკვიდრო ქონების ნაწილი – მოძრავი ნივთები, რაც იმას ნიშნავს, რომ მან მთლიანად მიიღო მამის სამკვიდრო, მათ შორის, სადავო უძრავი ქონება. ამასთან, რაკი მამკვიდრებელს სამი პირველი რიგის მემკვიდრე ჰყავდა, მოსარჩელეს უნდა მიეკუთვნოს სადავო ქონების 1/3 ნაწილი.

23. კასატორი სარჩელის ხანდაზმულობასაც ედავება, თუმცა მისი ეს პრეტენზია გაზიარებული ვერ იქნება შემდეგ გარემოებათა გამო:

23.1. ხანდაზმულობა, როგორც სარჩელის დაკმაყოფილების გამომრიცხავი გარემოება, წარმოადგენს მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალებას – შესაგებელს. შესაბამისად, ეს გარემოება მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს სასამართლოს შეფასების საგანი, თუ იგი წარდგენილია საპროცესო წესების დაცვით. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე არც შესაგებელში და არც საქმის მომზადების სტადიაზე არ მიუთითებია. მოპასუხის წარმომადგენელმა სარჩელის ხანდაზმულობაზე მხოლოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განაცხადა.

23.2. პალატა ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაზე, რომლის თანახმადაც, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ მითითებულა სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო გაცხადებული. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ მხარეები ფაქტებისა თუ მტკიცებულებების წარდგენისას შეზღუდული არიან საქმის მოსამზადებელი პერიოდით. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განსახილველად დაშვება მიანიშნებს იმაზე, რომ ამ დროისათვის დასრულებულია მხარეთა პოზიციებისა თუ მტკიცებულებების წარდგენა და სასამართლო უკვე შეგროვებული მასალების არსებითად გამოკვლევის გზით გადაწყვეტს საქმეს. თავის მხრივ, მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ ახალი გარემოებე-

ბის მითითება დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზით მოსამზადებელი ეტაპის დასრულებამდე მათი წარდგენის შეუძლებლობისას. კონკრეტულ შემთხვევაში, ამგვარი მიზეზი მოპასუხეს არ მიუთითებია, რაც მისი პოზიციის გაზიარების შესაძლებლობას გამოიწვევს.

23.3. ამასთან, მოპასუხეს შესაგებელში რომც მიეთითებინა სარჩელის ხანდაზმულობაზე, მისი პოზიცია მაინც არ იქნებოდა გასაზიარებელი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მემკვიდრის მიერ სადავო უძრავი ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღება აყენებს მას განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმში. ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით (კონკლუდენტური მოქმედებებით) მემკვიდრე ხდება სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. სამკვიდროს მიღების ფაქტის არსებობის შემთხვევაში მემკვიდრეს უფლება აქვს, დაიცვას მიღებული სამკვიდრო სხვა დანარჩენი მემკვიდრეებისაგან, მათ შორის – იმ მემკვიდრეებისგანაც, რომლებმაც საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში დაირეგისტრირეს. ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი და არა აბსოლუტური უფლება, შესაბამისად, აბსოლუტურ უფლებაზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ძმისა და შემდეგ უკვე ამ უკანასკნელის მემკვიდრის მიერ უკანონოდ განიკარგა სამკვიდრო ქონების ის ნაწილი, რომელიც მოსარჩელეს ფაქტობრივი ფლობით ჰქონდა მიღებული და მის საკუთრებას წარმოადგენდა. შესაბამისად, მის მოთხოვნაზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება.

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც სსსკ-ის 394. „ე“ მუხლის მიხედვით, ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. ამასთან, რაკი არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა), საკასაციო პალატა, სსსკ-ის 411-ე მუხლის (საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები) მიხედვით, უფლებამოსილია თავად მიიღოს ამ საქმეზე ახალი გადაწყვეტილება. კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, მოსარჩელე ცნობილ უნდა იქნეს ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონებიდან, საკადასტრო კოდი: ..., მოპასუხის საკუთრებაში არსებუ-

ლი 2/6 ნაწილიდან 1/6 ნაწილის მესაკუთრედ.

25. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯის – 1748.60 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 257.1, 264.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ნ. ს-ი ცნობილ იქნეს ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონებიდან, საკადასტრო კოდი: ..., ნ. გ-ას საკუთრებაში არსებული 2/6 ნაწილიდან 1/6 ნაწილის მესაკუთრედ;
4. ნ. გ-ას (...), ნ. ს-ის (...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯის – 1748.60 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამკვიდროს მიღების ვადა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-283-268-2017

7 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამკვიდრო მონაწილისა და ჩუქების ხელშეკრულების ნაწილობრივ გაუქმება, სამკვიდროდან წილის მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. გ. ს-მა და მ. ს-ემ (შემდგომში – მოსარჩელები, აპელანტები ან კასატორის მონაწილე მხარეები) სარჩელი აღძრეს სამართალში ლ. ს-ის, ფ. ს-ისა და გ. მ-ის მიმართ და მოითხოვეს:

ა) 1990 წლის 8 თებერვალს გარდაცვლილი გ. ს-ის დანაშთ ქონებაზე ნოტარიუს თ. გ-ის მიერ 2008 წლის 18 იანვარს ლ. ს-ის სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მონაწილის 1/3 ნაწილში გაუქმება;

ბ) ლ. ს-ესა და გ. მ-ს შორის 2014 წლის 23 ივნისს დადებული ჩუქების ხელშეკრულების 1/3 ნაწილში გაუქმება;

გ) გ. მ-ის საკუთრებად რიცხული, ქ. თბილისში, ბ-ის ქ№60-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ №...) 1/2-ის 1/3 ნაწილის მესაკუთრედ მოსარჩელების ცნობა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელები ბ. გ-ს ძე ს-ის შვილები არიან. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელებს მემკვიდრეობითი ტრანსმისიით ეკუთვნით სადავო ქონება, როგორც წილი მათი ან გარდაცვლილი მამისა. 1992 წლის 23 ნოემბერს გარდაიცვალა მოსარჩელების მამა, რომელმაც მიიღო, თუმცა, ვერ გაიფორმა 1990 წლის 8 თებერვალს გარდაცვლილი მამის – გ. ს-ის სამკვიდრო, თავის მხრივ, გ. ს-ემ მიიღო და სიცოცხლეში ვერ გაიფორმა 1984 წლის 18 იანვარს გარდაცვლილი დედის – ლ. ს-ის სამკვიდრო ქონება. მოსარჩელების მიმართ იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათებით, ასევე, პირადობის მოწმობებით დასტურდება, რომ ისინი რეგისტრირებული არიან სადავო ქონებაში და მამკვიდრების გარდაცვალების შემდეგ შეუდგნენ სამ-

კვიდრო ქონების ფლობას. ამ ფაქტს ადასტურებს მოსარჩელეთა დაბადების მოწმობებიც. ქ. თბილისში, ბ-ის ქ№60-ში მდებარე უძრავი ქონება შედგება 450 კვ.მ მიწის ნაკვეთის, №1, №2, №3 და №4 შენობა-ნაგებობებისაგან, რომელიც ორ თანაბარ წილად გაიყო და ქონების 1/2 მიიღეს ლ. ს-ის შვილის – ვ. ს-ის შვილებმა, ხოლო დარჩენილი 1/2 – მოსარჩელების მამიდა – ლ. ს-ემ 2008 წლის 11 იანვარს. ლ. ს-ის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქონება (მთლიანი ქონების 1/2), კანონის თანახმად სამ თანაბარ წილად უნდა გაყოფილიყო, ვინაიდან მამკვიდრებელ გ. ს-ეს ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი. მოსარჩელების მამა, მამის გარდაცვალებიდან მოკლე ხანში გარდაიცვალა და მას სამკვიდროს მიღების თაობაზე ნოტარიუსისათვის არ მიუმართავს, ხოლო ლ. ს-ემ ნოტარიუსს მოსარჩელების მამის გარდაცვალების შემდეგ – 2008 წელს მიმართა, რომელმაც დამალა მოსარჩელების არსებობა და ქონება საკუთრებაში ერთპიროვნულად მიიღო. მოსარჩელებსა და ლ. ს-ეს, ასევე, ბებიას – ფ. ს-ეს ჰქონდათ კარგი ურთიერთობა და ნდობის გათვალისწინებით სამკვიდრო ქონების დროულად გაფორმება არ მომხდარა, მოგვიანებით, როდესაც ურთიერთობა დაიძაბა, მათ მიაკითხეს ნოტარიუსს, რა დროსაც ცნობილი გახდა, რომ მთელი სამკვიდრო ქონება მხოლოდ მამიდას მიუღია. მოგვიანებით, ლ. ს-ემ მთელი ქონება აჩუქა საკუთარ შვილს – გ. მ-ს.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. ფ. ს-ემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელები 1988 წლიდან აღარ ცხოვრობენ სადავო მოსამართლე, ისინი დედასთან გადავიდნენ საცხოვრებლად და მას შემდეგ ქ. თბილისში, ბ-ის ქ№60-ში არ უცხოვრიათ. 1992 წელს მოსარჩელების დედამ – ე. ქ-მა სახლიდან გამოაგდო მოსარჩელების მამა, რომელიც 1992 წლის 12 ნოემბერს გარდაიცვალა და მას შემდგომ ოჯახს ფორმალური ურთიერთობაც არ ჰქონია, ისინი არც გარდაცვლილი პაპისა და არც მისი დედის სამკვიდროს დაუფლებიან. მოპასუხის განმარტებით, მას სამკვიდრო ქონება საკუთრებაში არ მიუღია, შესაბამისად, არ წარმოადგენს პირს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე;

2.2. ამავე გარემოებებზე მითითებით, არ ცნო სარჩელი ლ. ს-ემაც და დამატებით განმარტა, რომ მოსარჩელეთა მშობლები განქორწინებულები იყვნენ, მათი დედა ქორწინებაში სხვა პირთან იმყოფებოდა და ბ. ს-ის დაკრძალვაზეც არ ყოფილა. ის ფაქტი, რომ მოსარჩელები სადავო მოსამართლე აღარ ცხოვრობდნენ, დასტურდება სკოლიდან მათი გადაყვანის შესახებ ცნობებით, ასევე, მოწმეთა ჩვენებით. მ. ს-ეს, რომელსაც 25 წლის ასაკში ჰყავდა ორი შვილი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არ გააჩნდა და რე-

გისტრაციის მიზნით, 2005 წელს ლ. ს-ემ ჩანერა ბ-ის ქ.№60-ში, რაც შეეხება მეორე მოსარჩელეს, ის ათ წელზე მეტია, რაც ირლანდია-ში ცხოვრობს და გადაკეთებული აქვს გვარი (არის ს-ი). რეგისტრაციის, ასევე, გ. ს-ისათვის მოქალაქეობის გაუქმების თხოვნით მოპასუხეს მიმართული აქვს იუსტიციის სამინისტროსათვის;

2.3. გ. მ-მა ასევე არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ ლ. ს-ემ მიიღო არა გ., არამედ – ლ. ს-ის სამკვიდრო მოსარჩელები კი, არც ლ., არც გ. და არც ბ. ს-ის სამკვიდროს არ დაუფლებიან. დღეისათვის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნის მოპასუხეს. შესაგებლის თანახმად, ქონების საკუთრებაში მიღებისას იგი იყო კეთილმოუწყობელი, შედგებოდა ორი ოთახისაგან, არ გააჩნდა ღობე და მინიმალური საძირკველიც კი. მშობლების განქორწინების შემდგომ (1988წ.) მოსარჩელებს სადავო სახლში არ უცხოვრიათ, მათ აქვთ ნათესაური კავშირი, გ. მ-ს სურდა გ. ს-ის საქართველოში დასაქმება, მანვე საკუთარ კომპანიაში ტვირთების გადამზიდავად დააწყებინა მუშაობა მ. ს-ის მეუღლეს, ჰქონდა სოლიდური შემოსავალი, თუმცა შემცირების შემდგომ მხარეთა შორის ურთიერთობა დაიძაბა და ვითომდა ლ. ს-ის მიერ ქონების მითვისების თაობაზე საგამოძიებო ორგანოს მიმართა მოსარჩელემ.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ნოტარიუს თ. გ-ის მიერ 2008 წლის 18 იანვარს გაცემული სამკვიდრო მონაწილეობა 1990 წლის 8 თებერვალს გარდაცვლილი გ. ს-ის სამკვიდრო ქონების 1/3 ნაწილში, ბათილად იქნა ცნობილი ლ. ს-ესა და გ. მ-ს შორის 2014 წლის 23 ივნისს დადებული ჩუქების ხელშეკრულება ნაჩუქარი ქონების 1/3 ნაწილში და მ. ს-ე და გ. ს-ი ცნობილ იქნენ ქ. თბილისში, ბ-ის ქ.№60-ში მდებარე უძრავი ქონების

(საკადასტრო კოდი №...) გ. მ-ის საკუთრებაში რიცხული 1/2-ის 1/3 წილის მესაკუთრედ.

6. კასატორების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ნორმის მე-2 ნაწილის გვთავაზობს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, თუ რა განიხილება სამართლის ნორმის დარღვევად, მათ შორისაა, სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის არასწორი გამოყენება/განმარტება, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის წესების დარღვევა მაშინ გახდება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუკი ამ დარღვევის შედეგად არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი საქმეზე.

1.2. წინამდებარე გადაწყვეტილების ფარგლებში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს არასრულწლოვნის მიერ სამკვიდროს მიღების, ასევე, სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების კანონიერება წარმოადგენს, საკითხის კვლევის მიზნით, პალატა ასევე შეჩერდება პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების წესსა და პირობებზე, რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ სარჩელის საფუძვლიანობა ძირითადად იმ დასაბუთებით გაიზიარა, რომ მემკვიდრეები სამკვიდროს დაეუფლნენ ფაქტობრივი ფლობით, რამაც მოსარჩელებს სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოუშვა.

1.3. კასატორები არ ეთანხმებიან გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებს და პრეტენზიას აცხადებენ სასამართლოს მხრიდან, როგორც მატერიალური სამართლის ნორმათა, ისე – საპროცესო დანაწესების დარღვევაზე და ამ გზით სარჩელის არასწორად დაკმაყოფილებაზე.

1.4. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორების ხსენებულ არ-გუმენტებს და მათი საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით ყურად-ღებას გაამახვილებს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე, ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქ-ტობრივ გარემოებებზე:

1.4.1. ქ. თბილისში, ბ-ის ქ.№60-ში მდებარე უძრავი ქონება 1962 წლის 13 აპრილის სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე აღირიცხა ლ. ს-ის საკუთრებაში;

1.4.2. ლ. ს-ე გარდაიცვალა 1984 წლის 18 იანვარს. მას დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე – შვილები: გ. ს-ე და ვ. ს-ე;

1.4.3. გ. ს-ე გარდაიცვალა 1990 წლის 8 თებერვალს. მას დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე – მეუღლე ფ. ს-ე, შვილები: ბ. ს-ე და ლ. ს-ე;

1.4.4. ბ. ს-ე ფაქტობრივად დაეუფლა მამის – 1990 წლის 8 თე-ბერვალს გარდაცვლილი გ. ს-ის დანაშთ სამკვიდრო ქონებას, ცხოვ-რობდა რა მისი გარდაცვალების დროისათვის ქ. თბილისში, ბ-ის ქ.№60-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში;

1.4.5. ბ. ს-ე გარდაიცვალა 1992 წლის 23 ნოემბერს. მოსარჩელე-ები მ. ს-ე და გ. ს-ი არიან ბ. ს-ის პირველი რიგის მემკვიდრეები – შვილები;

1.4.6. 2008 წლის 18 იანვარს ნოტარიუს თ. გ-ის მიერ, ლ. ს-ის სასარგებლოდ, 1990 წლის 8 თებერვალს გარდაცვლილი გ. ს-ის სამ-კვიდრო ქონებაზე (რომელიც მოიცავს 1984 წლის 18 იანვარს გარ-დაცვლილი ლ. ს-ის ქონების ნაწილს – ქ. თბილისში, ბ-ის ქ.№60-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ №...) 1/2-ს) გაიცა სამკვიდრო მონ-უმობა, რომლის საფუძველზეც სამკვიდრო ქონება საჯარო რეეს-ტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ლ. ს-ის სახელზე. სამკვიდ-რო ქონების 1/2 ნაწილი დარჩა ღიად;

1.4.7. 2011 წლის 17 ივნისს ნოტარიუს თ. გ-ის მიერ ლ. ს-ის მეო-რე შვილის – ვ. ს-ის შვილების: ლ., ზ., ა., თ. და ი. ს-ეების სასარგებ-ლოდ გაიცა სამკვიდრო მონუმობა ქ. თბილისში, ბ-ის ქ.№60-ში მდე-ბარე უძრავი ქონების ღიად დარჩენილ 1/2 წილზე;

1.4.8. 2014 წლის 23 ივნისს ლ. ს-ემ მემკვიდრეობით მიღებული, ქ. თბილისში, ბ-ის ქ.№60-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 წილი აჩუქა შვილს – გ. მ-ს;

1.4.9. 2014 წლის 12 დეკემბერს მ. ს-ემ და გ. ს-ემ (ამჟამად ს-ი) განცხადებებით მიმართეს ნოტარიუს თ. გ-ს 1990 წლის 8 თებერ-ვალს გარდაცვლილი გ. ს-ის დანაშთი სამკვიდრო ქონებიდან გან-მცხადებლების მამის – ბ. ს-ის კუთვნილ წილზე სამკვიდრო მონ-უმობის გაცემის მოთხოვნით. 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენი-ლებით განმცხადებლებს უარი ეთქვათ სანოტარო მოქმედების

შესრულებაზე იმ მოტივით, რომ ლ. ს-ის სამკვიდრო მასაზე უკვე გაცემული იყო სამკვიდრო მოწმობები;

1.4.10. გ. ს-ე (ამჟამად ს-ი) ქ. თბილისი, ბ-ის ქ. №60-ში რეგისტრირებული იყო 1995 წლიდან, ხოლო მ. ს-ე – 2005 წლიდან. 2015 წლის 15 მაისს მოსარჩელები მოხსნილ იქნენ რეგისტრაციიდან საცხოვრისის მესაკუთრის – გ. მ-ის განცხადებით;

1.4.11. გ. ს-ე (ამჟამად ს-ი) და მ. ს-ე – 1988 წლის 16 სექტემბრამდე სწავლობდნენ საბურთალოზე მდებარე №... საშუალო სკოლაში, ხოლო, 1988 წლის 16 სექტემბრის №14 ბრძანების საფუძველზე, ამოირიცხნენ დიდ დილომში მდებარე №... საშუალო სკოლაში გადასვლის გამო;

1.4.12. მ. ს-ე 1998 წლის 3 ოქტომბერს დაოჯახდა.

1.5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებული გარემოებები საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებისათვის სავალდებულო ძალის მქონეა, რამდენადაც მხარეთა მიერ არ არის შედავებული, არამედ, როგორც აღინიშნა კასატორთა ძირითადი პრეტენზიები მიმართულია მოსარჩელების მხრიდან სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის მიმართ.

1.6. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამკვიდროს მიღება წარმოადგენს მემკვიდრის უფლებას და არა ვალდებულებას და სამკვიდროზე საკუთრების უფლების წარმოშობა კანონით გათვალისწინებული იმპერატიული დანაწესების განუხრელ დაცვაზეა დამოკიდებული. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი ადგენს სამკვიდროს მიღების წესსა და პირობებს და განსაზღვრავს, თუ რა ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად. ნორმის მე-2 ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ორი წესია შემოთავაზებული: ა) როდესაც მემკვიდრე განცხადებით მიმართავს საერთარო ბიუროს სამკვიდროს მიღების თაობაზე; ბ) მემკვიდრე ფაქტობრივად დაეუფლება სამკვიდროს/მის ნაწილს – განახორციელებს იმგვარ იურიდიულ მოქმედებებს, რაც მისი მხრიდან სამკვიდროს მიღებად განიხილება. ანუ სამკვიდროს მისაღებად, საჭიროა, როგორც მოსარჩელის ცალმხრივი ნების არსებობა, ისე – ამ ნების გარეგანი ფორმირება (თანხვედრა) კანონით დადგენილი წესით. ბუნებრივია, როგორც ერთი, ისე – მეორე ქმედება სამართლებრივი ძალის მატარებელია მაშინ, თუ იგი ამავე კოდექსის 1424-ე მუხლით გათვალისწინებულ 6-თვიან ვადაში განხორციელ-

და.

1.7. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელები მამის გარდაცვალების დროისათვის იყვნენ არასრულწლოვნები, მ. ს-ე იყო 12 წლის, ხოლო, გ. ს-ი – 15 წლის, შესაბამისად, დღის წესრიგში სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სწორად დადგა საკითხი იმის თაობაზე, შეეძლოთ თუ არა არასრულწლოვან მემკვიდრეებს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება მაშინ, როდესაც დადგენილია, რომ მემკვიდრეები ცხოვრობდნენ დედასთან და არა მამკვიდრებელთან. მოქმედი კანონმდებლობა ამ ვითარებაში საკითხის გადაწყვეტის იმგვარ წესს გვთავაზობს, როდესაც არასრულწლოვნის ნაცვლად სამკვიდრო ქონებაზე საკუთრების წარმომადგენელს (სკ-ის 1422-ე მუხლი). ამგვარ წარმომადგენლად, მოცემულ შემთხვევაში, გვევლინებოდა მოსარჩელეთა დედა (სკ-ის 1198-ე (6) მუხლი), თუმცა, უდავოა, რომ მას ბ. ს-ის გარდაცვალებიდან 6-თვიანი ვადის დაცვით არ განუხორციელებია სამკვიდრო ქონებაზე შვილების საკუთრების უფლებანარმომშობი კანონით გათვალისწინებული არც ერთი მოქმედება.

1.7.1. საკასაციო პალატა არასრულწლოვნის/შეზღუდულქმედუნარიანი პირის მიერ სამკვიდროს მიღების წესთან მიმართებით ყურადღებას გაამახვილებს დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკაზე. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც დადგენილი იყო მემკვიდრის შესაძლებლობის შეზღუდვის ფაქტი, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1422-ე მუხლი უნდა განიმარტოს ამავე კოდექსის 1198-ე მუხლთან მჭიდრო კავშირში, რომლის მე-4 ნაწილით იმპერატიულადაა განსაზღვრული მშობლების (მშობლის), როგორც კანონიერი წარმომადგენლების ვალდებულება, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსარჩელის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სამკვიდროს ვადის გაშვებას არასაპატიოდ მივიჩნევდით, მაინც იარსებებდა მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგანაც არასრულწლოვანი, მით უფრო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, საკუთარი უფლებების დაცვას ვერ შეძლებდა იმ შემთხვევაში, თუ კანონიერი წარმომადგენელი დაარღვევდა მისი ქონებისადმი გულისხმიერების ვალდებულებას (იხ. სუსგ №ას-4-4-2016, 11 ივლისი, 2016 წელი). ამავე საქმეში საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმგვარ გარემოებებზე, როგორიცაა, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი

პუნქტით აღიარებული მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლება და აღნიშნა, რომ მსგავსად სხვა ძირითადი უფლებებისა, იგი არ არის აბსოლუტური და ამავე ნორმის მე-2 პუნქტით ამ უფლებაში ჩარევა დაშვებულია კანონით პირდაპირ გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძვლით. მემკვიდრეობის გზით ქონების მიღებისა და საკუთრების მოპოვების სპეციალურ წესს განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი, კერძოდ, პირი, რომელიც კანონით დადგენილ მოთხოვნებს შეასრულებს, ხდება ქონების სრულუფლებიანი მესაკუთრე სამკვიდროს გახსნის მომენტიდან (სკის 1451-ე მუხლი), თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი წარმოადგენს საკუთრების უფლებაში ჩარევის იმ საკანონმდებლო გამოწვევის კერძო შემთხვევას, როდესაც მესაკუთრეს, როგორც მემკვიდრეს, შეიძლება, ჩამოერთვას საკუთრება. მოხმობილი განმარტებებიდან გამომდინარე (რომელიც ზედმიწევნითაა ასახული გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშიც), საკასაციო პალატა დასაშვებად მიიჩნევს შემთხვევას, როდესაც არასრულწლოვანი მემკვიდრის კანონიერი წარმომადგენელი არღვევს მის ქონებრივ უფლებებს და არ იღებს სამკვიდროს, მემკვიდრემ სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ მოახდინოს საკუთარი ქონებრივი უფლებების დაცვა. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებას „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით განსაზღვრულ „არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების“ გამოვლენა-დაცვის აუცილებლობაზე (იხ. კონვენციის პრეამბულა, ასევე, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი), თუმცა გასაზიარებელია კასატორის პრეტენზია კონვენციის სუბიექტებთან მიმართებით, რამდენადაც მისი პირველი მუხლის თანახმად, წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი, სანამ 18 წლის ასაკს მიაღწევდეს, თუ კანონით, რომელიც ამ ბავშვისადმი გამოიყენება, ის უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

1.7.2. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა რა ზემოხსენებული კონვენციით, ასევე, სხვა საერთაშორისო აქტებით აღიარებული ბავშვის უფლებების დამცავი მექანიზმებით, მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, თუ რა ასაკიდან შეუდგნენ მოსარჩელები საკუთარი ქონებრივი ინტერესების დაცვას. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს სულისკვეთებას არასწრულწლოვნის ინტერესების, მათ შორის, ქონებრივი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით და აღიარებს მას, როგორც წარუვალ ღირებულებას დემოკრატიულ საზოგადოებაში, რაზეც მეტყველებს, ერთი მხრივ, ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი დანაწესები

(სკ-ის 1422-ე მუხლი), ხოლო, მეორე მხრივ, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა (იხ. სამოტოვაციო ნაწილი 1.7.1. პუნქტი) და მხედველობაში იღებს მათ შორის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოხმობილ გადანყევტილებას (Case of S.L. and J.L. vs. Croatia), სადაც ხაზი აქვს გასმული არასრულწლოვნის უფლების უპირატესობას ყველა გადანყევტილებაში, რომელიც ბავშვს უკავშირდება, თუმცა, როგორც აღინიშნა, მსგავსი მიდგომა გამართლებულია მაშინ, როდესაც მოდავე სუბიექტი არასრულწლოვანია. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო დამატებით მოიშველიებს ეროვნულ სასამართლო პრაქტიკასაც. სამკვიდროს მიღების კანონით გათვალისწინებული ვადის გადაცილების მიზეზის საპატიოობა გულისხმობს იმ ვადის საპატიოობის შეფასებას, რითაც გადაცილებულია სამკვიდროს მიღებისათვის კანონით გათვალისწინებული ვადა. აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობს თვითონ ტერმინის „ვადაგადაცილების“ განმარტებიდან. მითითებული ტერმინი გულისხმობს არა რაიმე ვადაში, არამედ ამ ვადის გასვლის შემდგომ პერიოდშიც არსებულ მდგომარეობას, ანუ ეს ეხება არა მხოლოდ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ ექვს თვეს, არამედ იმ პერიოდსაც, ვიდრე მხარემ მიმართა სათანადო ორგანოებს სამკვიდროს მიღების მოთხოვნით. იმის დასადგენად, გადააცილა თუ არა საპატიო მიზეზით მხარემ კანონით დადგენილ ვადას, უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ დროში სანოტარო ორგანოსთვის მიმართვის ან ქონების დაუფლების შეუძლებლობის ფაქტი, არამედ იმ ვადის საპატიოობაც, რომლითაც მან გადააცილა ამ მოქმედებათა განხორციელების ვადას (იხ. სუსგ №ას-177-167-2011, 7 ივლისი, 2011 წელი). სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: 1. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; 2. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძველით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდგენის თაობაზე აღნიშნული საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ მიმართა. ვადის გაშვების საპატიოობაზე მსჯელობისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს კანონიერი წარმომადგენლის დამოკიდებულება არასრულწლოვანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიმართ. კანონიერი წარმომადგენლის მიერ საკუთარი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება ან უფლებამოსილების უკანონო გამოყენება შეიძლება გახდეს არასრულწლოვნის მიერ გაშვებული სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის საფუძველი (იხ. სუსგ №ას-386-737-07, 10 დეკემბერი, 2007 წელი). ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მემკვიდრის მიერ

სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილება საპატიოდ მიიჩნია, როგორც მისი არასრულწლოვანების პერიოდში, ისე – სრულწლოვანების მიღწევიდან სასამართლოსათვის მიმართვამდე, როდესაც მოსარჩელემ შეძლო დააამტკიცა, როგორც მატერიალური სახსრების უქონლობა სარჩელის აღძვრის დროისათვის, ისე – საომარი მოქმედების არსებობა საქართველოში. საკასაციო პალატის განმარტებით, მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნის მომენტიდან ექვსი თვის ვადაში საპატიო მიზეზების – არასრულწლოვანებისა და სათანადო წარმომადგენლის არარსებობის გამო, არ შეეძლო სამკვიდროს მიღება და ასეთივე სამკვიდროს მიღების ხელშეშლელი საპატიო გარემოებები არსებობდა მისი სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგაც. ამავე საქმეში საკასაციო სასამართლომ მხედველობაში ის გარემოებაც მიიღო, რომ მემკვიდრემ, რომელმაც სამკვიდრო მიიღო, იცოდა სხვა მემკვიდრის არსებობის შესახებ, რის შესახებაც არ უტყვობია ნოტარიუსისათვის. ამგვარი ქმედება კი, წარმოდგენდა კერძო სამართლის სუბიექტის სამოქალაქო კოდექსის მე-8, ასევე, 1310-ე, 1427-ე, 1478-ე, 1497-ე და მემკვიდრეობითი სამართლის სხვა ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას (იხ. სუსგ №ას-1224-1076-2010, 12 აპრილი, 2011 წელი).

1.8. პალატა მიუბრუნდება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, სადაც სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად განმარტა, რომ სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადის ათვლა მოსარჩელების მიმართ სრულწლოვანების მიღწევის მომენტიდან უნდა დაიწყოს. ამ მსჯელობის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მოწმეების, ასევე, მხარეთა განმარტებების ანალიზის შედეგად დადასტურებულად მიიჩნია სამკვიდროს დაუფლება.

1.8.1. საკასაციო პალატა სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის მტკიცების თვალსაზრისით მოწმის ჩვენებას, როგორც მტკიცებულებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ღირებულად მიიჩნევს, თუმცა, იზიარებს კასატორთა პოზიციას მათი შეფასების კრიტერიუმებისა და სისწორის თვალსაზრისით (სასამართლოს მხრიდან სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევა): მოწმის ჩვენებით უტყუარად უნდა დასტურდებოდეს მემკვიდრის მხრიდან იმგვარი მოქმედების განხორციელება, რაც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, დადგენილად მიიჩნიოს, რომ მემკვიდრე ქონებას საკუთრად განიხილავდა, ეპყრობოდა მას, როგორც საკუთრების საგანს, რაც მის მართვა-განკარგვაში გამოიხატება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამავე ნორმის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის მტკიცება ეკისრება

მოსარჩელე მხარეს.

1.8.2. საკასაციო პალატა არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომლის თანახმადაც, სამკვიდროს მიღება დასტურდება მოსარჩელე მ. ს-ის იმ განმარტებით, რომ იგი მიდიოდა და კვირაობით რჩებოდა ბებიასთან (ამ განმარტებას, ერთი მხრივ, არ ეთანხმებიან მოპასუხეები, რის გამოც მისი იურიდიული ძალმოსილება, როგორც ინდივიდუალურად აღიარებული მტკიცებულებისა, ნაკლებად სარწმუნოა), რადგანაც ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულია ტრადიცია ბებია-შვილიშვილის ურთიერთობისა, რომელიც, როგორც წესი, განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ხასიათდება და ბებიასთან შვილიშვილის ვიზიტი, თუნდაც ბებია სამკვიდრო ქონების მფლობელი იყოს, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს საკუთრებაში მიღებას არ ადასტურებს. რაც შეეხება განმარტების იმ ნაწილს, რომ მ. მამის ნივთებს მიიჩნევდა თავისად, იგი სხვა მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, არ წარმოადგენს სამკვიდროს დაუფლების უალტერნატივო წინაპირობას. მართალია, მოწმეები ი. ა-ი და ნ. ჭ-ე განმარტავენ, რომ მ. სტუმრობდა მამიდას, თუმცა, საკასაციო პალატა ამ ჩვენებასაც ზემოხსენებული სტანდარტით აფასებს და მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოწმის ჩვენებით არ დგინდება ვიზიტის პერიოდი, არასარწმუნოდ მიიჩნევს (მოწმის ჩვენებით მ. მან სადავო სახლში მას შემდეგ ნახა, რაც მოსარჩელეს ეყოლა შვილი). საკასაციო სასამართლო ასევე არ მიიჩნევს საკმარისად მოწმე ნ. ფ-ის ჩვენებას სადავო ფაქტის დასადასტურებლად და უპირველესად აღნიშნავს იმას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ამ მტკიცებულების გაზიარებაზე უარი სწორად დაამყარა მოწმესა და ლ. ს-ეს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობას (იხ. პოლიციის გაფრთხილება), გარდა ამისა, მოწმე ვერ ადასტურებს ბ. ს-ის გარდაცვალებიდან რა პერიოდში მიდიოდა მ. ს-ე სადავო სახლში. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ლ. ს-ე თავადვე ადასტურებდა მ. ს-ის სადავო სახლში ცხოვრებას, საკასაციო პალატის მოსაზრებით უნდა შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რამდენადაც ლ. ს-ე აღნიშნავდა იმას, რომ მ. გარკვეული პერიოდი შვილთან ერთად ცხოვრობდა ამ სახლში, რასაც უკავშირებს ასევე რეგისტრაციის ფაქტს. ამ თვალსაზრისით მხარეთა შორის სადავო არაა ის გარემოება, რომ მ. ს-ემ სრულწლოვანებას 1998 წელს, ხოლო გ. ს-მა – 1995 წელს მიაღწია. მ. ს-ე სადავო სახლში რეგისტრირებულია 2005 წლიდან, ხოლო გ. ს-ი – 1995 წლიდან, თუმცა, გარდა რეგისტრაციისა, არც სასამართლოს დაუდგენია და არც საქმის მასალებითაა დადასტურებული (მათ შორის მოწმეთა ჩვენებებით) გ. ს-ის მხრიდან სამკვიდროს დაუფლების ფაქტი, ნოტარიუსისათ-

ვის მიმართვა კი, როგორც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, 2014 წლის 12 დეკემბერს განხორციელდა.

1.9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელების მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტთან მიმართებით კასატორებმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული დასაბუთებული შედავება წარმოადგინეს, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. ამასთანავე, რადგანაც არ იკვეთება მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის ან სხვა საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის გამო, საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების წინაპირობები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, პალატა უფლება-მოისილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება:

1.9.1 იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელებმა ვერ დაადასტურეს სრულწლოვანების მიღწევიდან 6 თვის ვადაში მამის – ბ. ს-ის სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი, არ არსებობს მიუკუთვნებითი მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები, ამასთანავე, სწორედ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელებს მამის დანაშთ ქონებაზე საკუთრება არ წარმოშობიათ, ლ. ს-ის სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მონობისა და ლ. ს-ისა და გ. მ-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების 1/3 ნაწილში გაუქმების მოთხოვნის მიმართ მოსარჩელებს არ გააჩნიათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი.

2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

2.2. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, რადგანაც არ დაკმაყოფილდა მ. ს-ისა და გ. ს-ის სარჩელი, პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას გ. მ-ის (პ/№...) საკუთრებაში რიცხულ, ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №60-ში მდებარე უძრავი ქონების (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) 1/3 ნაწილს.

3. სასამართლო ხარჯები:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებით აპელანტებს, ხოლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2017 წლის 6 მარტის განჩინებით კასატორებს გადაუვადდათ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორება, შესაბამისად, არც სააპელაციო და არც საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე პროცესის ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი) არ გადახდილა, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა შორის ამ ხარჯების განაწილების წინაპირობა არ არსებობს.

3.2. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორების საკითხს, პალატა ხელმძღვანელობს საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებით, რომლის თანახმადაც, სარჩელზე უარის თქმისას, სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

3.3. საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის თანახმად, სადავო ქონების (1/3) საბაზრო ღირებულება 58 421 ლარია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, განსახილველი დავის საგნის ღირებულებას წარმოადგენს, ხოლო გადავადებული ბაჟის ოდენობა, ამავე კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ამ თანხის 4%-ითა და 5%-ით – 5 257,89 ლარით უნდა განისაზღვროს და საბოლოოდ, ამ თანხის გადახდა ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროთ მოსარჩელებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 199¹-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ე ბ ა :

1. ლ. ს-ის, ფ. ს-ისა და გ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. გ. ს-ისა და მ. ს-ის სარჩელი ლ. ს-ის, ფ. ს-ისა და გ. მ-ის მიმართ, 2008 წლის 18 იანვარს გაცემული №... სამკვიდრო მონუმობისა და 2014 წლის 23 ივნისის ჩუქების ხელშეკრულების 1/3 ნაწილში გაუქმების, ასევე, სამკვიდროდან წილის მიკუთვნების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას გ. მ-ის (პ/№...) საკუთრებაში რიცხულ, ქ. თბილისში, ბ-ის ქ.№60-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) 1/3 ნაწილს.

5. გ. ს-სა (პ/№...) და მ. ს-ეს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროთ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 5 257,89 ლარის გადახდა.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღების ვადა

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-398-398-2018

25 დეკემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: სამკვიდროს მიღების გაშვებული ვადის საპატიოდ ჩათვლა და მისი აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. გ-ი (შემდეგში: მოსარჩელე ან ანდერძით მემკვიდრე) 1994 წლიდან ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში, საქართველოში დაბრუნდა 2015 წელს.

2. მოსარჩელის მამა, მ. გ-ი გარდაიცვალა 1985 წლის 14 თებერვალს, ხოლო დედა ქ. გ-ი (შემდეგში: მოანდერძე) – 2001 წლის 6 თებერვალს.

3. მოანდერძემ მისი ქონება ანდერძით მოსარჩელეს დაუტოვა.

4. ანდერძით მემკვიდრეს, კანონით დადგენილ სამკვიდროს მიღების ვადაში ნოტარიუსისათვის არ მიუმართავს. ასევე, არ დასტურდება ამ უკანასკნელის დედის ქ. გ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი.

5. ამბულატორიული, სტაციონარული ავადმყოფობის ბარათი-დან ამონაწერის საფუძველზე დადგენილია, რომ მოსარჩელე 2001 წლის 25 მარტს მოთავსდა სტაციონარში, დიაგნოზით: მარჯვენა ფილტვის ქვედა ნაწილის მწვავე პნევმონია, ხოლო 2001 წლის 11 აპრილს საავადმყოფოდან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაეწერა.

6. ნოტარიუსმა ც. ნ-ძემ (შემდეგში: მეორე მოპასუხე ან ნოტარიუსი), 2015 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით, მოსარჩელეს სამკვიდრო მონაწილის გაცემაზე უარი უთხრა სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენამდე ან სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობის დადასტურებამდე, ვინაიდან, მემკვიდრეს გაშვებული ჰქონდა სამკვიდროს მიღების ვადა.

7. სარჩელის მოთხოვნა

7.1 ანდერძით მემკვიდრემ, 2015 წლის 19 ოქტომბერს, სარჩელით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს მ. ვ-ისა (შემდეგში: პირველი მოპასუხე ან მოსარჩელის და) და ნოტარიუსის წინააღმდეგ, მოითხოვა, სამკვიდროს მიღების კანონით გათვალისწინებული, გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევა და სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა.

7.2 მოსარჩელემ, წინამდებარე განჩინების მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა და განმარტა, რომ სამკვიდროს მიღების ვადა, საპატიო მიზეზის გამო გაუშვა, კერძოდ, რუსეთში სამკურნალოდ იმყოფებოდა.

8. პირველი მოპასუხის (მოსარჩელის დის) შესაგებელი

8.1 პირველმა მოპასუხემ, წერილობით წარდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ სარჩელს ნაწილობრივ ცნობდა, კერძოდ, თანახმა იყო, მის ძმას გაგრძელებოდა სამკვიდროს გაშვებული ვადა, თუ პირველ მოპასუხეს გაუფორმდებოდა კუთვნილი სავალდებულო წილი. შესაგებელშივე მოპასუხემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მიუთითა, რომ არიან ოთხი დედამამიშვილი, რომელთაგან ერთ-ერთი, გ. გ-ი დაეღუპათ. სწორედ ამ უკანასკნელმა გაიღო დედის დაკრძალვის ხარჯები. თავად პირველი მოპასუხე 1990 წელს დაოჯახდა, თუმცა, განქორწინების შემდეგ, შვილებთან ერთად, დედ-მამის სახლში ცხოვრობს, ქ. ახალციხეში, ... უწვდებოდა დედას და თითქმის 21 წლის განმავლობაში გადასახადებს იხდიდა.

8.2 ძმები, მათ შორის მოსარჩელეც, საკუთარ ოჯახებთან ერთად, ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მოსარჩელე რუსეთში ცხოვრობს. ეს უკანასკნელი მას ეუბნებოდა, რომ ყურადღება მიექცია დედისთვის, სანაცვლოდ კი ფულს გამოუგზავნიდა და სახლსაც უყიდდა დას. სადავო ქონება, სწორედ მოსარჩელის დაუწინებელი მოთხოვნით

ნის შედეგად გადაუფორმა მოანდერძემ მოსარჩელეს, თუმცა, სანაცვლოდ არასდროს დახმარებია დას, დედის დაკრძალვის თანხაც არ გამოუგზავნია დისთვის.

8.3 პირველი მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელემ, 2015 წელს, მას შემდეგ, რაც ის რუსეთიდან ჩამოვიდა, სახლიდან გამოავდო, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ქონებას დედის გარდაცვალების შემდეგ თავად ფლობდა და განკარგავდა, ასევე იხდიდა გადასახადებს.

9. მეორე მოპასუხის შესაგებელი

9.1 მეორე მოპასუხემ (ნოტარიუსმა) სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მოსარჩელემ მას სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ მიმართა, რაც სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა, ამასთან, მოსარჩელეს მისთვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა სამკვიდრო ქონების მიღებისათვის მისი ფაქტობრივი დაუფლების გარემოება.

10. ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

10.1 ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10.2 სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე, 105-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 1320-ე, 1421-ე, 1424-ე, 1426-ე მუხლებით და განმარტა, რომ კანონმდებელი სამკვიდროს ვადის გაშვების საპატიოობის კრიტერიუმებს არ აკონკრეტებს, აღნიშნული ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარეობს, თუმცა, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: ა) თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; ბ) თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძველით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდგენის თაობაზე აღნიშნული საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ მიმართა.

10.3 სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ფაქტი, რომ მოსარჩელისათვის 2001 წლის 6 თებერვალს ცნობილი იყო მისი დედის – ქ. გ-ის გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუმცა, სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსისათვის 2015 წლამდე არ მიუმართავს.

10.4 სასამართლომ განმარტა, რომ სამკვიდროს გახსნის შედეგად მემკვიდრეობის მიღებისათვის მხოლოდ მემკვიდრეობის უფლების ქონა საკმარისი არ არის, ანუ მხოლოდ უფლების არსებობა

არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს. აღნიშნული უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელია კონკრეტული მოქმედების განხორციელება – მემკვიდრეობის მიღება. მემკვიდრეობის სამართალი სამკვიდროს მიღების ორ ფორმას იცნობს, მემკვიდრეობის მიღებას უფლებამოსილ თანამედებობის პირთან ნების გამოხატვითა და სამკვიდროს მიღებას ფაქტობრივი ფლობით.

10.5 საქმეში არსებული №... სანოტარო აქტით, მოსარჩელემ სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსს მიმართა 2015 წლის 31 ივლისს. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონი განამტკიცებს პირის უფლებას, მიიღოს ან არ მიიღოს სამკვიდრო, თუმცა, აწესებს აღნიშნული ნების გამოვლენის ვადას. სამკვიდროს მიღების ნების არსებობის შემთხვევაში, ნება გამოვლენილ უნდა იქნეს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში სამკვიდროს მიღებაზე ნების გამოუხატველობა ქმნის სამკვიდროს მიღებაზე ნების არარსებობის პრეზუმფციას, შესაბამისად, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ქარწყლდება მემკვიდრის უფლება, სხვა მემკვიდრეების თანხმობის გარეშე, მიიღოს სამკვიდრო. გარდა ამისა, სამკვიდროს მისაღებად კანონით გათვალისწინებული ვადის გაშვების საპატიოდ მისაჩნევად საკმარისი არ არის მხოლოდ ამ პერიოდის განმავლობაში მემკვიდრის ნების არსებობაზე აპელირება, არამედ – მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ფორმალური საფუძველი – ნების გამოვლენის შეუძლებლობის დადასტურება კანონით დადგენილი 6-თვიანი ვადის ამოწურვიდან, ვადის გაგრძელების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის თარიღამდე.

10.6 მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის საპატიო მიზეზით გაშვებას. მემკვიდრეებელი გარდაიცვალა 2001 წლის 6 თებერვალს, ხოლო მოსარჩელემ ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად 14 წლის შემდეგ მიმართა. ამასთან, საქმეში არსებული სამედიცინო დოკუმენტაციით, არ დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ თოთხმეტი წლის განმავლობაში მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მას არ შეეძლო გამოეხატა ნება სამკვიდროს მისაღებად. საგულისხმოა ისიც, რომ ექიმთან მოსარჩელის ერთი ვიზიტიდან მეორე ვიზიტამდე გასულია 14 წელი, ხოლო დიაგნოზში მითითებულია მარჯვენა ფილტვის ქვედა ნაწილის მწვავე პნევმონია. ამასთან, მოსარჩელე საავადმყოფოდან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაენერა, უზნის თერაპევტის ზედამხედველობის ქვეშ. ამის შემდეგ მოსარჩელეს მიმართული აქვს კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტისათვის მუცლის ღრუს ორგანოების ულტრაბგერითი გამოკვლევის ჩასატარებლად და შპს „უ. ს.“ ახალციხის სამე-

დიცინო ცენტრისათვის – 2015 წელს.

10.7 აღნიშნულ მტკიცებულებათა გაანალიზების საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ 2001 წლიდან 2015 წლამდე იყო ავად, რის გამოც ვერ მოახერხა სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსისათვის მიემართა. წარდგენილი მტკიცებულებებით ასევე დასტურდება, რომ 2001 წლის შემდეგ 2015 წლამდე მოსარჩელეს ექიმისათვის ავადმყოფობის გამო არ მიუმართავს. შესაბამისად, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, საპატიო მიზეზის არსებობა, რაც ხელს უშლიდა სამკვიდროს მიღებაში.

11. სააპელაციო საჩივრის საფუძველი

11.1 ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

11.2 აპელანტი არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებსა და მითითებებს, რომ იმ პირობებში, როდესაც დადგენილია და სადავო არ არის, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან, 2001 წლიდან 2015 წლამდე, იგი არ იმყოფებოდა საქართველოში, სასამართლოს ეს პერიოდი უნდა მიეჩნია საპატიოდ და აღედგინა სამკვიდროს მიღების ვადა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად შეფასდა ნოტარიუსის განმარტება, რომელიც არ იყო წინააღმდეგი სასამართლოს მიერ ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის შემთხვევაში გაეცა სამკვიდრო მონაწილად. ასევე, მცდარია პირველი მოპასუხის პოზიციის შეფასება, რომელიც შესაგებლით დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას – გაშვებული ვადის აღდგენას, რაც საკმარისი საფუძველია სარჩელის დასაკმაყოფილებლად.

11.3 მოსარჩელის მეუღლემ გ. გ-მა 2016 წლის 12 ივლისს მიმართა სასამართლოს, როგორც მოსარჩელის პირველი რიგის მემკვიდრემ, მოითხოვა საქმეში გარდაცვლილი მეუღლის უფლებამონაცვლედ ჩართვა.

12. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

12.1 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 იანვრის განჩინებით აპელანტის უფლებამონაცვლეების გ., ო., ვ. ვ. გ-სა და ქ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

12.2 სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რასაც აპელანტი სადავოდ ხდიდა და დამატებით განმარტა, რომ სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებიდან გამომდინარე, სასამართლოს

მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ორი გარემოება, კერძოდ: ა) ცნო თუ არა სარჩელი პირველმა მოპასუხემ (მოსარჩელის დამ); და ბ) წარმოადგენს თუ არა მემკვიდრის საქართველოში არყოფნა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის საფუძველს.

12.3 სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის საკითხთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 1421-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდროს მიღება შესაძლებელია ორი გზით: მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში სამკვიდრო მონაწილის მისაღებად ნოტარიუსისათვის მიმართვის ან/და სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების გზით. სამკვიდროს მიღება გულისხმობს, რომ მემკვიდრემ აქტიური ქმედებით გამოხატოს სამკვიდროს მიღების სურვილი ნოტარიუსთან განცხადების წარდგენის ან სამკვიდროს ნაწილის დაუფლების გზით. სამკვიდროს მიღება, თავისი სამართლებრივი ბუნებით, ცალმხრივი გარიგებაა. იგი გამოხატავს სამკვიდროს მიღების სურვილს, მემკვიდრის ნებას. შესაბამისად, მისი სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის საკმარისია მხოლოდ ერთი პირის – მემკვიდრის მიერ გამოვლენილი ნება მემკვიდრეობის მიღების თაობაზე.

12.4 სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სადავო არ იყო ის გარემოება, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში მემკვიდრეს (აპელანტს) ნოტარიუსისთვის არ მიუმართავს სამკვიდროს მიღების მოთხოვნით. ასევე, არც ფაქტობრივი ფლობით დაუფლება სამკვიდრო ქონებას ან მის ნაწილს. სამკვიდროს მიღების მოთხოვნით, მემკვიდრემ ნოტარიუსს, სამკვიდროს გახნიდან მხოლოდ 14 წლის შემდეგ, მიმართა.

12.5 სსკ-ის 1426-ე მუხლის საფუძველზე სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთიანი პრაქტიკის მიხედვით, სამართლის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: ა. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; ბ. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძველით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდგენის თაობაზე აღნიშნული საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ მიმართა

(სუსგ, საქმე №ას-851-800-2010);

12.6 სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მემკვიდრის უფლება სამკვიდრო ქონებაზე შეზღუდულია ნების გამოხატვის ფორმით, წესით და ვადით. აღნიშნული შეზღუდვა განაპირობებს სხვა მემკვიდრეთა ინტერესის დაცვას, გონივრულ ვადაში უზრუნველყონ სამკვიდროდან კუთვნილი უფლების დადგენა და რეალიზაცია. თუმცა, ყველა მემკვიდრის ინტერესის თანაბარზომიერი დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე შეზღუდვა არ არის აბსოლუტური ხასიათის და კანონი უშვებს სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენას სასამართლოს მიერ იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების მიზეზი საპატიოდ იქნება ცნობილი. საპატიოობის კრიტერიუმი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია და მასთან დაკავშირებული დასკვნა უნდა იყოს მოტივირებული თითოეული მემკვიდრის მართლზომიერი ინტერესის დაცვის აუცილებლობით, ვადის გაშვების სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამოკვლევითა და იმგვარი მოსაზრებით, რომ ვადის გაშვება განპირობებულია არა სამკვიდროს მიღების ნების არარსებობით, არამედ ასეთი ნების სათანადო წესით გამოხატვის შეუძლებლობით. კონკრეტული ფორმით ნების გამოხატვის შეუძლებლობა, შეიძლება განპირობებულ იქნეს როგორც ობიექტური ფაქტორებით, ასევე – პირის სუბიექტური დამოკიდებულებით სამკვიდრო ქონებისადმი, თუ სამკვიდრო მასის მახასიათებლებისადმი.

12.7 ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტის შუამდგომლობა, საქართველოში არყოფნის გამო, საპატიოდ იქნეს მიჩნეული სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტი, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან, აპელანტისათვის, მამკვიდრებლის გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის ფაქტი 2001 წელსვე გახდა ცნობილი, რის გამოც მხოლოდ საქართველოში არყოფნის გამო სამკვიდროს გახსნის შეუძლებლობა, საპატიოდ ვერ მიიჩნევა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტს შეეძლო თუნდაც წარმომადგენლის მეშვეობით ემოქმედა (იხ. სსსკ-ის 1423-ე მუხლი).

12.8 სააპელაციო სასამართლომ, აგრეთვე, არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, პირველი მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობასთან დაკავშირებით, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი უნდა გამხდარიყო და განმარტა, რომ წარდგენილი შესაგებლით მოსარჩელის დამსარჩელი ნაწილობრივ ცნო. ამასთან, მხარემ მიუთითა, რომ ფაქტობრივი ფლობით მიიღო და ფლობს დედის სამკვიდრო (სადავო) ქონებას, როგორც პირველი რიგის კანონიერი მემკვიდრე და არ დაეთანხმა მოსარჩელის მტკიცებას, რომ ვადის

გაშვება გამოწვეული იყო მისი ავადმყოფობით. მართალია, ამავე შესაგებელში პირველმა მოპასუხემ აღნიშნა, რომ თანახმა იყო გაშვებული ვადის გაგრძელებაზე, თუ მოსარჩელე გაუფორმებდა სავალდებულო წილს, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ეს უფრო მორიგების პირობა იყო, ვიდრე – სარჩელის ცნობა; მოპასუხე სადავოდ ხდიდა სარჩელის საფუძვლებს, რომ ვადის გაშვება მოხდა ავადმყოფობის მოტივით. ამასთან, პირველმა მოპასუხემ თავისი პოზიცია დააზუსტა და დააკონკრეტა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში საქმის არსებითად განხილვისას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სარჩელს არ ცნობდა, თუმცა, თანახმაა მორიგებაზე.

12.9 ამდენად, სასამართლოს შეფასებით, მოპასუხეთაგან არც ნოტარიუსსა და არც მოსარჩელის დას სარჩელი არ უცვნიათ და არ არსებობდა ამ საფუძვლით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობა.

13. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

13.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 იანვრის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინეს მოსარჩელის უფლებამონაცვლეებმა: გ. გ-მა (შემდეგში: მოსარჩელის უფლებამონაცვლე ან კასატორი), ო. გ-მა, ვ. გ-მა, ქ. მ-მა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

13.2. საკასაციო საჩივარი ამ განჩინების 11.2 ქვეპუნქტში ასახულ პრეტენზიებს იმეორებს.

14. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

14.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 2 აპრილის განჩინებით მოსარჩელის მეუღლის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

14.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ივლისის განჩინებით მოსარჩელის დანარჩენი უფლებამონაცვლეების საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, საკასაციო საჩივარზე მათ ნაწილში დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო (იხ. ამ განჩინების 13.1 ქვეპუნქტი).

14.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის უფლებამონაცვლის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და ამავე განჩინებით საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვა და-

ინიშნა ზეპირი მოსმენით, 2018 წლის 16 ნოემბერს.

14.4. საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე სასამართლომ მხარეებს მორიგება შესთავაზა და ყურადღება გაამახვილა პირველი მოპასუხის წინადადებაზე, რაც მან მის მიერ წერილობით წარდგენილ შესაგებელში განაცხადა (იხ. ამ განჩინების 8.1 ქვეპუნქტი).

14.4.1. პირველი მოპასუხის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოსარჩელის დამ პირველივე ინსტანციის სასამართლოში, მოსამზადებელ სხდომაზე, განაცხადა უარი მორიგებაზე და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

14.4.2. კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, პირველმა მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი ნაწილობრივ ცნო, რაც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაში უნდა ასახულიყო. მორიგების პირობად არ უნდა იქნეს განხილული სარჩელის ნაწილობრივ ცნობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

15. სსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

16. სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლე-

ბათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, № 7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81).

18. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას გამოიწვევდა.

19. საკასაციო სასამართლომ შეაფასა შესაგებელში მითითებული გარემოებები და სარჩელის ცნობად არ მიიჩნია პირველი მოპასუხის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ თანახმაა მოსარჩელეს გაშვებული ვადა გაუგრძელდეს, თუ იგი თავის დას ავალდებულო წილს გაუფორმებს. აღნიშნულს ამყარებს, მოსარჩელის დის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის 2015 წლის 15 ნოემბერს წარდგენილი განცხადება, სადაც პირველი მოპასუხე აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ სამკვიდროს მიღების ვადა გაუშვა და მას ეს ვადა არ უნდა აღუდგეს, საერთო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო კი მის სასარჩელო მოთხოვნას უარი უნდა ეთქვას.

20. პირველი ინსტანციის სასამართლოს მთავარი სხდომის, 2015 წლის 25 ნოემბერს, დანიშვნის თაობაზე სასამართლომ 2015 წლის 20 ნოემბერს მიიღო განჩინება, რაც იმავე დღეს ეცნობა ორივე მხარეს.

21. სსსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებულია დისპოზიციურობის პრინციპი, რაც მიაჩნდება მხარის უფლებაზე, თავად გადაწყვიტოს დავის სასამართლოში დანების საკითხი, ისევე, როგორც მის უფლებაზე, განკარგოს კანონით გარანტირებული შესაძლებლობანი (სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარის თქმა, მორიგება და სხვა). მხარის პროცესუალურ უფლებათა ძირითად ჩამონათვალს სსსკ-ის 83-ე მუხლი ადგენს, თუმცა, ეს ნორმა არ არის ამომწურავი. ფუნდამენტურ პროცესუალურ უფლებათა შორის არის ამავე კოდექსის 83¹-ე მუხლით რეგლამენტირებული მოსარჩელის შესაძლებლობა, გამოიხმოს სარჩელი, კერძოდ, მითითებული ნორმის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ ეთქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თან-

ხმოვით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე (იხ. სუსგ №ას-431-431-2018 (ბ), 22.06.2018წ.).

22. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც სარჩელის ცნობისა და მისი თანმდევი შედეგების განმარტების საკითხს ეხებოდა, საკასაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებულ საპროცესო სამართლის ამოსავალ პრინციპზე – დისპოზიციურობაზე და განმარტა შემდეგი: „დასახელებული ნორმა განამტკიცებს იმ საპროცესო მოქმედებათა ჩამონათვალს, რომელშიც ვლინდება მხარის უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს მისი საპროცესო უფლებები, იგი ნების ავტონომიის საპროცესო გამოხატულებაა და წარმოადგენს მხარის საპროცესო უფლებათა იმგვარი რეალიზაციის საშუალებას, როდესაც საქმეზე მისაღები გადაწყვეტილება უმთავრესად მხარის ნებაზეა ორიენტირებული. ნორმა იძლევა უფლებათა შემდეგ კლასიფიკაციას: პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ დაირღვა მისი უფლება, თავად წყვეტს ამ უფლების სასამართლო წესით დაცვას საპროცესო კანონმდებლობით შემოთავაზებული წესების დაცვით; თავად განსაზღვრავს დავის საგანს და იმას, თუ რა ფაქტებსა და გარემოებებზე დაამყაროს მოთხოვნა; მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე. ჩამოთვლილთაგან უმეტესი ნაწილი მიმართულია მოსარჩელის უფლებებისა-კენ, თუმცა პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ანალოგიურ პირობებს უქმნის მოპასუხეს და ადგენს მის უფლებას, შეთანხმების შემთხვევაში, დავა დაასრულოს მორიგებით, მას ასევე შეუძლია ცნოს სარჩელი. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთიანობაში, სარჩელის ცნობა შეუქცევადია და მას ამ ნაწილში გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვება შედეგად იმდენად, რამდენადაც სარჩელის ცნობას საფუძვლად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს ამ მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას“ (იხ. სუსგ №ას-64-58-2015, 8 აპრილი, 2015 წელი, შდრ. №ას-276-262-2016, 27.05.2016 წ.).

23. საკასაციო სასამართლომ საკვებით გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები და მათი სამართლებრივი შეფასება (იხ. ამ განჩინების 12.2-12.9 ქვეპუნქტები), კერძოდ:

23.1. პირველ მოპასუხეს არ უცვნია სარჩელი და მის მიერ შესაგებელში მითითებული გარემოება მხოლოდ შესაძლო მორიგების კონტექსტში უნდა განხილულიყო, თუმცა, მხარეთა შორის დავის მორიგებით დასრულება ვერ მოხერხდა. საკასაციო სასამართლო

განმარტავს, რომ მოცემულ საქმეში დავის საგანია სამკვიდროს მიღებისათვის გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევა და მისი აღდგენა, შესაბამისად, არაგონიერულია კასატორის მითითება პირველი მოპასუხის მიერ სარჩელის ნაწილობრივ ცნობასთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ მოსარჩელის დამ სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღებაზე მიუთითა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირველმა მოპასუხემ საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას, მოსამზადებელი სხდომის დამთავრებამდე, განაცხადა, რომ სარჩელს არ ეთანხმება და მორიგების შესაძლებლობაც გამოიყენა. კასატორი კანონით დადგენილ შესაგებლის ფორმაზე მიუთითებს, რომელშიც პირველმა მოპასუხემ შეკითხვაზე – „ცნობთ თუ არა სარჩელს №“ აღნიშვნა გააკეთა გრაფაში „ნაწილობრივ“. პირველი მოპასუხის მიერ წერილობით წარდგენილი შესაგებლის, განცხადებისა (იხ. ამ განჩინების მე-19 პუნქტი) და ახსნა-განმარტების შინაარსიდან ნათლად ირკვევა, რომ მოპასუხეს სარჩელის ნაწილობრივ ცნობის ნება არ გამოუვლენია.

23.2. რაც შეეხება, გაშვებული სამკვიდროს მიღების ვადის საპატიოდ მიჩნევასა და მის აღდგენას, სააპელაციო სასამართლოს უდავოდ აქვს დადგენილი, რომ მოსარჩელისათვის 2001 წლის 6 თებერვლიდან ცნობილი იყო დედის ქ. გ-ის გარდაცვალებისა და, შესაბამისად, სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუმცა, სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსისათვის 2015 წლამდე არ მიუმართავს. მოსარჩელემ სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსს მიმართა 2015 წლის 31 ივლისს, 14 წლის შემდეგ, სადავო არაა, რომ ის ფაქტობრივად არ დაუფლებია სამკვიდროს, მემკვიდრეობის მიღების უფლება განსაზღვრულია კანონით, თუმცა, მემკვიდრეობის მიღების ნების გამოვლენა უნდა მოხდეს სამკვიდროს მიღებიდან 6 თვის ვადაში, ამ ვადას კანონმდებლობა აწესებს სწორედ იმისათვის, რომ შესაძლო მემკვიდრეებმა შეძლონ საკუთარი მატერიალური უფლების რეალიზება და გამოავლინონ ნება სამკვიდრო მიღებაზე.

23.3. სსკ-ის 1421-ე მუხლი ადგენს სამკვიდროს მიღებას. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

23.4. სსკ-ის 1424-ე მუხლი სამკვიდროს მიღების ვადად ადგენს 6 თვეს სამკვიდროს მიღების დღიდან, ხოლო 1426.1 მუხლი განსაზღვრავს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას. სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩ-

ნეული. ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე.

24. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივ მსჯელობას და განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ სამართლებრივად სარწმუნო და წონადი არგუმენტები ვერ წარადგინა იმის დასამტკიცებლად, რომ არსებობდა სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილი 6-თვიანი ვადის გაშვების საპატიო გარემოებები და ეს იყო მოსარჩელის საქართველოში არყოფნა და მისი ავადმყოფობა. მართებულია, სააპელაციო სასამართლოს მითითება სსკ-ის 1423-ე მუხლზე, რომელიც ადგენს, სამკვიდრო მემკვიდრემ შეიძლება მიიღოს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით (იხ. ამ განჩინების 12.7 ქვეპუნქტი).

25. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, სამკვიდროს მიღებისათვის გაშვებული ვადა საპატიოდ მიეჩნია, აღნიშნული კი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

26. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში (სსკ-ის 55.2 მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 257.1, 264.3, 284-ე, 285-ე, 410-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. ა. გ-ის უფლებამონაცვლე გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 იანვრის განჩინება;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამკვიდროს მიღებაზე შედავების ვადა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-674-674-2018

9 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ლ. ქ-ი (შემდეგში – მამკვიდრებელი) გარდაიცვალა 2009 წლის 13 თებერვალს.

2. გარდაცვალების მომენტისათვის მას დარჩა კანონისმიერი პირველი რიგის მემკვიდრეები, შვილი – ლ. ქ-ი (შემდეგში – მოპასუხე, მამკვიდრებლის შვილი) და 2003 წლის 25 ივნისს გარდაცვლილი შვილის, ე. ო-ის შვილები, ლ. (შემდეგში – მოსარჩელე, მამკვიდრებლის შვილიშვილი) და ლ. ქ-ები (შემდეგში – მოსარჩელის ძმა, მამკვიდრებლის შვილიშვილი). მამკვიდრებელი მეუღლესთან, ყ. ო-თან (შემდეგში – მამკვიდრებლის ყოფილი მეუღლე, მოპასუხის მამა) განქორწინებული იყო 1986 წლიდან.

3. მამკვიდრებლის სახელზე გარდაცვალების მომენტისათვის საკუთრების უფლებით ირიცხებოდა უძრავი ქონება – ქ. თბილისში, ... №20-ში მდებარე ბინა №171 (შემდეგში – სადავო/სამკვიდრო ქონება). უძრავი ნივთის შეძენის საფუძველია 2000 წლის 12 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

4. 2015 წლის 27 ოქტომბერს გაცემული სამკვიდრო მონუმენტის თანახმად, მოპასუხემ, როგორც მამკვიდრებლის შვილმა, საკუთრებაში სრულად მიიღო სამკვიდრო ქონება, რის საფუძველზეც სადავო უძრავი ნივთი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლებით აღირიცხა მოპასუხის სახელზე. მითითებულ სანოტარო აქტში აღნიშნულია, რომ სამკვიდრო მონუმენტის მიღების შესახებ განცხადება მოპასუხემ წარადგინა მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის ვადაში.

5. 2016 წლის 11 იანვარს დადებული ჩუქების ხელშეკრულების მიხედვით, მოპასუხეს მამამ აჩუქა თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონების კუთვნილი 1/2 ნაწილი, რაც საჯარო რეესტრში მოპასუხის საკუთრებად აღირიცხა.

7. მოსარჩელის მოთხოვნა:

7.1. მოსარჩელემ მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს და სადავო საკვიდრო ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ ცნობა მოითხოვა. მოსარჩელის მტკიცებით, მამკვიდრებელი გარდაცვალებამდე, რძალსა და შვილიშვილებთან ერთად თბილისში, ... მდებარე ბინაში ცხოვრობდა, სადაც განთავსებული იყო, მამკვიდრებლის მიერ შეძენილი მოძრავი ნივთებიც. შესაბამისად, მოსარჩელის განმარტებით, მან მამკვიდრებლის მოძრავი ნივთების (კერძოდ, ე.წ. „დესაუს“, „გორკის“, მაგიდის, 4 სკამის, 2 სანოლის, ტანსაცმლის ორი კარადის, 2 ტუმბოს, 2 დივნის, ჭალისა და ზოგიერთი სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების) ფაქტობრივი დაუფლებით მიიღო სამკვიდრო ქონება.

8. მოპასუხის პოზიცია:

8.1. მოპასუხემ ერთდროულად მოთხოვნის გამომრიცხველი და შემაფერხებელი შესაგებლის წარდგენით უარყო სარჩელის საფუძვლიანობა. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელეს ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია სამკვიდრო – არც მოძრავი და არც უძრავი ქონება, რამდენადაც სარჩელში მითითებული ქონება არ წარმოადგენდა მამკვიდრებლის საკუთრებას. მოპასუხის მითითებით, თბილისში, ... მდებარე ბინაში განთავსებული ავეჯი და მოძრავი საყოფაცხოვრებო ნივთების ნაწილი სახლის მესაკუთრე ყ. ო-ს მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული, ხოლო ნაწილი თავად მოპასუხემ შეიძინა. მოპასუხემ სარჩელის ხანდაზმულობაზეც მიუთითა.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

9.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა. სასამართლომ მოსარჩელე სადავო სამკვიდრო ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნო. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული გარემოებები, ხოლო დავის მოსაწესრიგებლად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 1336-ე, 1421-ე-1451-ე მუხლებით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, მოსარჩელე, როგორც პირადად, ასევე, კანონიერი წარმომადგენლის, დედის – ვ. ჯ-ას საშუალებით, ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა მამკვიდრებლის დანაშთ ქონებას – ქ. თბილისში, ... განთავსებულ მოძრავ, საყოფაცხოვრებო ნივთებს.

10. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი:

10.1 აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და დასკვნები:

11.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინებით – სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ დაევაზე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

11.2. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საქმეზე წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საინფორმაციო ბარათით, დადასტურებული იყო გარდაცვალებამდე მამკვიდრებლის რეგისტრაციის ფაქტი თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონების მისამართზე. ამ ფაქტზე დაყრდნობით, პალატამ ივარაუდა, რომ მამკვიდრებლის საცხოვრებელს წარმოადგენდა სწორედ მისი რეგისტრაციის ადგილი. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ მამკვიდრებლის რეგისტრაციის ადგილი მის მუდმივ საცხოვრებელს არ წარმოადგენდა, რადგანაც ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხეს დაევაზე არ წარმოუდგენია. პალატამ მამკვიდრებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გაითვალისწინა მოწმეების – ზ. პ-სა და ე. კ-ას ჩვენებებიც. პალატის მითითებით, მამკვიდრებელი დასაქმებული იყო და ჰქონდა შემოსავალი, შესაბამისად, ამ გარემოებისა და რეგისტრაციის მისამართზე მამკვიდრებლის 14 წლის განმავლობაში ცხოვრების ფაქტზე დაყრდნობით, სავარაუდო იყო, რომ ის მოძრავი ნივთები, რომელთაც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ იმავე საცხოვრებელ ბინაში მცხოვრები მოსარჩელე დაეუფლა, მამკვიდრებელს ეკუთვნოდა. პალატის განსჯით, მართალია, პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ ... ბინაში არსებული საყოფაცხოვრებო ნივთები მამკვიდრებელმა შეიძინა, საქმეში არ მოიპოვებოდა, თუმცა საქმის მასალებით არ დასტურდებოდა არც ის გარემოება, რომ აღნიშნული ნივთების მესაკუთრეს მოპასუხე ან ყ. ო-ი წარმოადგენდნენ.

11.3. პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს და მიაჩნია, რომ მოცემულ დაევაზე უნდა გავრცელებულიყო 1450-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სპეციალური – 2-თვიანი ვადა. სააპელაციო პალატამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ მოპასუხის მიერ სამკვიდროს დასაკუთრების შესახებ შეიტყო 2016 წლის 9 იანვარს, ხოლო მოსარჩელემ უძრავ ქონებაზე საკუთრების მოპოვების დავა წამოიწყო 2016

წლის 12 იანვრიდან, სარჩელი ხანდაზმულობის ვადის დაცვით იყო შეტანილი.

12. საკასაციო მოთხოვნა და მისი საფუძვლები:

12.1 აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

12.2. საკაციო პრეტენზია შემდეგ გარემოებებს ეფუძნება:

12.2.1. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ მამკვიდრებლის კონკრეტული ქონების მისამართზე რეგისტრაციის ფაქტის საფუძველზე არასწორად დაადგინა, მამკვიდრებლისა და მოსარჩელის ერთად ცხოვრებისა და მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ მოსარჩელის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი. კასატორის განმარტებით, ამა თუ იმ პირის რეგისტრაციის მისამართი შესაძლებელია, განსხვავდებოდეს მისი ფაქტობრივი საცხოვრებლისგან და მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტზე დაყრდნობით, არ შეიძლება სასამართლომ დაადგინოს პირის კონკრეტულ საცხოვრებელ ბინაში ცხოვრების ფაქტი. კასატორის განმარტებით, მისი მშობლები განქორწინებული იყვნენ და, მიუხედავად იმისა, რომ მამკვიდრებელი რეგისტრირებული იყო ყოფილი ქმრის საკუთრებაში რიცხული ქონების მისამართზე – ... მდებარე ბინაში, ფიზიკურად მამკვიდრებელი (კასატორის დედა) მასთან (კასატორთან) და არა მოსარჩელესთან ერთად ცხოვრობდა.

12.2.2. კასატორის განსჯით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ მამკვიდრებელი ფაქტობრივად ცხოვრობდა იურიდიული რეგისტრაციის მისამართზე, მტკიცებულებებით უნდა დასტურდებოდეს ... მდებარე ბინაში (რეგისტრაციის მისამართზე) გარკვეული ნივთების მამკვიდრებლის საკუთრებაში ქონა და სამკვიდროს სახით მოსარჩელის მიერ ამ ნივთების დაუფლება, რაც შესაბამისი მტკიცებულებებით არ მტკიცდება. კასატორის განმარტებით, თბილისში, ... მდებარე საცხოვრებელი ბინა მამკვიდრებლის ყოფილმა მეუღლემ მიიღო მემკვიდრეობით და იქ არსებული ავეჯისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების 90% სწორედ მამკვიდრებლის ყოფილ მეუღლეს ეკუთვნოდა, ხოლო ნაწილი თავად კასატორის მიერ იყო შეძენილი.

12.2.3. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად აითვალა სარჩელის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაც. კასატორის განმარტებით, მოსარჩელემ ჯერ კიდევ 2015 წლის 22 დეკემბერს იცოდა მოპასუხის მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე, თუმცა სარჩელი სასამართლოში 2016 წლის მარტში, სსკ-ის 1450-ე მუხლით გათვალისწინებული 2 თვიანი ვადის დარღვევით წარადგინა.

12.2.4. სასამართლომ მოსარჩელეს მიაკუთვნა სადავო ქონების

½ ნილი, მაშინ, როდესაც, მოსარჩელემ შეამცირა მოთხოვნა და ითხოვდა ¼ ნილს, გარდა ამისა, სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნას, როდესაც გადანყევტილებით დაადგინა ქონების ½ ნილის მოსარჩელის სახელზე საჯარო რეესტრში აღრიცხვა. მოსარჩელეს ასეთი სასარჩელო მოთხოვნა არ დაუყენებია.

12.2.5. კასატორი მოითხოვს მტკიცებულების (საჯარო რეესტრის ამონაწერის, საიდანაც დადასტურდებოდა, რომ ლ. ქ-მა 2015 წლის 22 დეკემბერს იცოდა ლ. ქ-ის მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე) მიღებაზე უარის თქმის თაობაზე განჩინების გაუქმებას და საქმისათვის მტკიცებულებების დართვას.

13. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი:

13.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 მაისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო, ამავე პალატის 2018 წლის 28 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის, „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის, მხარეთა მოსაზრებების მოსმენისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყევტილებას ამონებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყევტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორის პრეტენზიები ნაწილობრივ საფუძვლიანია, რის გამოც საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელა-

ციო სასამართლოს.

15. მოცემულ შემთხვევაში, განსახილველი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია იმ საკითხის გარკვევა, მოსარჩელემ მიიღო თუ არა სამკვიდრო ქონება მამკვიდრებლის კუთვნილი მოძრავი ნივთების დაუფლებით, რა მიზნითაც განსაკუთრებულ სამართლებრივ დაცვით ვას იძენს მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მამკვიდრებლის საკუთრებაში მოძრავი ქონების არსებობისა და მათი მოსარჩელის მიერ დაუფლების ფაქტის დადგენა. კასატორის განცხადებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე დააკმაყოფილეს მოსარჩელის მოთხოვნა სადავო ქონების მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ, რომ სასამართლოს უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე არ დაუდგენია მამკვიდრებლისა და მოსარჩელის (მემკვიდრის) თანაცხოვრებისა და მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ მოსარჩელის მიერ სამკვიდროს კანონით განსაზღვრულ ვადაში მიღების ფაქტი. საკასაციო პალატის განსჯით, კასატორის ეს პრეტენზია ნაწილობრივ გასაზიარებელია, რასთან დაკავშირებითაც ამ განჩინების ფარგლებში პალატა დეტალურად იმსჯელებს.

16. უნინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 982.1 (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება), 1306.1 (გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძველით), 1336.1 (კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები ...), 1421.2 (მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო), 1421.3 (თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი), 1424-ე (სამკვიდრო მიღე-

ბულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან) და 1433-ე (მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან) მუხლები. სწორედ მითითებულ ნორმათა შემადგენლობის განხორციელებაზეა დამოკიდებული ხელყოფილი საკუთრების უფლების რესტიტუცია.

17. სამემკვიდრეოსამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა და სამემკვიდრეო უფლებების განხორციელება უკავშირდება არა მარტო სამკვიდროს გახსნის მომენტს, არამედ მემკვიდრეთა მხრიდან გარკვეული იურიდიული მოქმედებების შესრულებას. მართალია, კანონის თანახმად, სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრება ხდება მისი გახსნის მომენტიდან, მაგრამ როდესაც სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეთა რიცხვი ერთზე მეტია, მაშინ აუცილებელია, თითოეულმა მემკვიდრემ კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადის დაცვით შეასრულოს სამკვიდროს მიღებისათვის აუცილებელი მოქმედება.

18. სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დროს განმსაზღვრელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე კომპონენტები – სამკვიდროს მართვა-დაუფლებისკენ მიმართული ნება და ამგვარი ნების მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში გამოვლენა. ფაქტობრივი ფლობისკენ მიმართული ნებისმიერი მოქმედებიდან უნდა იკვეთებოდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების სურვილი. მემკვიდრის ყველა მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლება (მაგალითად: მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, მამკვიდრებლის ნივთების, როგორც საკუთარის მიღება და განკარგვა, სამკვიდროს ფაქტობრივი მართვა, მოვლა და სხვა) (შდრ. იხ. სუსგ. №ას-283-268-2017, 07.07.2017; №ას-1172-1127-2016, 31.03.2017წ; №ას-203-193-2016, 02.06.2016; №ას-972-921-2015, 15.12.2015წ; №ას-482-455-2012, 31.05.2012წ).

19. კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2009 წელს, მის პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ როგორც მოპასუხე, ისე მოსარჩელე და მისი ძმა წარმომადგენლობითი მემკვიდრეობის უფლებით მამის წილზე. მემკვიდრეთა შორის სადავო არაა ის ფაქტი, რომ ნოტარიუსისადმი მიმართვის გზით სამკვიდრო ქონება მხოლოდ მოპასუხემ მიიღო, არასრულწლოვანი მოსარჩელის სამკვიდრო წილის მისაღებად მის კანონიერ წარმომადგენელს (დედას) ნოტარიუსისთვის არ მიუმართავს.

20. განსახილველი დავის მთავარ ქვაკუთხედს მამკვიდრებლის სამკვიდროს მასის განსაზღვრა და მოსარჩელის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების გზით მიღების დადგენა წარმოადგენს.

მოსარჩელე სამკვიდროს მიღებას მამკვიდრებლის კუთვნილი მოძრაი ნივთების ფაქტობრივ დაუფლებას უკავშირებს, თუმცა განსახილველი დავის ფარგლებში მხარეთა შორის სადავოა, როგორც მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ისე იმ მოძრაი ნივთების მამკვიდრებლისადმი კუთვნილების ფაქტი, რომელთა დაუფლებასაც მოსარჩელე სამკვიდროს მიღებისაკენ მიმართული ცალმხრივი ნების გამოვლენას უკავშირებს. ამ საკვანძო გარემოების გამორკვევის მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს მთელ რიგ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ:

- მამკვიდრებლის ქონებას და, აქედან გამომდინარე, სამკვიდრო მასას შეადგენს – ქ. თბილისში, ... მდებარე ბინა №171;
- მოსარჩელე მშობლებთან და ძმასთან ერთად, როგორც მამკვიდრებლის სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდგომ ცხოვრობდა თბილისში, ... მდებარე ბინაში, რომელიც მამკვიდრებლის გარდაცვალების დროისათვის ირიცხებოდა მამკვიდრებლის ყოფილი მეუღლის საკუთრებაში;
- მამკვიდრებელი მეუღლესთან 1986 წელს განქორწინდა, თუმცა განქორწინების შემდგომ 1995 წლიდან რეგისტრირებულია ყოფილი მეუღლის საკუთრებაში რიცხული ბინის იურიდიულ მისამართზე.

20.1. საკასაციო პალატა ამ მოცემულობის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ საქმეზე გამორკვეული გარემოებები არ ქმნის მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრის შესაძლებლობას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ მამკვიდრებელი მეუღლესთან განქორწინებული იყო, გარკვეულწილად აქარწყლებს ყოფილ მეუღლეთა შემდგომი ერთობლივი თანაცხოვრების პრეზუმფციას. განქორწინების შემდგომ, მამკვიდრებლის მიერ მის მეუღლესთან ფაქტობრივი თანაცხოვრების აღდგენის ფაქტი კი, რაც ახსნიდა ყოფილი მეუღლის საცხოვრებელ ბინაში მამკვიდრებლის ცხოვრებას, სასამართლოს დავაზე არ გამოურკვევია. საკასაციო პალატის შეფასებით, დავის გადაწყვეტის დროს სააპელაციო სასამართლო მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის მიზნებისათვის არასწორად დაეყრდნო თბილისში, ... მდებარე მისამართზე მისი რეგისტრაციის ფაქტს. პირს გააჩნია უფლებამოსილება, რეგისტრაცია განახორციელოს როგორც საცხოვრებელ, ისე სხვა ადგილზე. რეგისტრაციის ადგილის განსაზღვრა პრაქტიკულ დანიშნულებას, უპირველეს ყოვლისა, საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობების დროს პოვებს ... რეგისტრაციის განხორციელება ავტომატურად არ წარმოშობს პირის საცხოვრებელი ადგილის დაუფძნებას. (სამოქალაქო კოდექსის 20-ე მუხლის კომენტარი, სერგი ჯორბენაძე. 16-

165 გვ; http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_I_Book.pdf).

20.2. წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით, პალატა განმარტავს, რომ სამკვიდროს მიღების დასადგენად, აპრიორი, სამართლებრივი დატვირთვა აქვს მამკვიდრებლის უკანასკნელი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას, რომელიც შესაძლოა, განსხვავდებოდეს რეგისტრაციის მისამართისაგან. შესაბამისად პირის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი ემთხვევა თუ არა მისი რეგისტრაციის მისამართს, ესეც სასამართლოს მიერ დასადგენ გარემოებათა წრეს განეკუთვნება. საკასაციო პალატის განსჯით, მხოლოდ ის გარემოება, რომ მამკვიდრებელი რეგისტრირებული იყო კონკრეტულ მისამართზე, არ იძლევა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ მის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს სწორედ ეს ბინა წარმოადგენდა.

20.3. უშუალოდ მოსარჩელის მიერ დასახელებული მოძრავი ნივთების მამკვიდრებლისადმი კუთვნილებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ფაქტს მასზე, რომ სადავო მოძრავი ნივთები მამკვიდრებლის ყოფილი მეუღლის (მოსარჩელის ბაბუის) საკუთრებაში რიცხულ საცხოვრებელ სახლში იმყოფებოდა და, აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში – სსკ-ის 151-ე მუხლის თანახმად წარმოადგენდა მის საკუთვნილებას (საკუთვნილებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნილებად). სასამართლოს განმარტებით, საკუთვნილების თვისება ისაა, რომ იგი მთავარ ნივთთან დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ საკუთვნილებელი განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის. საკუთვნილებელი სივრცობრივად უკავშირდება მთავარ ნივთს, სანიშნაღმდეგოს დამტკიცებამდე, მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნილების მესაკუთრედ მიიჩნევა. მოსარჩელის მტკიცებით, ის დაეუფლა შემდეგ ნივთებს: ე.წ. „დესაუს“, „გორკას“, მაგიდას, 4 სკამს, 2 სანოლს, ტანსაცმლის ორი კარადას, 2 ტუმბოს, 2 დივანს, ჭალსა და ზოგიერთ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს. საკასაციო პალატის შეფასებით, თავად ამ ნივთების ჩამონათვალთა რაობა, ფუნქციური (საერთო სამეურნეო) დანიშნულებაც კი, მეტყველებს მის სამართლებრივ დატვირთვაზე. მოსარჩელის საცხოვრებელ ადგილას განთავსებული მოძრავი ნივთები განკუთვნილია მამკვიდრებ-

ლის ყოფილი მეუღლის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების სამსახურისათვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით. მოსარჩელემ ამ ნივთების გარდა მიუთითა სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების დაუფლებაზეც, თუმცა არ დაუკონკრეტებია მათი დასახელება, შესაბამისად სასამართლოსთვის უცნობია შესაძლებელია თუ არა ამ ნივთებს შორის ყოფილიყო ისეთი მოძრავი საგნებიც, რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო მიგვეჩნია მამკვიდრებლის პირად/ინდივიდუალურ საკუთრებად. ამრიგად, მოძრავი ნივთების მესაკუთრის პრეზუმფცია ბინის მესაკუთრის – მამკვიდრებლის ყოფილი მეუღლის სასარგებლოდ მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით შემცირებული პირი გააქარწყლებს ამ პრეზუმფციას და დაადასტურებს კონკრეტულ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების არა ბინის მესაკუთრის, არამედ სხვა პირის მიერ ქონას. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში განმტკიცებული მტკიცების ტვირთის განაწილების ფარგლებში, მოსარჩელეს ევალებოდა მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების (ბებიასთან თანაცხოვების, მამკვიდრებლის საკუთრებაში მოძრავი ნივთების არსებობისა და მათი სამემკვიდრეო სამართლით დადგენილი წესების დაცვით მოსარჩელის მიერ დაუფლების) დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებებისა წარმოდგენა და ყოველგვარი ეჭვის გაქარწყლება, სააპელაციო სასამართლოს კი, საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად სამკვიდროს მიღება/არმიღების ფაქტის დადგენა და სამართალურთიერთობისათვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა.

20.4. მოძრავ ნივთებზე მამკვიდრებლის საკუთრების უფლების დადასტურების თვალსაზრისით, ცალკე აღნიშვნის ღირსია საქმეზე გამოკითხული მოწმეთა ჩვენებები, რომელიც წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავია, ერთ-ერთი მოწმის მონათხრობით, ის შეესწრო გარკვეული ავეჯის გადმოტვირთვას და ... მდებარე ბინაში შეტანას, თუმცა მოწმე ვერ ადასტურებს მამკვიდრებლის მიერ ამ ნივთების შეძენის ფაქტს, სხვა მოწმის მითითებით კი, სადავო ნივთები მოპასუხემ შეიძინა, თუმცა მოწმე დაზუსტებით ვერ აკონკრეტებს, თუ სად (რომელ ბინაში) უნდა განთავსებულიყო შეძენილი ქონება. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, სასამართლო ვერ დაეყრდნობა მოწმეთა ჩვენებებს და მათ საფუძველზე სადავო საკითხს სამართლებრივ შეფასებას ვერ მისცემს. საკასაციო პალატა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლზე მითითებით განმარტავს, რომ სასამართლოსთვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი

ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ დასკვნა გამოაქვს.

20.5. სადავო საკითხის სრულყოფილად გასაანალიზებლად, უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი მეუღლის ბინაში მამკვიდრებლის გარკვეული დროით/პერიოდულად დარჩენის/ცხოვრების ფაქტს მოპასუხე არ თვლის სადავოდ. რა თქმა უნდა, გარკვეული სიხშირით მოსარჩელის საცხოვრებელ ადგილას ბებიის მისვლისა და, დარჩენის/ცხოვრების პირობებშიც სავარაუდოა, რომ მამკვიდრებელს მის „პერიოდულ საცხოვრებელ ადგილას“ ჰქონოდა პირადი მოხმარების მოძრავი ნივთები განთავსებული (რამდენადაც ეს ქმედება არ იყო ერთჯერადი და ჰქონდა პერიოდული ხასიათი გარკვეული სიხშირით), რომელთა დაუფლება განიხილება სამკვიდროს მიღებად, თუმცა ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რა სახის მოძრავი ნივთების დაუფლებაზე აპელირებს მემკვიდრე. ძნელად წარმოსადგენია მამკვიდრებელს სოლიდური ღირებულების საერთო-სამეურნეო დანიშნულების მოძრავი ნივთები განთავსებინა არა საკუთარ, არამედ ყოფილი მეუღლის ბინაში, სადაც ის გარკვეული პერიოდულობით რჩებოდა, ხოლო სულ სხვა საკითხია, როდესაც პირი გარკვეული სიხშირით და დროით ცხოვრობს სხვის საკუთრებაში რიცხულ ბინაში, სადაც სავარაუდოა, რომ მას განთავსებული აქვს გარკვეული პირადი ნივთებიც. ასეთი ნივთების დაუფლებაზე მოსარჩელის მითითება საქმის მასალებით არ დასტურდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მამკვიდრებლის ყოფილმა მეუღლემ ბინა მშობლებისგან მემკვიდრეობით მიიღო, რა დროსაც პრეზუმირებულია, რომ მემკვიდრემ ბინა, რომელშიც ის მშობლებთან ერთად ცხოვრობდა მასში განთავსებულ ავეჯთან ერთად მიიღო, რაც კიდევ უფრო ართულებს და მამკვიდრებლის მიერ სამეურნეო დანიშნულების ნივთების მესაკუთრეობის დასადგენად მტკიცების მაღალ სტანდარტს მოითხოვს.

20.6. საკასაციო პალატის შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვის დროს ზემოთ განხილული (იხ. წინამდებარე განჩინების 20.1-20.5 პუნქტები) იურიდიული ნიუანსების გათვალისწინებით, უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს მამკვიდრებლის ყოფილი მეუღლის საკუთრებაში რიცხულ ბინაში განთავსებული სადავო მოძრავი ნივთები ეკუთვნოდა თუ არა მამკვიდრებელს.

21. მხარეთა შორის სადავო არაა, რომ სამკვიდროს გახსნისა და

მიღების 6-თვიან დროის ინტერვალში მოსარჩელე, ისევე როგორც სამემკვიდრეო უფლების მქონე მისი ძმა არასრულწლოვან (12 და 9 წლის) პირებს წარმოადგენდნენ. ასეთ შემთხვევაში კი, სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოწესრიგების თანახმად, მემკვიდრე სამკვიდროს იღებს მისი კანონიერი წარმომადგენლის საშუალებით (სსკ-ის 1422-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 1. ქმედუზნარო და შეზღუდულქმედუზნარიანი პირები სამკვიდროს იღებენ თავიანთი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით). სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღების საკითხის ხელახლა გამოკვლევისას სწორედ ამ საკანონმდებლო დანაწესით უნდა იხელმძღვანელოს და გამოარკვიოს არამხოლოდ მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი და მის საკუთრებაში მოძრავი ნივთების არსებობის ფაქტი, არამედ მოსარჩელის კანონიერი წარმომადგენლის მიერ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში მოსარჩელის სამემკვიდრეო უფლებების დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებები (ქონების ფაქტობრივი დაუფლება). სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილ დროში მომჩივანი პირის არსრულწლოვანების ფაქტის არსებობის პირობებში, სამკვიდროს დაუფლების კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით შემოწმება სამართლის საკითხია.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანი მემკვიდრის ინტერესების დაცვასთან მიმართებით სამოსამართლო სამართლის ფარგლებში დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით, (იხ. სუსგ. საქმე №ას-283-268-2017, 7.07.17; №ას-4-4-2016, 11.07.16; №ას-177-167-2011; 7.07.11წ.) კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვნის სამკვიდრო ქონებისადმი გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში სამკვიდროს მიღების ვადა სრულწლოვანების ასაკის მიღწევიდან აითვლება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დავა კომპლექსურად უნდა განიხილოს, რა დროსაც ზემოხსენებული ფაქტორიც უნდა გაითვალისწინოს.

22. საკასაციო პალატის განსჯის საგანს განეკუთვნება სამკვიდრო ქონებაზე მოსარჩელის მოთხოვნისა და დავის მიმართ იურიდიული ინტერესის ფარგლების განსაზღვრაც. სადავო არაა, რომ მამკვიდრებელს დარჩა სამი მემკვიდრე, მოპასუხე და გარდაცვლილი შვილის შვილები წარმომადგენლობითი მემკვიდრეობის უფლებით. შესაბამისად, სამკვიდრო მასიდან მოსარჩელემ და მისმა ძმამ მოიპოვეს სამკვიდრო ქონების 1/2-ის კანონისმიერი მემკვიდრეობის გზით მიღების უფლება, რაც როგორც ზემოთ აღინიშნა დამოკიდებული იყო სამკვიდროს მიღებისაკენ მიმართულ მემკვიდრის ნების გამოვლენაზე, არასრულწლოვანი მემკვიდრის შემთხვე-

ვაში კი, მათი კანონიერი წარმომადგენლის ქმედებებზე. თავის მხრივ, გარდაცვლილი მემკვიდრის ქონებაზე თანაბარი უფლებები წარმოეშვათ მის მემკვიდრეებს, შესაბამისად, მოსარჩელეს შეეძლო პრეტენზია გამოეთქვა მამის სამკვიდრო წილზე მის მიერ მისაღები წილის სამკვიდრო ქონების $\frac{1}{4}$ -ის მიკუთვნების თაობაზე. მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს და მემკვიდრის მოთხოვნა მისი დაკმაყოფილების წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დააკმაყოფილოს მოთხოვნის ფარგლების და იურიდიული ინტერესის გათვალისწინებით. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მამკვიდრების გარდაცვალებისა და სამკვიდრო მიღების 6-თვიანი ვადის განმავლობაში მოსარჩელეს და მის ძმას მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით და არა დამოუკიდებლად, საკუთარი ნების გამოვლენის საფუძველზე შეეძლოთ მიეღოთ სამკვიდრო, მოსარჩელის მიერ ამ წესით სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების სასამართლოს მიერ დადგენის შემთხვევაში, თავისთავად ცხადია იგივე სამართლებრივი რეჟიმი გავრცელდება მოსარჩელის ძმაზეც, თუმცა რამდენადაც მოსარჩელის ძმა განსახილველი დავის სუბიექტი არ არის მის წილ სამკვიდრო ქონებაზე ($\frac{1}{4}$ ნაწილი) უფლების საკითხი ღიადა უნდა დარჩეს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოპასუხის მიერ სამკვიდრო ქონების მთლიანად მიღებით, მაშინ როდესაც მან კარგად უწყოდა იმავე რიგის არასრულწლოვანი მემკვიდრეების არსებობის თაობაზე, უკანონოდ განიკარგა მოსარჩელის მამის მიერ მისაღები $\frac{1}{2}$ სამკვიდრო წილი.

23. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის დარღვევის თაობაზე საკასაციო განაცხადს, საკასაციო პალატის განმარტებით სსკ-ის 1450-ე მუხლი (სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი) ადგენს კონკრეტულად სამკვიდროს მიღების ან მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ ხანდაზმულობის ვადას და არა – სამემკვიდრეო მოწმობის გასაჩივრების ვადას (სუსგ №ას-111-104-2015, 2015 წლის 30 ოქტომბერი, სუსგ №ას-72-68-2013, 2013 წლის 8 აპრილი, სუსგ №ას-43-43-2016, 2016 წლის 23 მარტი). ამ ნორმის გამოყენების საფუძველი იარსებებდა მაშინ, თუ დავის საგანი იქნებოდა მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე გამოვლენილი ნების ნამდვილობა (სუსგ №ას-655-621-2015, 2015 წლის 15 დეკემბერი). მოცემულ შემთხვევაში, მოსარ-

ჩელე სადავოდ არ ხდის ამ ფაქტს, არამედ მოითხოვს სამკვიდროს მიღების სასამართლოს მიერ დადგენას და სამკვიდრო ქონებიდან მისი კუთვნილი წილის მესაკუთრედ ცნობას. გარდა ამისა, საკასაციო პალატა ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებით განმარტავს, რომ მემკვიდრის მიერ სადავო უძრავი ქონების მიღება ფაქტობრივი ფლობით ან მართვით აყენებს მას განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმში. ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით (კონკლუდენტური მოქმედებებით) მემკვიდრე ხდება სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. სამკვიდროს მიღების ფაქტის არსებობის შემთხვევაში მემკვიდრეს აქვს უფლება, დაიცვას მიღებული სამკვიდრო სხვა დანარჩენი მემკვიდრეებისაგან, მათ შორის – იმ მემკვიდრეებისაგან, რომლებმაც საკუთრების უფლება დაირეგისტრირეს. ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი და არა აბსოლუტური უფლება, შესაბამისად, აბსოლუტურ უფლებაზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება (შდრ. სუსგ. საქმე №ას-351-2019, 15.10.2020წ). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სარჩელი მიმართულია მისი საკუთრების უფლების დაცვისკენ, რაც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადით შეზღუდული არ არის.

24. საკასაციო პალატის განმარტებით, მტკიცებულების დაშვების თაობაზე კასატორის მოთხოვნას, არ აქვს ლეგიტიმური საფუძველი. ჯერ ერთი, სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის (საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები) შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ აქვს ახალი მტკიცებულებების კვლევის პროცესუალური შესაძლებლობა და, მეორეც, სააპელაციო სასამართლომ ამ საკითხზე იმსჯელა განჩინებაში და საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს, ამ მტკიცებულების მიუღებლობის პროცესუალურსამართლებრივი საფუძვლიანობის თაობაზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს პოზიციას (სსსკ-ის 104.1 მუხლის თანახმად, კი სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მტკიცებულებები, რომელთაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ).

25. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკ-

ვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

26. სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ქ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სამკვიდროს გაყოფა

მემკვიდრის ადგილსამყოფელის დადგენის მოპალეობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1304-2019

7 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით მი-
ყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ჟ. ბ-ვა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მამკვიდ-
რებელი ან მოსარჩელის მეუღლისა და მოპასუხის დედა), 2000
წლის 27 დეკემბერს გარდაიცვალა. გარდაცვლილის სამკვიდრო მა-
საში შედიოდა ბორჯომის რაიონში, დაბა ..., ქ. ქუჩა №...-ში მდებარე
უძრავი ქონება (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც
სამკვიდრო ქონება, დანაშთი ქონება, უძრავი ქონება ან სადავო
ქონება). მამკვიდრებელს დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე
(შვილები), ა. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპა-
სუხე, აპელანტი, მონინაალმდეგე მხარე ან მემკვიდრე) და ვ. ბ-
ვები (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მემკვიდრე ან
მოსარჩელის მეუღლე); ამ უკანასკნელის რეგისტრირებული მეუღ-
ლე იყო თ. ბ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მო-
სარჩელე, მონინაალმდეგე მხარე ან კასატორი).

2. მამკვიდრებელი გარდაცვალებამდე ცხოვრობდა მოსარჩე-
ლესთან და მის ან გარდაცვლილ შვილთან, ანუ მოსარჩელის მეუღ-
ლესთან ერთად ქ. ზესტაფონში; დედის გარდაცვალების შემდეგ
მოსარჩელემ და მისმა მეუღლემ გააგრძელეს ცხოვრება იმავე სახ-
ლში. ეს უკანასკნელი 2007 წლის 28 სექტემბერს გარდაიცვალა.

3. 2008 წლის 21 ივლისს მოსარჩელემ, როგორც პირველი რიგის
მემკვიდრემ სრულად მიიღო მისი მეუღლის დანაშთი ქონება; შე-
საბამისად, მის სახელზე გაიცა კანონისმიერი სამკვიდრო მოწმო-
ბა; ძმის გარდაცვალების შემდეგ, 20... წლის ... სექტემბერს, მოპა-
სუხე როგორც პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, სამკვიდ-
რო მოწმობის საფუძველზე გარდაცვლილი დედის დანაშთი ქონე-

ბის, მდებარე დაბა ..., მესაკუთრე გახდა. მან სადავო ქონება, რომლის საბაზრო ღირებულებაა 63 180 ლარი, 2014 წლის 17 აპრილს მესამე პირზე გაასხვისა (გაყიდა).

4. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით, მოსარჩელემ 2018 წლის 4 მაისს სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ იმ საფუძველით, რომ გასხვისებული ქონება მის ან გარდაცვლილ მეუღლესაც ეკუთვნოდა. მან მოპასუხეზე გასხვისებული ქონების 1/4 ნაწილის ღირებულების, 15 795 ლარის, დაკისრება მოითხოვა

5. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო. ის ამტკიცებდა, რომ მოსარჩელის მეუღლე მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ 6 თვის განმავლობაში ფაქტობრივი ფლობით არ დაუფლებია სამკვიდრო ქონებას და მხოლოდ ისაა ამ ქონების ერთადერთი მესაკუთრე.

6. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოსარჩელე ცნობილ იქნა სადავო ქონებაზე სავალდებულო წილის 1/4 მესაკუთრედ; მოპასუხეს – 15 795 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 1306-ე, 1319-ე, 1320-ე, 1328-ე, 1336-ე, 1337-ე, 1372-ე, 1374-ე, 1421-ე, 1424-ე, 1456-ე, 1457-ე, 316-ე, 317-ე და 982-ე მუხლები გამოიყენა.

7. მოპასუხემ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და სარჩელი უარყოფილ იქნა. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ სამკვიდრო ქონება არა ანდერძისმიერი, არამედ კანონისმიერი მემკვიდრეობით მიიღო, რაც გამორიცხავდა სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებას.

9. მოსარჩელემ საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

10. კასატორის მტკიცებით, ის სადავო ქონებას მეუღლესთან ერთად ფლობდა მამკვიდრებლის სიცოცხლეშიც და მისი გარდაცვალების შემდგომაც. შესაბამისად, სამკვიდრო ქონებიდან წილის მოთხოვნის თაობაზე სარჩელიც დასაბუთებულია.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 14 იან-

ვრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი დაკმაყოფილდეს.

12. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის/კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, დასაბუთებულია.

13. მოპასუხის მიერ გასხვისებული ქონების 1/4 ნაწილის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 982.1 (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა, აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება), 1306-ე (გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. კანონით მემკვიდრეობა – გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე – მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი), 1336.1 (კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები)), 1328-ე (სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას

ჰქონდა სიკვდილის მომენტი სათვის. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ – ამ ქონების ღირებულება), 1433-ე (მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან), 1424-ე (სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან) და 1421-ე (სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი) მუხლებიდან გამომდინარეობს.

14. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ნორმების გამოყენების დაუშვებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ არ ეთანხმება პალატის მიერ სარჩელის უარყოფას შემდეგი დასაბუთებით:

15. სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა და სამემკვიდრეო უფლებების განხორციელება უკავშირდება არა მარტო სამკვიდროს გახსნის მომენტს, არამედ მემკვიდრეთა მხრიდან გარკვეული იურიდიული მოქმედების შესრულებას. მართალია, კანონის თანახმად სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრება ხდება მისი გახსნის მომენტიდან, მაგრამ, როდესაც სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეთა რიცხვი ერთზე მეტია, მაშინ აუცილებელია, თითოეულმა მემკვიდრემ კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადის დაცვით შეასრულოს სამკვიდროს მიღებისათვის აუცილებელი მოქმედება.

16. სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დროს განმსაზღვრელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე კომპონენტები – სამკვიდროს მართვა-დაუფლებისკენ მიმართული ნება და ამგვარი ნების მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში გამოვლენა. ფაქტობრივი ფლობისკენ მიმართული ნებისმიერი მოქმედებიდან აშკარად უნდა იკვეთებოდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების სურვილი, მემკვიდრის ნება (სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ, აუცილებელია ნების ნამდვილობა). მემკვიდრის ყველა ამგვარი მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა (მაგალითად: მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, მამ-

კვიდრების ნივთების, როგორც საკუთარის მიღება და განკარგვა, სამკვიდროს ფაქტობრივი მართვა, მოვლა და სხვა) (შდრ. სუსგ. №ას-283-268-2017, 07.07.2017; №ას-1172-1127-2016, 31.03.2017წ; №ას-203-193-2016, 02.06.2016; №ას-972-921-2015, 15.12.2015წ; №ას-482-455-2012, 31.05.2012წ).

17. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მამკვიდრებელი ცხოვრობდა მოსარჩელესთან და მის მეუღლესთან ერთად, სადაც მისი კუთვნილი მოძრავი ნივთებიც ინახებოდა, ასევე დადგენილია, რომ მამკვიდრების შვილმა ანუ მოსარჩელის მეუღლემ დედის გარდაცვალების შემდგომ გააგრძელა ცხოვრება იმავე საცხოვრებელ სახლში. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობა (მემკვიდრის მუდმივი ცხოვრება ბინაში, სადაც მამკვიდრების მოძრავი ნივთები ინახება), ქმნის პრეზუმფციას იმისა, რომ მემკვიდრე ანუ მოსარჩელის მეუღლე ფაქტობრივად დაეუფლა მის საცხოვრებელ ბინაში არსებულ მამკვიდრების მოძრავ ნივთებს. რაც საკასაციო პალატას უქმნის იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ მან დედის დანაშთი სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო.

18. სსკ-ის მე-4 მუხლის შესაბამისად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, კი თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც ის ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა ისეთი მტკიცებულება, რომელიც გააქარწყლებდა მოსარჩელის მეუღლის მიერ გარდაცვლილის მოძრავი ქონების ფაქტობრივად დაუფლების ფაქტს.

19. ამრიგად, მოსარჩელის ან გარდაცვლილი მეუღლე კანონის საფუძველზე, გახდა დედის დანაშთი უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრე. შესაბამისად, მოსარჩელის მეუღლის გარდაცვალების დროისათვის სამკვიდრო მასაში შედიოდა ასევე ბორჯომის რაიონში, დაბა ..., ქ. ქუჩა №...-ში მდებარე უძრავი ქონების ნახევარი, რომელიც ფაქტობრივი ფლობით მოსარჩელემ მიიღო (სსკ-ის 1421-ე მუხლი) და გახდა მისი მესაკუთრე (სსკ-ის 1433-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, მოპასუხემ უფლებამოსილი პირის (მოსარჩელის) თანხმობის გარეშე გაყიდა დავის საგანი, გამდიდრდა მოსარჩელის

ხარჯზე და ის ვალდებულია ამ უკანასკნელს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე მხოლოდ გასხვისებული ქონების 1/4 ნაწილის კომპენსაციას ითხოვს საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (სსკ-ის მე-3 და 248-ე მუხლები). სხვა საკითხია მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება, რაც სასამართლოს ვალდებულებაა. როგორც უკვე აღინიშნა მოსარჩელის მეუღლის ძმამ (მოპასუხემ) ხელყო ამ უკანასკნელის სამართლებრივი სიკეთე და მისი თანხმობის გარეშე მთლიანი სამკვიდროს მე-საკუთრედ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. მოგვიანებით მან სადავო ქონება გაასხვისა მესამე პირზე, მაშინ როდესაც მას ნოტარიუსისათვის იმავე რიგის მემკვიდრის (მოსარჩელის მეუღლის) არსებობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ეკისრებოდა; უფრო მეტიც, კანონის თანახმად, მასვე ევალებოდა, მიეღო ზომები მოსარჩელის, რომელმაც მიიღო გარდაცვლილი მეუღლის ქონება, სამკვიდროს მისაღებად მოსაწვევად (სსკ-ის 1478-ე მუხლი). ამდენად, სახეზეა მოპასუხის გამდიდრება მოსარჩელის ხარჯზე და ის ვალდებულია ამ უკანასკნელს სსკ-ის 982.1 მუხლის საფუძველზე აუნაზღაუროს უძრავი ქონების 1/4 ($63\ 180:4=15\ 795$) ნაწილის ღირებულება. სსკ-ის 982-ე მუხლის მიზანთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ „განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, რომ ხსენებული ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან“ (შდრ. სუსგ №ას-472-448-2013, 05.12.2013).

20. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ ზესტაფონის რაიონულ სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1289.75 ლარის გადახდა;

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. თ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ა. ბ-ს თ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 15795 ლარის გადახდა;
5. ა. ბ-ს, თ. ბ-ის სასარგებლოდ, დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ ზესტაფონის რაიონულ სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1289.75 ლარის გადახდა;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ

**მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა კრედიტორების
წინაშე**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1710-2019

24 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. ე. კ-ქმ (შემდგომში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელეზე ან მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლო-ში რ. თ-ვასა და ე. რ-ძის (შემდგომში – პირველი და მეორე მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელები, აპელანტები ან კასატორები), ასევე, მესამე პირის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ან მესამე პირი) მიმართ და მოითხოვა პირველი მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დ. რ-ძის (შემდგომში – მამკვიდრებელი) სამკვიდრო პასივზე განეული ხარჯის სახით 19 824 ლარის 4/5-ის – 15 859 ლარის, ხოლო მეორე მოპასუხისათვის მამკვიდრებლის პასივზე განეული ხარჯის სახით 19 824 ლარის 1/5-ის – 3 965 ლარის დაკისრება.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

მოსარჩელის შვილი დ. რ-ძე და პირველი მოპასუხე დაქორწინდნენ 2005 წლის 16 ნოემბერს. მათი საერთო შვილი – მეორე მოპასუხე დაიბადა 2006 წლის 9 ივნისს. მამკვიდრებლის ოჯახი თავდაპირველად ცხოვრობდა მოსარჩელესთან ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ...-ში მდებარე ბინაში. მალევე, 2007 წლის ზაფხულში, ოჯახური უთანხმოების გამო, პირველი მოპასუხე ბავშვთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა დედასთან – შ. ხ-თან. მან თან წაიღო ბავშვის მოვლისათვის აუცილებელი და საკუ-

თარი ნივთები. მოსარჩელემ შვილის სახელზე 2009 წლის 8 ივნისს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადააფორმა კუთვნილი ბინის ნაწილი – 35 კვ.მ. აღნიშნულ ბინაში საცხოვრებლად პირველი მოპასუხე აღარ დაბრუნებულა. მამკვიდრებელი გარდაცვალა 2011 წლის 10 თებერვალს. მისი გარდაცვალების შემდგომ მთლიანად მოსარჩელემ გაიღო დაკრძალვის და შემდგომი ცერემონიის ხარჯები. გარდაცვალების შემდგომ მამკვიდრებელს დარჩა სამკვიდრო აქტივი – ქ. თბილისში, ... №29/20-ში მდებარე ბინის ნაწილი და სამკვიდრო პასივი – სასესხო ვალდებულებები. მოსარჩელემ, როგორც პირველი რიგის კანონისმიერმა მემკვიდრემ, მიიღო სამკვიდრო მონაწილეობა, გადაიფორმა სამკვიდრო ქონება და მთლიანად გაისტუმრა მამკვიდრებლის ვალდებულებები (სამკვიდრო პასივები), კერძოდ: ე. კ-ძემ მთლიანად შეასრულა მამკვიდრებლის ვალდებულება იპოთეკარ ნ. ე-ას მიმართ, გამომდინარე დ. რ-ძესა და ნ. ე-ას შორის 2009 წლის 6 ნოემბერს დაბადებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან და ამ უკანასკნელს მთლიანად გადაუხადა 4 000 აშშ დოლარი, რაც დღევანდელი კურსით შეადგენს 10 000 ლარს. მანვე მთლიანად შეასრულა მამკვიდრებლის ვალდებულება გამსესხებელ თ. ა-ის მიმართ, გამომდინარე დ. რ-ძესა და თ. ა-ს შორის 2010 წლის 15 ოქტომბერს დადებული სესხის ხელშეკრულებიდან და ამ უკანასკნელს მთლიანად გადაუხადა 7 750 ლარი. ამასთან, მოსარჩელემ მთლიანად უზრუნველყო დაკრძალვის ცერემონიალი და გადაიხადა შესაბამისი ხარჯი, დაახლოებით, 4 000 ლარის ოდენობით. ამრიგად, მოსარჩელემ სამკვიდრო ვალდებულებებისათვის ჯამში გადაიხადა 23 788.81 ლარი.

2014 წლის 18 დეკემბერს სასამართლოს სარჩელით მიმართეს რ. თ-ვამ და ე. რ-ძემ და მოითხოვეს დ. რ-ძის სამკვიდრო ქონების ჯერ 1/2-ზე (რ. თ-ვამ) და შემდგომ დარჩენილი ფართის 2/3-ზე მესაკუთრედ ცნობა. სასამართლოს 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი, ხოლო ე. კ-ძეს უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც იგი ითხოვდა რ. თ-ვასათვის 2011 წლის 9 თებერვალს გარდაცვლილი დ. რ-ძის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას. სასამართლოს სამკვიდრო პასივების გასტუმრებაზე განუხილავი ხარჯების განაწილებაზე არ უმსჯელია, თუმცა განსაზღვრა ე. კ-ძის სამკვიდრო წილი სამკვიდრო ქონებაში და დაადგინა 1/6-ით, რომლის პროპორციულად მოპასუხეებზე უნდა განაწილდეს ე. კ-ძის მიერ განუხილავი სამკვიდრო პასივის ხარჯები. შესაბამისად, მოსარჩელე მოპასუხეთაგან მიღებული აქტივების ფარგლებში მოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი წილების პროპორციულად 19 824 ლარს.

1.2. მოპასუხეებმა შეგებებული სარჩელით მიმართეს სასამართლოს თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ და მოითხოვეს შეგებებული სარჩელის მოპასუხისათვის რ. თ-ვას სასარგებლოდ 9 006.20 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარისა და 2017 წლის 18 მაისიდან უძრავი ქონების 4/6-ის ფაქტობრივად გადაცემამდე 133.33 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის დაკისრება, ხოლო, ე. რ-ძის სასარგებლოდ – 2 251.40 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარისა და 2017 წლის 18 მაისიდან უძრავი ქონების 1/6-ის ფაქტობრივად გადაცემამდე 33.33 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდის დაკისრება.

1.2.1. შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 იანვრის №2/22257-14 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა რ. თ-ვას და ე. რ-ძის სარჩელი და რ. თ-ვა და ე. რ-ძე ცნობილ იქნენ ე. კ-ძის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული ქ. თბილისში, ... პირველ სართულზე მდებარე 35 კვ.მ №2 ბინის (ს/კ № ...) 5/6-ის მესაკუთრეებად. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. მას შემდეგ, რაც უძრავ სადავო ქონებაზე გაუქმდა ნ. ე-ას სასარგებლოდ არსებული იპოთეკისა და ბინით სარგებლობის უფლება (2011 წლის ოქტომბრიდან) თავდაპირველი მოსარჩელე უკანონოდ ფლობს და სარგებლობს 35 კვ.მ ბინის 5/6-ით. შეგებებულ მოსარჩელებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, ისარგებლონ კუთვნილი ბინით, რომლის გაქირავების შედეგად მიიღებდნენ შემოსავალს. მოპასუხე შეგებებული მოსარჩელების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფლობით მათ ხარჯზე ზოგავს თანხებს და უსაფუძვლოდ მდიდრდება. ქ. თბილისში, ... პირველ სართულზე მდებარე 35 კვ.მ იზოლირებული ბინის ქირის საბაზრო ღირებულება 2011 წლის ოქტომბრიდან ყოველთვიურად შეადგენს 200 აშშ დოლარს, ხოლო მისი 5/6 ნაწილი – 166.67 აშშ დოლარს. შესაბამისად, შეგებებული სარჩელის აღძვრიდან, 2017 წლის 18 მაისიდან რ. თ-ვას, კუთვნილი 4/6 ნაწილის მიხედვით, უნდა მიეკუთვნოს ყოველთვიურად 133.33 აშშ დოლარი, ხოლო ე. რ-ძეს, კუთვნილი 1/6 ნაწილის შესაბამისად – 33.33 აშშ დოლარი. რაც შეეხება ერთიან თანხას, შეგებებული მოსარჩელების განმარტებით, ის წარმოადგენს სარჩელის აღძვრამდე დაგროვებულ დავალიანებას.

2. მოპასუხეების/მესამე პირის პოზიცია:

2.1. მოპასუხეებმა თავდაპირველი სარჩელი ნაწილობრივ, დაკრძალვის ხარჯის – 4 000 ლარის 2/3 ნაწილის – 2 666.7 ლარის მოთხოვნის ნაწილში ცნეს, ხოლო 17 157.3 ლარის დაკისრების ნაწილში მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს. მოპასუხეები არ

უარყოფენ, რომ ე. კ-ქმ გაიღო დ. რ-ძის დაკრძალვის ხარჯები, თუმცა მათთვის უტყნობია ე. კ-ქმ ნ.ე-ას და თ. ა-ს გადაუხადა თუ არა თანხა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა რ. თ-ვას და ე. რ-ძის სარჩელი, ე. კ-ქმს 7 750 ლარის, 2 078.81 ლარის და 4 000 აშშ დოლარის, ჯამში – 13 788.81 ლარის $1/3$ -ის გადახდა არ შეუძლია მოითხოვოს, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით 35 კვ.მ უძრავი ქონების $1/2$ -ის მესა-კუთრედ რ. თ-ვა ცნობილ იქნა იმ საფუძვლით, რომ უძრავი ქონება წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას, ხოლო ქონების დარ-ჩენილი $1/2$ გათანაბრდა თანაბარ $1/3$ - $1/3$ წილებად სამ პირველი რი-გის მემკვიდრეზე. 2011 წლის ოქტომბრიდან, მას შემდეგ, რაც სა-დავო უძრავ ქონებაზე გაუქმდა ნ. ე-ას სასარგებლოდ არსებული იპოთეკისა და ბინით სარგებლობის უფლება, ე. კ-ქმ რ. თ-ვას და დ. რ-ძის თანასაკუთრებაში არსებულ სახლს მუდმივად აქირავებდა, საიდანაც იღებდა მნიშვნელოვან შემოსავალს. გარდა ამისა, მოპა-სუხეებმა მიუთითეს თავდაპირველი სარჩელის ხანდაზმულობა-ზე;

2.2. თავდაპირველმა მოსარჩელემ შეგებებული სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მან, როგორც მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრემ, გაიღო დაკრძალვისა და შემდეგი ცერემონიის ხარ-ჯი, ასევე, მთლიანად გაისტუმრა მამკვიდრებლის ვალები და ვალ-დებულებები იპოთეკარისა და სხვა მევალეების წინაშე. გაღებულმა თანხამ საერთო ჯამში 19 824 ლარი შეადგინა. წინააღმდეგ შემ-თხვევაში, სამკვიდრო ქონება ვალებსაც ვერ დაფარავდა. სწორედ ამის გამო, 2014 წლის ბოლომდე რ. თ-ვას სამკვიდრო წილზე პრე-ტენზია არ განუცხადებია და მხოლოდ ე. კ-ძის მიერ ვალების მთლი-ანად გასტუმრების შემდეგ დაიწყო მოქმედება ისე, რომ აღარც სამკვიდრო პასივების გასტუმრებაში ფიქრობდა მონაწილეობის მიღებას. სიმართლეს არ შეეფერება რ. თ-ვას განმარტება იმის თა-ობაზე, თითქოს მათ არ ეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლონ სა-სამართლოს მიერ მიკუთვნებული ფართით. 2014 წლის დეკემბრამ-დე რ. თ-ვას ასეთი პრეტენზია არ ჰქონია ზემოთხსენებული მიზე-ზების გამო. 35 კვ.მ ფართიდან რ. თ-ვას სასამართლომ მიაკუთვნა $5/6$ ნაწილი, ხოლო $1/6$ ნაწილი არის ე. კ-ძის საკუთრებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიანი საცხოვრებელი ფართიდან, 72 კვ.მ ფართი-დან 29 კვ.მ ფართი იზოლირებული არ არის და ვერც მომავალში გახდება. ამიტომ სრული სიცრუეა რ. თ-ვასაგან იმის გაცხადება, თითქოს არ ეძლევა შესაძლებლობა მათი კუთვნილი ფართით სარ-გებლობისა. გარდა ამისა, ბინა არის გასარემონტებელი, მასში არ არის იზოლირებული და კეთილმოწყობილი სამზარეულო და საპირ-

ფარეშო, რაც შეუძლებელს ხდის ბინაში კომფორტულ ცხოვრებას. ბინის გაქირავების უპირველესი გარანტი არის მისი იზოლირებულობა და კეთილმოწყობა და ვინაიდან ყველა შემთხვევაში ბინაში, თავის 1/6 ნაწილში, სველ წერტილებზე და სხვა საერთო სარგებლობის ადგილებზე საერთო სარგებლობის უფლებით იცხოვრებს ე. კ-ძე, ბინა პრაქტიკულად ვერ გაქირავდება და თუ გაქირავდება მისი ფასი ახლოსაც ვერ იქნება შეგებებული სარჩელით მოთხოვნილ თანხის ოდენობასთან;

1.3. მესამე პირი არ დაეთანხმა თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნას (მიუხედავად მოპასუხე მხარის მიერ სარჩელის ნაწილობრივ ცნობისა) და მიუთითა, რომ არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე, ე. რ-ძეს არ უნდა დაეკისროს სამკვიდროს პასივებზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

- რ. თ-ვას ე. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა დ. რ-ძის სამკვიდრო პასივებზე გაწეული ხარჯის სახით 14 000 ლარის 2/3-ის – 9 333 ლარის ანაზღაურება;

- ე. რ-ძეს ე. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა დ. რ-ძის სამკვიდრო პასივებზე გაწეული ხარჯის სახით 14 000 ლარის 1/5-ის – 2 333 ლარის ანაზღაურება;

- რ. თ-ვას ე. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან 250 ლარის გადახდა;

- ე. კ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდა 133 ლარი.

ამავე გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელი უარყოფილ იქნა.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შეგებებულმა მოსარჩელეებმა, მოითხოვეს მისი ნაწილობრივ (1 333,33 ლარის ზემოთ თანხის დაკისრებისა და შეგებებული სარჩელის უარყოფის ნაწილში) გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელის ნაწილობრივ – 1 333,33 ლარის დაკისრების ნაწილში, ასევე, შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩი-

ვარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რ. თ-ვასათვის თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით პირველ მოპასუხეს ე. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 8 000 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრეს აპელანტებმა, მოითხოვეს სააპელაციო საჩივრის უარყოფის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის სრულად, ხოლო, თავდაპირველი სარჩელის ნაწილობრივ – 1 333,33 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების დასაბუთება:

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სამკვიდრო პასივში თითოეული მემკვიდრის ვალდებულების მოცულობის წილობრივად განსაზღვრა, ასევე, ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფლობის შედეგად კონდიქციური მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობების არსებობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა საკასაციო საჩივარში გამოთქმული შემდეგი პრეტენზიების შესაბამისად შეამოწმებს:

– ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორად გამოიყენეს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის პირველი ნაწილი, თუმცა, არასწორად გამოიყენეს ამავე კოდექსის 463-ე მუხლი და არასწორად მიიჩნიეს სოლიდარულ მოვალეობად მოპასუხეები, ასევე არასწორად გამოიყენეს სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის პირ-

ველი ნაწილი. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლით, რადგანაც ე. კ-ძეს სრული უფლება ჰქონდა ნ. ე-ასათვის მოეთხოვა ვალდებულების გარეშე გადახდილი თანხის დაბრუნება. თუკი თავდაპირველმა მოსარჩელემ 2011 წლის 26 სექტემბერს ნამდვილად გადაუხადა რაიმე ნ. ე-ას, მას აღნიშნული მომენტიდან წარმოეშვა უკუმოთხოვნის უფლება მოპასუხეების მიმართ, რაც მათ წაუყენა მხოლოდ 2017 წლის 15 მარტს. აღნიშნულ ნაწილში მოთხოვნა ხანდაზმულია თანახმად სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილისა. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ არასწორად დაადგინა ე. კ-ძის მოთხოვნის წარმოშობის მომენტი 2016 წლის 21 იანვარი, როდესაც რ. თ-ვა და ე. რ-ძე ცნო უძრავი ქონების თანამესაკუთრებად და არა 2011 წლის 26 სექტემბერი, როდესაც ე. კ-ძემ თანხა გადაუხადა ნ. ე-ას. ე. კ-ძემ დ. რ-ძის დანაშთი ქონების სანოტარო ბიუროში მიღების მომენტშივე იცოდა იმის თაობაზე, რომ არსებობდა კიდევ ორი პირველი რიგის მემკვიდრე მეუღლის და შვილის სახით, რაც რატომღაც დაუმალა ნოტარიუსს და მიიღო მთლიანი სამკვიდრო და არ მიიღო მისი მხოლოდ 1/3 ნაწილი (სკ-ის 1503-ე მუხლი);

– სასამართლო სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის შესაბამისად, განმარტავს, რომ კანონი არასრულწლოვანთან მიმართებით რაიმე გამონაკლისს ან განსაკუთრებულ დათქმას არ აკეთებს მამკვიდრებლის ვალების დაფარვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მიიჩნევს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ანალიზის შესაბამისად, მოპასუხე ე. რ-ძესაც (მის კანონიერ წარმომადგენელს) უნდა დაეკისროს სამკვიდრო პასივზე გაწეული ხარჯის ოდენობა მიღებული სამკვიდრო აქტივის ფარგლებში. სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ იპოთეკარი ნ. ე-ა, რომელსაც შეეძლო ე. რ-ძისათვის მამამისის ვალის გადახდა მოეთხოვა და ე. კ-ძე, რომელიც ითხოვს დაკრძალვის ხარჯის ანაზღაურებას არასრულწლოვანი შვილიშვილისაგან, არ არიან ერთიდაიგივე პირები. ამასთან, მოსარჩელე არასრულწლოვანი და მამით ობოლი ე. რ-ძის ბებიაა, არასრულწლოვნის დედას კი, არ გააჩნია შემოსავალი და რამდენად მორალურია მისი მხრიდან მოთხოვნის წამოყენება შვილიშვილის მიმართ, რომელსაც უპირებდა სამკვიდროს გარეშე დარჩენას სასამართლომ საერთოდ არ შეაფასა (განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1225-ე მუხლის დისპოზიცია ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავდა ე. კ-ძის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ე. რ-ძის მიმართ). აღნიშნულის საპირისპიროდ, სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ გამოიყენა სამოქალაქო

ლაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილი. მართალია, ე. რ-ძისათვის 1 333 ლარის დაკისრების ნაწილში შესაგებლეთ სარჩელი ნაწილობრივ იქნა ცნობილი, მაგრამ სასამართლოს მთავარ სხდომაზე ე. რ-ძემ სარჩელი აღარ სცნო და დაისვა საკითხი რამდენად მორალური იყო თანხის დაკისრება.

– მიუხედავად იმისა, რომ ორივე ინსტანციის სასამართლომ უდავოდ მიიჩნია ის ფაქტი, რომ რ. თ-ვას და ე. რ-ძეს დ. რ-ძის გარდაცვალების შემდეგ სადავო სახლში არ უცხოვრიათ და ბინაში მეუღლესთან და შვილებთან ერთად ცხოვრობს მოსარჩელე, დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა შეგებებული სარჩელის უარყოფის თაობაზე, ამ შემთხვევაში არასწორად იქნა განმარტებული სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლი. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თავდაპირველი მოსარჩელე აქირავებდა თუ თავად ფლობდა მოპასუხეთა საკუთრებაში არსებულ ქონებას, საკმარისია მხოლოდ ის, რომ კასატორების ნების საწინააღმდეგოდ, მათ საკუთრებაში არსებული ქონების ხარჯზე ე. კ-ძე 2011 წლის სექტემბრის ბოლოდან ზოგავდა და დღესაც ზოგავს ფულად სახსრებს. სადავო უძრავი ქონების უკანონო მფლობელობის ფაქტს მოწინააღმდეგე მხარე თავდაცვით არ უარყოფს, ამასთანავე, ამ ფაქტს ადასტურებს მონ-მე მ. ხ-იც;

– არასწორია სასამართლოს დასკვნა, თითქოს ორივე მხარე ადასტურებს, რომ სადავო ბინაში საცხოვრებელი პირობები არ არის დამაკმაყოფილებელი და რ. თ-ვამ დ. რ-ძის სიცოცხლეშივე დატოვა საცხოვრებელი არასათანადო პირობების გამო. შეგებებულ მოსარჩელეს არასოდეს დაუდასტურებია ხსენებული ფაქტი, რ. თ-ვა დედის საცხოვრებელ მისამართზე ბავშვთან ერთად გადავიდა 2009 წლის ბოლოს, როდესაც ნ. ე-ა ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა სადავო ფართში და მრავალსულიანი ე. კ-ძის და დ. რ-ძის ოჯახები ველარ ეტეოდნენ დარჩენილ 37.53 კვ.მ ფართში. გარდა ამისა, არასწორია სასამართლოს დასკვნა, თითქოს რ. თ-ვას მცდელობაც არ ჰქონდა, ესარგებლა სადავო ბინით და მოპასუხე ე. კ-ძის მხრიდან ადგილი არ ჰქონოდა ხელშეშლას. ე. კ-ძემ მიისაკუთრა როგორც რ. თ-ვას თანასაკუთრება, ისე – დ. რ-ძის დანაშთი ქონებიდან რ. თ-ვასა და ე. რ-ძის წილი, რითაც იმთავითვე გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება რძლისა და შვილიშვილის მიერ მემკვიდრეობის მიღებისა და დანაშთი უძრავი ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებით;

– არასწორია მითითება ე. ყ-თან ქირავნობის ხელშეკრულები-სა და მის მიერ ქირის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოუდგენლობასთან დაკავშირებით. არ არის სავალდებულო ქირავნობის ხელშეკრულება დაიდოს წერილობით და მონმე

მ. ხ-ი №2/22257-14 სამართალწარმოების დროს ადასტურებდა, რომ ე. კ-ძეს სადავო საცხოვრებელი ფართი გაქირავებული ჰქონდა ე. ყ-ზე, რაც რატომღაც №2/7219-17 სამართალწარმოების პროცესში აღარ დაადასტურა, თუმცა მონმე ხ-მა პირველ ინსტანციაში მეორედ დაკითხვის დროს №2/7219-17 სამართალწარმოებისას დაადასტურა, რომ ე. ყ-ს აღნიშნულ ბინაში ენყო მოძრავი ნივთებიო. ხსენებული ფაქტები საკითხის გადაწყვეტისათვის არ არის სავალდებულო, რადგანაც კონდიქციური მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის თავდაპირველი მოსარჩელის მიერ სადავო ფართის ფლობის ფაქტიც საკმარისია.

1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, დასაბუთებულ შედავებად განიხილება მხარის პრეტენზია, რომელიც შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. ამდენად, საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1.2.1. დ. რ-ძე გარდაიცვალა 2011 წლის 9 თებერვალს. მას დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე: დედა – ე. კ-ძე, მეუღლე – რ. თ-ვა და შვილი – ე. რ-ძე;

1.2.2. 2011 წლის 26 აგვისტოს ე. კ-ძის სახელზე გაიცა კანონის-მიერი სამკვიდრო მონმობა, რომლითაც ე. კ-ძემ, როგორც მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრემ (დედამ), მიიღო დ. რ-ძის სამკვიდრო – ქ. თბილისში, №29/20-ში მდებარე 63.00 კვ.მ ფართიდან დ. რ-ძის კუთვნილი 35.00 კვ.მ (ს/კ №...);

1.2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით რ. თ-ვასა და ე. რ-ძის სარჩელი ე. კ-ძის მიმართ, მესაკუთრედ აღიარების შესახებ, დაკმაყოფილდა. რ. თ-ვა ცნობილ იქნა მოპასუხე ე. კ-ძის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული ქ. თბილისში, ... პირველ სართულზე მდებარე 35 კვ.მ №2 ბინის 1/2-ის

მესაკუთრედ. რ. თ-ვა ცნობილ იქნა ე. კ-ძის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული ამავე ფართის 1/6-ის მესაკუთრედ. ე. რ-ძე ასევე ცნობილ იქნა მოპასუხე ე. კ-ძის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული სამკვიდრო უძრავი ქონების 1/6 ნაწილის მესაკუთრედ. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული 35 კვ.მ ფართი წარმოადგენდა რ. თ-ვასა და დ. რ-ძის ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას. შესაბამისად, დ. რ-ძის დანაშთ სამკვიდრო მასას შეადგენდა ამ ფართის 1/2 ნაწილი. ამდენად, რ. თ-ვას, როგორც ან გარდაცვლილი დ. რ-ძის პირველი რიგის ერთ-ერთ მემკვიდრეს, მისი სამკვიდრო ქონებიდან მემკვიდრეობის სახით მიღებული აქვს ქონების 1/6 ნაწილი;

1.2.4. 2017 წლის 16 ივნისს მომზადებული ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, №... უძრავი ქონება თანასაკუთრების უფლებით აღირცხულია ე. კ-ძის, რ. თ-ვას (35 კვ.მ ფართიდან 8/12 ნაწილი) და ე. რ-ძის (35 კვ.მ ფართიდან 2/12 ნაწილი) სახელზე;

1.2.5. მამკვიდრებლის დაკრძალვისა და მასთან დაკავშირებული ცერემონიალის ხარჯები – 4 000 ლარი მთლიანად გაიღო თავდაპირველმა მოსარჩელემ;

1.2.6. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ შეგებულ მოსარჩეულებს სადავო ბინაში არ უცხოვრიათ. ამჟამად სადავო ბინაში მეუღლესთან და შვილებთან ერთად ცხოვრობს თავდაპირველი მოსარჩელე;

1.2.7. 2009 წლის 6 ნოემბერს მამკვიდრებელსა და ნ. ე-ას შორის დაიდო სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, 2009 წლის 6 ნოემბერს ნ. ე-ამ დ. რ-ძეს ბინაში ცხოვრების უფლებით იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე, სესხის სახით გადასცა 4 000 აშშ დოლარი. ნ. ე-ა, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ოჯახთან ერთად ცხოვრობდა იპოთეკით დატვირთულ სამკვიდრო ბინაში და სარგებლობდა აღნიშნულ ბინაში არსებული სველი წერტილებით;

1.2.8. 2011 წლის 26 სექტემბერს ნ. ე-ამ თავდაპირველი მოსარჩელისგან მიიღო სესხის თანხა – 4 000 აშშ დოლარი, რის შემდეგაც გაათავისუფლა საცხოვრებელი ბინა და ოჯახთან ერთად სხვა მისამართზე გადავიდა საცხოვრებლად.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

მხარეთა პრეტენზიების, დადგენილი ფაქტებისა და საკასაციო შედავებათა გათვალისწინებით, წინამდებარე გადაწყვეტილების ფარგლებში შეფასების საგანს წარმოადგენს სარჩელის ცნობისა და შემდგომში მისი უარყოფის პროცესუალური შესაძლებლობა; ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ სამკვიდრო პასივის გასტუმრების

შემთხვევაში სხვა თანამემკვიდრეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობების არსებობა, მისი შემაფერხებელი (ხანდაზმულობა) და გამომრიცხველი (ვალდებულების დაკისრების მორალური წინაპირობები) შედავებების არსებობა, ასევე, კონდიქციური მოთხოვნის წინაპირობები. საკასაციო პალატა დასმულ საკითხებს შეაფასებს თანმიმდევრობით:

1.3.1. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო შეჩერდება სარჩელის ცნობის საკითხზე: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 83-ე მუხლებით რეგლამენტირებულია მხარეთა უმნიშვნელოვანესი საპროცესო უფლებები. ხსენებული მუხლები განმტკიცებს იმ საპროცესო მოქმედებათა ჩამონათვალს, რომლებშიც ვლინდება მხარის ნება, საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი საპროცესო უფლებები, იგი ნების ავტონომიის საპროცესო გამოხატულებაა და წარმოადგენს მხარის საპროცესო უფლებათა იმგვარი რეალიზაციის საშუალებას, როდესაც საქმეზე მისაღები გადაწყვეტილება უმთავრესად მხარის ნებაზეა ორიენტირებული. ნორმა იძლევა უფლებათა შემდეგ კლასიფიკაციას: პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ დაირღვა მისი უფლება, თავად წვევს ამ უფლების სასამართლო წესით დაცვას საპროცესო კანონმდებლობით შემოთავაზებული წესების მიხედვით; თავად განსაზღვრავს დავის საგანს და იმას, თუ რა ფაქტებსა და გარემოებებზე დაამყაროს მოთხოვნა; მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე. ჩამოთვლილთაგან უმეტესი ნაწილი მიმართულია მოსარჩელის უფლებებისაკენ, თუმცა პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ანალოგიურ პირობებს უქმნის მოპასუხეს და ადგენს მის უფლებას, შეთანხმების შემთხვევაში, დავა დაასრულოს მორიგებით, მას ასევე შეუძლია ცნოს სარჩელი. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთიანობაში, სარჩელის ცნობა შეუქცევადია და მას გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვება შედეგად იმდენად, რამდენადაც სარჩელის ცნობას საფუძვლად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს ამ მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას (იხ. სუსგ №ას-64-58-2015, 8 აპრილი, 2015 წელი). მოცემულ შემთხვევაში. უდავოა, რომ საქმის მომზადების ეტაპზე მოპასუხეებმა თავდაპირველი სარჩელი ნაწილობრივ, დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების ნაწილში ცნეს, შესაბამისად, ამ მოქმედებას მხარე უკან ვეღარ წაიღებს – შემდგომში უარს ვერ განაცხადებს მის სამართლებრივ შედეგებზე. თავის მხრივ, სარჩელის ცნობის შემთხვევაში,

საპროცესო თვალსაზრისით ფაქტობრივი გარემოებების კვლევა დამატერიალური სამართლის ნორმასთან მათი სუბსუმირების ვალდებულება აღარ არსებობს, რამდენადაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე ცნობს სარჩელს, მოსამართლე გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორთა აპელირება იმაზე, რომ მეორე მოპასუხემ შემდგომში აღარ დაუჭირა მხარი სარჩელის ცნობას, რის გამოც არ არსებობდა დაკრძალვასა და შემდგომ ცერემონიაზე განეული ხარჯების ანაზღაურების დაკისრების საფუძველი ვერ იქნება გაზიარებული სასამართლოს მხრიდან.

1.3.2. საკასაციო სასამართლო ასევე უარყოფს კასატორთა შედავებას არასრულწლოვანი შვილიშვილისათვის ხარჯების დაკისრების მოთხოვნის უსაფუძვლობაზე მორალური თვალსაზრისით. ამ მხრივ, გარდა იმისა, რომ სააპელაციო პალატამ ხსენებული პრეტენზია, როგორც დაგვიანებით წარდგენილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201.4 და 219.1 მუხლების შესაბამისად უარყო (ხსენებული შედავება საქმის არსებითად განსახილველად მომზადების დასრულებამდე არ იყო წარდგენილი), რაც გასაზიარებელია, პალატა დამატებით ყურადღებას გაამახვილებს თავად შედავებასა და მოთხოვნის საფუძვლებზე: კასატორი საკუთარ მოსაზრებას ამყარებს სამოქალაქო კოდექსის 1225-ე მუხლსა და კასატორთა ქონებრივ მდგომარეობაზე. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ნორმა ადგენს ბებიისა და პაპის საალიმენტო მოვალეობას შვილიშვილის სასარგებლოდ, რომელიც დახმარებას საჭიროებს. იგი საოჯახო სამართლის სპეციალური დანაწესია და სამემკვიდრეო ურთიერთობაში, მით უფრო სამკვიდრო პასივის ფარგლებში მემკვიდრეთა პასუხისმგებლობის მიმართ მისი ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია. რაც შეეხება სამკვიდრო პასივის გასტუმრების საკითხს, სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. ხსენებული ნორმით დადგენილია ორმხრივი სამართლებრივი ბალანსი: კანონმდებელი იცავს კრედიტორის ინტერესებს, მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი უფლებამონაცვლისაგან მიიღოს შესრულება; უფლებამონაცვლე პასუხს აგებს მამკვიდრებლის ვალდებულებისათვის, ოღონდ მიღებული სამკვიდროსა და მისი წილის გათვალისწინებით, რაც გამორიცხავს მემკვიდრის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებას, ასევე, ვალდებულების სრულად შეუსრულებლობას. ხსენებულიდან გამომ-

დინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი მემკვიდრის არასრულწლოვანება, ასევე, მეორე მემკვიდრის ქონებრივი მდგომარეობა, მათი მხრიდან სამკვიდროს მიღების ფაქტის გათვალისწინებით კანონით განსაზღვრული მამკვიდრებლის ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძვლად ვერ გამოდგება.

1.3.3. საკასაციო სასამართლო მიუბრუნდება ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ვალდებულების გასტუმრების გამო სხვა თანამემკვიდრეთაგან რეგრესული ანაზღაურების საკითხს და ყურადღებას გაამახვილებს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე: სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის პირველი ნაწილით, როგორც უკვე ითქვა, განისაზღვრება მემკვიდრის/მემკვიდრეების ვალდებულება, მათი წილისა და მიღებული სამკვიდრო აქტივის ფარგლებში აგონ მამკვიდრებლის ვალდებულებაზე პასუხი. ხსენებული კანონისმიერი მოთხოვნაა და ამ ვალდებულების წარმოშობა დამოკიდებულია მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტზე, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. ამასთანავე, სამემკვიდრეო სამართლის ნორმათა სისტემური ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამკვიდროს გახსნის მომენტიდან პირი, რომელიც კანონით დადგენილი ფორმით გამოხატავს სამკვიდროს მიღების ნებას, პირის გარდაცვალების მომენტიდან ითვლება სამკვიდროს მესაკუთრედ, რაც, როგორც ითქვა, მამკვიდრებლის ჩანაცვლებას ნიშნავს ვალდებულებებში (იხ. სკ-ის 1319-ე-1322-ე; 1421-ე; 1433-ე მუხლები). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დ. რ-ძეს გარდაცვალების დროისათვის ჰყავდა სამი პირველი რიგის მემკვიდრე და სამივე მათგანმა მიიღო სამკვიდრო, მიიჩნევა, რომ გარდაცვალების მომენტიდან თითოეულმა მათგანმა ჩანაცვლა მამკვიდრებელი ვალდებულებებში, შესაბამისად, არა მხოლოდ თავდაპირველ მოსარჩელეს, არამედ – მოპასუხეებსაც თანაბარწილად წარმოეშვათ ქონებრივ უფლებებთან ერთად ვალდებულებები სამოქალაქო კოდექსის 1494-ე მუხლის თანახმად. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ იპოთეკარის მიმართ ვალდებულება სრულად შეასრულა ერთ-ერთმა თანამემკვიდრემ – კასატორების მოწინააღმდეგე მხარემ და აანაზღაურა მამკვიდრებლის მიერ ნასესხები 4 000 აშშ დოლარი (რომელიც მხარეთა შორის დავას არ იწვევს, რომ ეროვნულ ვალუტაში 10 000 ლარს შეადგენს), შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხ-

ლის შინაარსიდან გამომდინარე, სხვა თანამოვალეთა ვალდებულება იპოთეკარის მიმართ შეწყდა შესრულებით, თუმცა, სახეზეა ე.წ კრედიტორის ჩანაცვლება. ამგვარად კი გვევლინება ის პირი, რომელმაც ვალდებულება შეასრულა. სამოქალაქო კოდექსის 986-ე მუხლის თანახმად, მოვალეს, რომელმაც შეცდომით ან შეგნებულად შეასრულა სხვა თანამემკვიდრეთა ვალდებულება, აქვს ამ მემკვიდრეთაგან უკუმოთხოვნის უფლება სამკვიდროში მათი წილის პროპორციულად.

1.3.4. განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნა წარმატებულია, თუმცა, ამ შემთხვევაში, მხედველობაშია მისაღები მოთხოვნის მოცულობა. როგორც სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის დისპოზიციით, ისე – სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მხარეები მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეები არიან და მათ თანაბარნილად – $1/3$ - $1/3$ ნაწილში მიიღეს სამკვიდრო, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1484.1 მუხლის ძალით, თითოეულის პასუხისმგებლობა სამკვიდრო პასივის $1/3$ -ით უნდა განისაზღვროს.

1.3.5. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ე. რ-ძის პასუხისმგებლობა, ნაცვლად $1/3$ -ისა, განისაზღვრა $1/5$ -ით, თუმცა, თავდაპირველ მოსარჩელეს ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის პრინციპიდან გამომდინარე, პალატა ამ ნაწილში გადაწყვეტილებას ვერ შეცვლის, რაც შეეხება რ. თ-ვას, სააპელაციო პალატამ მისი პასუხისმგებლობა 8 000 ლარით განსაზღვრა, რასაც საკასაციო პალატა არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არასაკმარისადაა დასაბუთებული.

1.3.6. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორთა შედაგებას მოთხოვნის ხამდაზმულობის თაობაზე. კასატორები მიიჩნევენ, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი და მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა არა მათ მიერ სამკვიდროს მიღებიდან, არამედ 2011 წლის 26 სექტემბრიდან უნდა აითვალოს, როდესაც ე. კ-ძემ იპოთეკარს გაუსტუმრა ვალი. კასატორები ასევე აპელირებენ ე. კ-ძის მიერ სამკვიდრო მონუმბის მიღებაზე. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ხსენებულ პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ მოთხოვნის წარმოშობის მომენტი სასამართლომ სწორად დაუკავშირა შეგებებული მოსარჩელებისათვის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე სამკვიდრო აქტივის მიკუთვნების ფაქტს, რამდენადაც სწორედ გა-

დანყვეტილებით დადასტურდა მათი პასუხისმგებლობა და ის ფაქტი, რომ რ. თ-ვა და ე. კ-ძე ასევე ვალდებული იყვნენ პასუხი ეგოთ მამკვიდრებლის ვალებზე. სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის ხანდაზმულობა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ 3-წლიან ვადაში შეამოწმა, რასაც საკასაციო პალატა არ ეთანხმება. ხსენებული ნორმა 3-წლიან ვადას უკავშირებს სახელმეკრულებო მოთხოვნას, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ გვაქვს, ამასთანავე, ვინაიდან სამკვიდროს მომწესრიგებელი ნორმები თანამემკვიდრეებისათვის უკუ-მოთხოვნის სპეციალურ ვადას არ ადგენენ (სკ-ის 129.3 მუხლი), ხოლო, ვალდებულება კანონისმიერია (სკ-ის 986.1 მუხლი), მოცემულ მოთხოვნაზე სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადა ვრცელდება. მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სასამართლოს ნორმის არასწორი გამოყენებისა, ვინაიდან ამ მხრივ არასწორი გადანყვეტილების მიღების ფაქტი არ დგინდება ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით, არ არსებობს გასაჩივრებული გადანყვეტილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლით დადგენილ ვადაზე კასატორთა შედავებას, სააპელაციო სასამართლომ, დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით იგი (საპრეტენზიო ვადა) სწორად გამოიყენა ხანდაზმულობის ინსტიტუტისაგან, თუმცა, ვინაიდან საპრეტენზიო ვადასთან დაკავშირებით მხარემ მხოლოდ საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე განაცხადა, სამოქალაქო კოდექსის 201.4 და 219.1 მუხლების საფუძველზე, საკასაციო პალატა ამ პრეტენზიის საფუძვლიანობას არ შეამოწმებს (პრაქტიკის თვალსაზრისით იხ. სუსგ [დიდი პალატა] №ას-664-635-2016).

1.3.7. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორთა კონდიქციურ მოთხოვნას და უპირველესად აღნიშნავს, რომ შეგებებულ სარჩელში გადმოცემული ფაქტებიდან გამომდინარე, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის პირველი ნაწილია, რომლის თანახმადაც, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი. მოცემული ნორმა ხელყოფის კონდიქციის სპეციალურ სახეს წარმოადგენს და შეიცავს მისი გამოყენების წინაპირობების ჩამონათვალს: მოვალემ, კრედიტორის თანხმობის გარეშე, სამართლებრივი საფუძლის გარეშე უნდა ხელყოს სხვისი სიკეთე. ჩამოთვლილთაგან რომელიმე ელემენტის არარსებობა

მოთხოვნის უარყოფის საფუძველია. შეგებებული მოსარჩელები მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველად მიუთითებდნენ ორ წინაპირობას: სამკვიდრო ქონების შეგებებული მოპასუხის მიერ ფლობაზე; მის მიერ ქონების გაქირავებით სარგებლის მიღებაზე და მიიჩნევენ, რომ ერთ შემთხვევაში, მოვალემ დაზოგა ხარჯები, ხოლო, მეორე შემთხვევაში – მიიღო შემოსავალი. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს დასკვნას, რომ თავდაპირველი მოსარჩელის მიერ ქონების გაქირავების ფაქტი საქმის მასალებით არ დასტურდება. ამგვარად ვერ იქნება მიჩნეული კასატორის მტკიცება, თითქოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით საპიროსპირო ფაქტი დგინდებოდეს, ხოლო ამჟამად მოწმეებმა შეცვალეს ჩვენება. პალატა განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეეხება რ. თ-ვას და ე. რ-ძის მიერ სამკვიდროს მიღებას, შესაბამისად, ამ საქმეზე დადგენილ იმ გარემოებებს გააჩნიათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი პრეიუდიციული ძალა, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს, რაც შეეხება სხვა ფაქტებს, რომელთა თაობაზეც საუბარია გადაწყვეტილებაში თუ იკვეთება საქმის წარმოებისას, ისინი პრეიუდიციულად ვერ მიიჩნევა და სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას ამ ფაქტების უპირობოდ გაზიარება ვერ მოხდება, თუკი ისინი შედაგებული იქნება მონინალმდევე მხარის მიერ. ამ მხრივ საკასაციო საჩივარი არ არის დასაბუთებული. რაც შეეხება უშუალოდ იმ ფაქტს, რომ ე. კ-ძე ფლობს ქონებას, მართალია იგი დადგენილია წინამდებარე დავის ფარგლებშიც, თუმცა, მხოლოდ ეს გარემოება კონდიქციური მოთხოვნის წარმატებულობისათვის საკმარისი არ არის. საკასაციო პალატა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამემკვიდრეო სამართლიდან გამომდინარე, მოდავე მხარეთა შორის წარმოშობილია კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა – მათ დავის საგანზე საზიარო უფლება გააჩნიათ იდეალურ წილებში (ქონების 2/3 ეკუთვნის რ. თ-ვას, ხოლო დარჩენილი 1/2-ის 1/3-1/3 ნაწილი, ანუ ქონების 1/6-1/6 ე. კ-ძესა და ე. რ-ძეს. იხ ასევე სკ-ის 173.1 მუხლი), შესაბამისად, ე. კ-ძეს, როგორც თანამესაკუთრეს, სამოქალაქო კოდექსის 955.2 მუხლიდან გამომდინარე, ჰქონდა ნივთით სარგებლობის უფლება კასატორთა უფლების დაურღვეველად. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მხარეთა შორის კონფლიქტური ურთიერთობაა, არ შეიძლება უფლების დარღვევად იქნეს განხილული, რადგანაც კასატორებს, როგორც თანამესაკუთრეებს, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე, სრული უფლება გააჩნდათ, დაეცვათ საკუთარი სანივთო უფლებები. ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება კი, საქმეში არ არის წარმოდგენილი.

1.4. ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რ. თ-ვას პასუხისმგებლობის განსაზღვრის ნაწილში აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ვინაიდან არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, თავად იღებს გადაწყვეტილებას: თანამემკვიდრეთა თანაბარ წილში პასუხისმგებლობის ფარგლების გათვალისწინებით, რ. თ-ვას ე. კ-ძის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 14 000 ლარის 1/3-ის – 4 666,7 ლარის გადახდა. დანარჩენი მოთხოვნების ნაწილში, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, უცვლელად ტოვებს მას.

2. პროცესის ხარჯები:

რაც შეეხება პროცესის ხარჯების საკითხს, პალატა ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 53-ე და 55-ე მუხლებით და ვინაიდან მთავარ სხდომამდე მოპასუხეებმა სარჩელი წაწილდნენ ცნეს, მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს 79,9 ლარი. რაც შეეხება მხარეთა და ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებას, საკასაციო სამართლის წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული მართლწესრიგის გათვალისწინებით, თავდაპირველი სარჩელი პირველი მოპასუხის მიმართ 29,4%-ით, ხოლო, მეორე მოპასუხის მიმართ – 58,83%-ით დაკმაყოფილდა, ხოლო, შეგებებული სარჩელი სრულად იქნა უარყოფილი. ამდენად, რ. თ-ვას ე. კ-ძის სასარგებლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი, სახელმწიფო ბიუჯეტში დარჩენილი ბაჟის ოდენობის გათვალისწინებით უნდა დაეკისროს 151,4 ლარის, ხოლო ე. რ-ძეს – 303 ლარი ანაზღაურება. სააპელაციო სამართალწარმოებისას აპელანტებს გადაუვადდათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა. სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულებისა და მოთხოვნის წაგებული წაწილის პროპორციულად, ე. რ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს გადავადებული ბაჟიდან 478,2 ლარის, რ. თ-ვას – 1 624,2 ლარის, ხოლო ე. კ-ძეს – 191,1 ლარის გადახდა, რომლის ბიუჯეტიდან დასაბრუნებელ 79,9 ლართან გაქვითვის შემთხვევაში, მისი ვალდებულება ბიუჯეტის მიმართ უნდა განისაზღვროს 111,2 ლარით. რაც შეეხება საკასაციო სამართალწარმოებას, ამ ინსტანციის სასამართლოში გადახდილი ბაჟებიდან ე. კ-ძეს რ. თ-ვას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 15 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე, 53-ე, 55-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. რ. თ-ვას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. ე. რ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. რ. თ-ვასათვის თანხის დაკისრებისა და პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:
 - 3.1. ე. კ-ძის სარჩელი რ. თ-ვას მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
 - 3.2. რ. თ-ვას (პ/№...) ე. კ-ძის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს 14 000 ლარის 1/3-ის – 4 666,7 ლარის გადახდა.
 - 3.3. ე. კ-ძეს (პ/№...) რ. თ-ვას (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს 15 ლარის გადახდა.
 - 3.4. ე. რ-ძეს (პ/№..., კანონიერი წარმომადგენელი რ. თ-ვა) ე. კ-ძის (პ/№ ...) სასარგებლოდ დაეკისროს 303 ლარის გადახდა.
 - 3.5. ე. კ-ძეს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ აპელანტებისათვის გადავადებული სახელმწიფო ბაჟიდან 111,2 ლარის გადახდა.
 - 3.6. რ. თ-ვას (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ აპელანტებისათვის გადავადებული სახელმწიფო ბაჟიდან 1 624,2 ლარის გადახდა.
 - 3.7. ე. რ-ძეს (პ/№..., კანონიერი წარმომადგენელი რ. თ-ვა) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ აპელანტებისათვის გადავადებული სახელმწიფო ბაჟიდან 478,2 ლარის გადახდა.
4. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კრედიტორების მოთხოვნის წარდგენის ვადა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-170-159-2017

15 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. ჩ-სა (შემდეგში: გამსესხებელი, კრედიტორი, მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) და ჯ. შ-ეს (შემდეგში: მოვალე, მსესხებელი ან მამკვიდრებელი) შორის 2011 წლის 3 ოქტომბერს დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება №AACR/33, (შემდეგში: ხელშეკრულება), სესხის ოდენობა 9 000 აშშ დოლარით განისაზღვრა, ვადა – 6 თვით, სარგებელი – 4%-ით, პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის დავალიანების თანხის 0.3 %-ით. ვალდებულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვრიტა მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე ქ. ბათუმში, ფის ქ. №2, ბინა №3, ს/კ ... (შემდეგში: უძრავი ქონება ან იპოთეკის საგანი; იხ. ს/ფ 16-22).

2. მსესხებელმა 6 თვის საპროცენტო სარგებელი გადაიხადა. 2012 წლის 10 აპრილის №AACR/33-1 შეთანხმებით ხელშეკრულების ვადა 12 თვით – 2013 წლის 10 მაისამდე – გაგრძელდა.

3. მსესხებელი 2012 წლის 22 სექტემბერს გარდაიცვალა.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით იპოთეკის საგნის მესაკუთრეები გახდნენ მსესხებლის მემკვიდრეები: ნ. შ-ე (შემდეგში: პირველი მოპასუხე ან პირველი მემკვიდრე), მ. შ-ე (შემდეგში: მეორე მოპასუხე ან მეორე მემკვიდრე) და ხ. ჯ-ი (შემდეგში: მესამე მოპასუხე ან მესამე მემკვიდრე).

5. უძრავი ქონება 2015 წლის 25 ივნისს გასხვისდა ა. ფ-ეზე (შემდეგში: მეოთხე მოპასუხე ან მესაკუთრე).

6. მოპასუხეებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე 21 191 აშშ დოლარის (ძირითადი თანხა 9 000 აშშ დოლარი, სარგებელი 9 720 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო 2 376 აშშ დოლარი) დავალიანება არ დაუფარავთ, მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა 16 000 აშშ დო-

ლარამდე შეამცირა.

7. საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის მოსამზადებელ სხდომაზე პირველმა, მეორე და მესამე მოპასუხეებმა სარჩელი ძირითადი თანხის – 9 000 აშშ დოლარის ნაწილში ცნეს.

8. სარჩელის საფუძვლები

8.1. მოსარჩელემ 2015 წლის 2 ოქტომბერს სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ და მათთვის 16 000 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

8.2. მოსარჩელემ ამ გადაწყვეტილების 1-6 პუნქტებში ასახულ გარემოებებზე მიუთითა და დამატებით აღნიშნა, რომ მეოთხე მოპასუხეს, 2015 წლის 29 ივლისს, გაეგზავნა გაფრთხილება დავალიანების არსებობის შესახებ და გადახდის ვადად განესაზღვრა 5 დღე.

8.3. მოსარჩელემ 2015 წლის 12 აგვისტოს საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შპს „დ-ს“, თუმცა, 2015 წლის 10 სექტემბრის დადგენილებით, არბიტრაჟის კომპეტენციის არ არსებობის გამო, საქმის წარმოება შეწყდა.

9. მოპასუხეთა შესაგებელი

9.1. მოპასუხეებმა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს, მეოთხე მოპასუხემ აღნიშნა, რომ ის არ არის ხელშეკრულების მხარე და არასათანადო მოპასუხეა.

9.2. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 პუნქტში დასახელებულმა მემკვიდრეებმა განმარტეს, რომ მათთვის ცნობილი იყო, რომ მამკვიდრებელმა დაფარა დავალიანება და თუ რაიმე ჰქონდა დარჩენილი, გაუგებარი იყო, რატომ არ მოითხოვა მოსარჩელემ დავალიანების, თავის დროზე დაფარვა; რატომ ელოდებოდა გამსესხებელი საპროცენტო სარგებლის გაზრდას.

10. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

10.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით გამსესხებლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10.2. სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის მსესხებლის გარდაცვალების შესახებ ცნობილი იყო 2013 წლის 1 ოქტომბრიდან, სასამართლო დაეყრდნო მოსარჩელის მიერ წარდგენილ გარდაცვალების მოწმობას, რომელიც დადასტურებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს ხელმძღვანელი პირის მიერ გაცემული აქტის ჩანაწერით; დადგენილია, რომ 6 თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც კრედიტორისათვის ცნობილი გახდა მოვალის (მამკვიდრებლის) სამკვიდროს გახნის შესახებ, გამსესხებელს მემკვიდრეებისათვის მოთხოვნა არ წარუდგენია, აღნიშნული მას არც ერთი წლის განმავლო-

ბაში განუხორციელებია. გამსესხებელმა საარბიტრაჟო სარჩელი 2015 წლის აგვისტოში წარადგინა, ხოლო სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბერს მიმართა.

10.3. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 316-ე, 317-ე, 1488-ე [კრედიტორების მოთხოვნათა წარდგენის ვადა – 1. მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად. 2. თუ მემკვიდრეების კრედიტორებმა არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ, მაშინ მათ უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს ერთი წლის განმავლობაში მოთხოვნის ვადის დადგომიდან. 3. ამ წესების დაუცველობა გამოიწვევს კრედიტორების მიერ მოთხოვნის უფლების დაკარგვას.] მუხლებით და აღნიშნა, რომ კრედიტორის მიერ გარდაცვლილი მოვალის მემკვიდრეების მიმართ პრეტენზიის – მოთხოვნის წარდგენის ვადა დარღვეული იყო, კანონით განსაზღვრულ ვადაში მოთხოვნის წარუდგენლობა კი სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

11. სააპელაციო საჩივრის საფუძველები

11.1. მოსარჩელემ (კრედიტორმა) სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ არგუმენტებზე მითითებით:

11.2. სასამართლომ არასწორად დაადგინა ის თარიღი, საიდანაც მოხდა ხანდაზმულობის 6-თვიანი ვადის ათვლა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით მტკიცდება, თუ როდის გახდა გამსესხებლისათვის ცნობილი სამკვიდროს გახსნის დრო და განისაზღვრა მემკვიდრეთა წრე, შესაბამისად 6-თვიანი ვადის ათვლა სწორედ ამ თარიღიდან უნდა მომხდარიყო;

11.3. სასამართლო არასწორად დაეყრდნო საქმეში წარდგენილ 2013 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებულ მტკიცებულებას (იხ. 10.2 ქვეპუნქტი), რადგან აღნიშნული აქტი წარდგენილი იყო იმის დასადასტურებლად, რომ მსესხებელი გარდაიცვალა, ხოლო მოსარჩელისათვის ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესის დროს გახდა აქტი ხელმისაწვდომი და ეს მტკიცებულება კრედიტორს არ გამოუთხოვია, რადგან იმ დროს არ იცოდა მსესხებლის გარდაცვალების შესახებ;

11.4. სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა ხანდაზ-

მულობასა და მასთან დაკავშირებულ საფუძვლებზე, თანაც იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე არც უარყოფდა სესხის არსებობას, მან აღიარა სარჩელი ძირითად ნაწილში და შედაგება ეხებოდა მხოლოდ პროცენტსა და პირგასამტეხლოს, ხოლო სსკ-ის 1488-ე მუხლზე მითითება მხოლოდ სასამართლოს ინიციატივით მოხდა.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

12.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინებით კრედიტორის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12.2. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 623-ე, 625-ე, 417-ე, 419-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის 2011 წლის 3 ოქტომბრიდან სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობდა. სასამართლოს განმარტებით სსკ-ის 1488-ე მუხლის (ნორმის დეფინიცია იხ. 10.3 ქვეპუნქტში) მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად იმავე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით დადგენილი წესების დაუცველობა გამოიწვევს კრედიტორების მიერ მოთხოვნის უფლების დაკარგვას, შემდეგ წესებს ადგენს: მამკვიდრებლის კრედიტორებმა 6 თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად; ამავე ნორმის მეორე ნაწილის მიხედვით კი, თუ კრედიტორებმა არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ, მაშინ მათ უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს ერთი წლის განმავლობაში მოთხოვნის ვადის დადგომიდან, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხეებმა, რომლებიც მოვალის მემკვიდრეები არიან, წარადგინეს მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი სიტყვებით: „... რატომ არ იქნა მოსარჩელის მხრიდან თავის დროზე მოთხოვნილი დავალიანების დაფარვა ...“, რაც სსკ-ის 1488-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადებზე მითითებას გულისხმობს.

12.3. სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვადები არ წარმოადგენს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებს, რომელთა დაცვის საკითხს სასამართლო მხოლოდ მოპასუხის მითითების საფუძველზე ამოწმებს. ეს არის ვადები, რომელიც მოთხოვნის არსებობის საკითხს შეეხება და სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს. განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2013 წლის 10 მაისს ამოიწურა, შესაბამისად, აპელანტის (კრედიტორის) მოთხოვნის ვადა სწორედ ამ მომენტში დადგა, რა დროსაც მსეს-

ხებელი უკვე გარდაცვლილი იყო. აღნიშნულის შესახებ მემკვიდრეებმა არ შეატყობინეს კრედიტორს, შესაბამისად, ამ უკანასკნელის მიმართ ამოქმედდა სსკ-ის 1488-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული (იხ. 10.2 ქვეპუნქტი) ვადა და იგი ვალდებული იყო, 2013 წლის 10 მაისიდან ერთი წლის განმავლობაში მოთხოვნა წარედგინა მამკვიდრებლის მემკვიდრეებისათვის, ხოლო სსკ-ის 123-ე მუხლის [ვადის დამთავრება – 1. დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. 2. ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, – მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს. 3. თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.] მიხედვით მოთხოვნის წარდგენის ვადა 2014 წლის 10 მაისს ამოიწურა.

12.4. სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ კრედიტორმა მოვალის მემკვიდრეებს მოთხოვნა 2014 წლის 10 მაისამდე წარუდგინა, ხოლო პირველი აქტივობები მან 2015 წლიდან განახორციელა, შესაბამისად, სარჩელი უსაფუძვლო იყო.

13. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

13.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო წესით გასაჩივრებით აპელანტმა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

13.2. კასატორმა სააპელაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიები გაიმეორა (იხ. ამ გადაწყვეტილების 11.2-11.4 ქვეპუნქტები) და დამატებით აღნიშნა, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა შეჯიბრებითობის პრინციპი დაარღვიეს, მაშინ როცა მოპასუხე ხანდაზმულობაზე არც კი უთითებდა და სარჩელს დავალიანების ძირითად ნაწილში აღიარებდა, სასამართლომ მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნია.

13.3. კასატორის განმარტებით, სასამართლოს ეკრძალება კონკრეტული მხარის პროცესუალურ უფლებებში ჩარევა და ის მხოლოდ მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებებითა და განმარტებებით იფარგლება; სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს საერთო პრაქტიკას და განსხვავებულ მიდგომას აყალიბებს, ისეთ საკითხთან მიმართებით, როგორც ხანდაზმულობის ვადა.

13.4. კასატორის განმარტებით, სხვადასხვაგვარი მიდგომა არ-

სებობს სსკ-ის 1488-ე მუხლის მეორე ნაწილთან მიმართებით, რომლის დისპოზიცია წინააღმდეგობაში მოდის, როგორც ამავე მუხლის პირველ ნაწილთან, ასევე – სსკ-ით დადგენილ მოთხოვნის 3-წლიან ხანდაზმულობის ვადასთან.

14. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

14.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 მარტის განჩინებით კასატორის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

14.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 2 ივნისის განჩინებით გამსესხებლის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

15. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეს ნაწილობრივ დასაბუთებული შედავება აქვს წარმოდგენილი.

16. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, თუ რომელი ნორმის საფუძველზე არის შესაძლებელი მოსარჩელისათვის სასურველი იურიდიული შედეგის მიღწევა და ამის შემდეგ შეამოწმებს სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს.

17. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა: „სასა-

მართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას“ (იხ. სუსგ №ას-1529-1443-2012, №ას-973-1208-04; №ას-664-635-2016).

18. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მსესხებლის მემკვიდრეებისათვის გამსესხებლის სასარგებლოდ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 1484-ე მუხლია [მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე – 1. მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. 2. თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალეებით სოლიდარული მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს. 3. მამკვიდრებლის ვალეებისათვის პასუხისმგებელნი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც] – იხ. სუსგ №ას-417-395-2012, 06.04.2012 წ.; №ას-461-435-2014, 30.08.16 წ.; გამსესხებლის მიერ მოვალის მემკვიდრეებისათვის ასეთი მოთხოვნის წარდგენა კანონით დადგენილ ვადაში უნდა განხორციელდეს, რასაც სსკ-ის 1488-ე მუხლი (ნორმის დეფინიცია იხ. 10.2 ქვეპუნქტში) აწესრიგებს.

18.1. საკასაციო სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას მიაცქევს იმ გარემოებას, რომ სსკ-ის 1488.1 მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადა არის მამკვიდრებლის კრედიტორთა მიერ უშუალოდ მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის (პრეტენზიის) წარდგენის და არა

სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, თუ მამკვიდრებლის კრედიტორებმა ზემოხსენებული ვადის დაცვით არ წარუდგინეს მოთხოვნა მემკვიდრეებს, ისინი კარგავენ მოთხოვნის უფლებას, რაც, შემდგომში, სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, ამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა: „მითითებული ნორმით დადგენილია პრეტენზიის – მოთხოვნის წარდგენის ვადა და არა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც სასამართლოსათვის მიმართვის გზით კრედიტორს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით. მოთხოვნა კი, როგორც წესი, წარედგინება უშუალოდ მხარეს. საპრეტენზიო ვადაში მოთხოვნის წარუდგენლობა სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. საპრეტენზიო ვადაში წარდგენილი მოთხოვნა კი, შეიძლება არ დააკმაყოფილოს სასამართლომ, თუ გავიდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მოვალე მიუთითებს ამის თაობაზე“ (იხ. სუსგ-ები: №ას-143-136-2010, 07.10.2010წ; №ას-968-1269-2007, 22.02.2008წ.).

18.2. სსკ-ის 1488-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მემკვიდრეების კრედიტორებმა არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ, მაშინ მათ უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს ერთი წლის განმავლობაში მოთხოვნის ვადის დადგომიდან, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად ამ წესების დაუცველობა გამოიწვევს კრედიტორების მიერ მოთხოვნის უფლების დაკარგვას;

18.3. განსახილველ შემთხვევაში გამსესხებელი აცხადებს, რომ მისთვის უცნობი იყო მსესხებლის გარდაცვალების შესახებ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ კრედიტორისათვის უცნობი იყო მოვალის გარდაცვალების შესახებ, მოსარჩელეს მოვალის მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის წარდგენის ვადა მაინც დარღვეული აქვს. მოსარჩელესა და მამკვიდრებელს შორის არსებული სესხის ხელშეკრულების თანახმად, მსესხებელს გამსესხებლისათვის ნასესხები თანხა 2014 წლის 10 მაისამდე უნდა დაებრუნებინა (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი), რაც იმას გულისხმობს, რომ მოსარჩელეს მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება 2013 წლის 10 მაისიდან წარმოეუვა, ამ დროისათვის მსესხებელი გარდაცვლილი იყო (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი). მიუხედავად იმისა, რომ სესხის ხელშეკრულება ყოველთვიურად პროცენტის გადახდასაც

გულისხმობდა, თუ დაეუშვებოდა, რომ კრედიტორი სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე მოვალეს თანხის გადახდას არ თხოვდა, იგარაუდებოდა, რომ მოთხოვნის დადგომიდან – 2013 წლის 10 მაისიდან მაინც უნდა მოეთხოვა გამსესხებელს მსესხებლისათვის ვალდებულების შესრულება. სწორედ აღნიშნულ ვარაუდს ეფუძნება სსკ-ის 1488.2 მუხლის დანაწესი, რომ თუ მემკვიდრის კრედიტორმა სამკვიდროს გახსნის შესახებ არ იცოდა, მან მოთხოვნის დადგომიდან ერთი წლის ვადაში მაინც უნდა წარუდგინოს მოვალის მემკვიდრეებს მოთხოვნა. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნის წარდგენის ვადა 2014 წლის 10 მაისამდე ჰქონდა მოსარჩელეს, მან კი პრეტენზია პირველად 2015 წელს გამოთქვა (იხ. ამ გადაწყვეტილების 12.3 ქვეპუნქტი);

18.4. ხანდაზმულობის ვადების გარდა, კანონი ადგენს ვადებს, რა დროშიც სამართალურთიერთობის სუბიექტს შეუძლია უფლების დაცვა უშუალოდ მეორე მხარეს მოთხოვოს. ასეთი ვადები კანონმდებლობაში ზოგ შემთხვევაში პირდაპირ არის მითითებული, ასეთია 1488-ე მუხლი. უფლებადარღვეული პირისათვის უფლების დაცვა დროის გარკვეულ პერიოდშია შესაძლებელი, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგად მოთხოვნა ხანდაზმულად ჩაითვლება, რაც მოთხოვნის სასარჩელო წესით დაცვას (მატერიალურად და არა პროცესუალურად) გამორიცხავს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებული პირი, ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად, შესრულებაზე თანახმაა (შდრ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, თბილისი, 2017, „მერიდიანი“, გვ: 721-722);

18.5. განსახილველ შემთხვევაში პირველი, მეორე და მესამე მოპასუხეების მხრიდან სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ წარდგენილი იქნა მოთხოვნის განხორციელების ხელისშემშლელი (ხანდაზმულობის) შესაგებელი (იხ. ამ გადაწყვეტილების 9.2 ქვეპუნქტი), რამაც სარჩელს საფუძველი გამოაცალა. ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იზიარებს (იხ. ამ გადაწყვეტილების 12.2-12.3 ქვეპუნქტები), შესაბამისად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

19. რაც შეეხება საკასაციო საჩივრის ავტორის პრეტენზიას (რასაც იგი სააპელაციო საჩივარშიც აყენებდა, იხ. ამ გადაწყვეტილების 11.4 ქვეპუნქტი) მოვალის მემკვიდრეების მიერ სარჩელის ნაწილობრივ აღიარებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს და დადგენილად მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლოში 2016 წლის 1 მარტს გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლის შეკითხვაზე ცნობდნენ თუ არა მოპასუხეები სარჩელს პირველი, მეორე და მესამე მოპასუხეების წარმომადგენელმა გა-

ნაცხადა, რომ „ჩვენ ძირითადი თანხის ნაწილში ვცნობთ სარჩელს“. მოსამართლემ დააზუსტა მემკვიდრეთა პასუხი – „9 000 აშშ დოლარის ნაწილში ცნობთ?“, მოპასუხეთა წარმომადგენელმა განაცხადა – „დიახ“, ამის შემდეგ საქმის განმხილველმა მოსამართლემ საოქმოდ გააუღერა – „მოვალეებმა ძირითადი თანხის ნაწილში, 9 000 აშშ დოლარის ნაწილში ცნეს სარჩელი, ეს დავაფიქსიროთ მოსამზადებელი სხდომის ეტაპზე“. მეოთხე მოპასუხეს სარჩელი არ უცვნიო.

20. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-19 პუნქტში დასახელებული გარემოებისა და სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი, რაც სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობაა. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი პირველმა, მეორე და მესამე მოპასუხეებმა (მოვალის მემკვიდრეებმა) ნაწილობრივ – 9 000 აშშ დოლარის ნაწილში ცნეს, სარჩელი მხოლოდ ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დანარჩენ ნაწილში კრედიტორის სასარჩელო მოთხოვნა უარყოფილ უნდა იქნეს წინამდებარე გადაწყვეტილების 18.1-18.5 ქვეპუნქტებში მოცემული ფაქტობრივ-სამართლებრივი მსჯელობისა და დასკვნების საფუძველზე.

21. ზემოხსენებული მოტივაციით, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; პირველ, მეორე და მესამე მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სესხის ძირითადი თანხის – 9 000 (ცხრა ათასი) აშშ დოლარის გადახდა უნდა დაეკისროთ, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

22. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციული სახელმწი-

ფო ბაჟის გადახდა პირველ, მეორე და მესამე მოპასუხეებს დაეკისრებათ მოსარჩელისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 მარტის განჩინებით კასატორს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გადავადებული ჰქონდა). ხოლო სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელის მიერ გადახდილი ბაჟი სახელმწიფო ბიუჯეტში დარჩება (იხ. ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 7-9 პუნქტები).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ა. ჩ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. გ. შ-ეს, მ. შ-ესა და ხ. ჯ-ს ა. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისროთ სესხის ძირითადი თანხის 9 000 (ცხრა ათასი) აშშ დოლარის გადახდა;
5. ა. ჩ-ის სარჩელი ა. ფ-ის მიმართ არ დაკმაყოფილდეს;
6. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად;
7. გ. შ-ეს, მ. შ-ესა და ხ. ჯ-ს ა. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის – 1 436.45 (ათას ოთხასოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი) ლარის გადახდა;
8. გ. შ-ეს, მ. შ-ესა და ხ. ჯ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის – 450 (ოთხას ორმოცდაათი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა;
9. ა. ჩ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის – 350 (სამას ორმოცდაათი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა;
10. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;
11. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კრედიტორების მოთხოვნის წარდგენის ვადა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1906-2018

25 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. ტ-ასა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მონინალმდეგე მხარე, გამსესხებელი ან კრედიტორი) და მ. პ-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც თავდაპირველი მოვალე, მსესხებელი, გარდაცვლილი ან მამკვიდრებელი) შორის 2011 წლის 13 დეკემბერს გაფორმდა წერილობითი შეთანხმება, რომელიც დასათაურებული იყო, როგორც „უძრავი ქონების ნასყიდობა გამოსყიდვის პირობით“, რომლის თანახმად, მსესხებელმა მოსარჩელეს საკუთრებაში არსებული ქ. ყვარელში მდებარე უძრავი ქონება, ს/კ-ით ... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადავო უძრავი ქონება, სადავო ქონება, უძრავი ნივთი ან იპოთეკის საგანი) 8000 აშშ დოლარად მიჰყიდა. უძრავი ქონების გამოსყიდვის ვადა 2012 წლის 13 ივნისის ჩათვლით განისაზღვრა.

2. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, 2011 წლის 15 დეკემბერს უძრავი ნივთი საჯარო რეესტრში მოსარჩელის საკუთრებად აღირიცხა.

3. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება) მოსარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი მსესხებლის სარჩელი დაკმაყოფილდა და 2011 წლის 13 დეკემბრის წერილობითი შეთანხმება ბათილად იქნა ცნობილი. სასამართლომ დაადგინა, რომ 2011 წლის 13 დეკემბერს მხარეებს შორის რეალურად არა ნასყიდობის ხელშეკრულება, გამოსყიდვის უფლებით, არამედ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო, სახელდობრ, თავდაპირველმა მოვალემ კრედიტორს სესხის სახით 8000 აშშ დოლარი გადასცა, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა იმ

დროისათვის მსესხებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი. ამავე გადაწყვეტილებით, სადავო უძრავი ქონების მსესხებლის საკუთრებად აღრიცხვა და სესხის უზრუნველსაყოფად ამ ქონების იპოთეკით დატვირთვა განისაზღვრა.

4. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გამსესხებელმა (მოსარჩელემ), თუმცა საქმის სააპელაციო ინსტანციით განხილვის დროს, 2013 წლის 2 ოქტომბერს, თავდაპირველი მოვალე (მ. პ-ი) გარდაიცვალა.

5. გარდაცვლილის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები (სამკვიდრო აქტივი და პასივი) 2014 წლის 11 აპრილს გაცემული სამკვიდრო მონმობის საფუძველზე, მისმა მეუღლემ – ო. პ-ამ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი, კასატორი, მოვალე, მემკვიდრე ან უფლებამონაცვლე) მიიღო.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ნოემბრის საოქმო განჩინებით, გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მოპასუხე.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 ივლისის განჩინებით, გამსესხებლის (მოსარჩელის) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

8. 2015 წლის 4 დეკემბერს სადავო უძრავი ქონება კვლავ მამკვიდრებლის სახელზე აღირიცხა, და სესხის (8000 აშშ დოლარის) უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა.

9. მსესხებელს, გარდაცვალებამდე, სესხი – 8000 აშშ დოლარი (საიდანაც 5000 აშშ დოლარი სესხის ძირითადი თანხაა, ხოლო 3000 აშშ დოლარი – საპროცენტო სარგებელი), კრედიტორისათვის არ დაუბრუნებია.

10. 2015 წლის 8 დეკემბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის (მსესხებლის უფლებამონაცვლის) წინააღმდეგ და სესხის – 8000 აშშ დოლარის გადახდის მიზნით, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების იძულებითი რეალიზაცია მოითხოვა. მოსარჩელე წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში აღწერილ ფაქტებზე მითითებით ამტკიცებდა, რომ გარდაცვლილის უფლებამონაცვლე – მოპასუხე, მიზანმიმართულად არიდებს თავს მამკვიდრებლის ვალდებულების შესრულებასა და სესხის – 8000 აშშ დოლარის კრედიტორისთვის დაბრუნებას, აღნიშნულიდან გამომდინარე, კრედიტორის დაკმაყოფილების მიზნით, სარეალიზაციოდ უნდა მიქცეულიყო სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი.

11. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, მან წარადგინა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი (ხანდაზმულობის) შესაგებელი და

განმარტა, რომ მოსარჩელისათვის იმთავითვე იყო ცნობილი, რომ მხარეებს შორის სესხის ხელშეკრულება ვადიანი იყო, ხოლო ნასყიდობა – თვალთმაქცური გარიგება, შესაბამისად, მისი მოთხოვნა როგორც სახელშეკრულებო, ასევე, მემკვიდრეობის მომწესრიგებელი ნორმების მიხედვით, ხანდაზმული იყო, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს ქმნიდა.

12. მოგვიანებით, ძირითადად მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა ძირითადი მოსარჩელის წინააღმდეგ და სესხის თანხაზე – 8000 აშშ დოლარზე, მოპასუხის მიმართ, მოსარჩელის (გამსესხებლის) მოთხოვნის არარსებობის დადგენა და, შესაბამისად, სადავო უძრავ ქონებაზე იპოთეკის გაუქმება მოითხოვა. ძირითადი მოპასუხის მტკიცებით, მხარეებს შორის სესხის ხელშეკრულება დადებული იყო ექვსი თვით, ამიტომ, კრედიტორს მოთხოვნის უფლება 2011 წლის 13 დეკემბრიდან 6-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, ანუ 2012 წლის 13 ივნისს წარმოეშვა. მოსარჩელეს კი, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მამკვიდრებლისათვის მოთხოვნა კანონით დადგენილ ვადაში არ წარუდგენია. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო სამკვიდროს გახსნისა და მოვალის მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების შესახებ, მას, როგორც სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორს, მოპასუხის, როგორც სამკვიდროს მიმღები მემკვიდრის მიმართ, სამკვიდროში პასივის სახით შესული მამკვიდრებლის ვალის გადახდა კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში არ მოუთხოვია, შესაბამისად, როგორც სახელშეკრულებო, ასევე, მემკვიდრეობის სპეციალური ნორმების მიხედვით, ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა სესხის დაკისრების თაობაზე ხანდაზმული იყო, ხოლო იპოთეკის უფლება, მისი აქცესორული ხასიათიდან გამომდინარე, ძირითადი უფლების გარეშე არ არსებობს, რაც შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და თავდაპირველი სარჩელის უარყოფის საფუძველი იყო.

13. ძირითადად მოსარჩელემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მას არც სახელშეკრულებო და არც მემკვიდრეობის ნორმების მიხედვით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები არ დაურღვევია.

14. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული სარჩელი უარყოფილ იქნა; ძირითადი მოპასუხის მიერ, ძირითადი მოსარჩელის სასარგებლოდ, სესხის თანხის – 8000 აშშ დოლარის გადახდის მიზნით იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის იძულებითი რეალიზაცია დადგინდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგ-

ში სსკ-ის, 316-ე, 317-ე, 1484-ე, 1421-ე, 1433-ე, 286.1, 301.1 და 1488-ე მუხლები გამოიყენა.

15. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ძირითადად მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღების, ძირითადი სარჩელის უარყოფისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებით მოთხოვნით.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

16.1. სასამართლომ მიიჩნია, რომ ძირითად მოსარჩელეს (გამსესხებელს) სსკ-ის 1488-ე მუხლით დადგენილი მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის წარდგენის ექვსთვიანი ვადა არ დაურღვევია. აღნიშნული საკითხის სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის, სააპელაციო სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა საპრეტენზიო მოთხოვნის წარდგენის ვალდებულება სასარჩელო ხანდაზმულობის სამართლებრივი ინსტიტუტისაგან. სასამართლომ მიუთითა ხსენებული ორი სამართლებრივი ინსტიტუტის განსხვავებულ ბუნებაზე, რომელიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობს სამოქალაქო-სამართლებრივ სივრცეში და განსხვავებული სამართლებრივი დატვირთულობა გააჩნია. სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 1488-ე მუხლი ადგენს არა სარჩელის ხანდაზმულობის ვადას, არამედ კრედიტორების მიერ მემკვიდრეებისათვის პრეტენზიის წარდგენის ვადას, რისი კვლევაც სასამართლოს მოპასუხის მითითების გარეშე, საკუთარი ინიციატივითაც შეუძლია.

16.2. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კრედიტორისთვის იმ მემკვიდრის ვინაობა, ვინც სამკვიდრო მიიღო, ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ძირითადი მოპასუხე გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ იქნა ცნობილი. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლებამონაცვლედ ჩაბმით ძირითადი მოპასუხე ინფორმირებული გახდა მამკვიდრებლის სასესხო ვალდებულების შესახებ, ანუ მას ამ ფორმით წარედგინა კრედიტორის პრეტენზია, ამიტომ ძირითად მოსარჩელეს, როგორც კრედიტორს, სსკ-ის 1488-ე მუხლით დადგენილი მემკვიდრისთვის მოთხოვნის წარდგენის ვადა არ დაურღვევია.

16.3. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ძირითად მოსარჩელეს, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძველი წარმოეშვა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, იპოთეკის საგნის კვლავ მამკვიდრებლის სახელზე აღრიცხვის შემდეგ. აღნიშნული მომენტიდან სარჩელის აღძვრამდე კი, სსკ-ის 1488-ე მუხლით გათვალის-

წინებული ვადა დაცული იყო.

17. აღნიშნული განჩინება ძირითადად მოპასუხემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღების, ძირითადი სარჩელის უარყოფისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

17.1. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნის საფუძველი წარმოეშვა არა 2012 წლის 13 ივნისიდან, არამედ 2015 წლის 4 დეკემბრიდან, როდესაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, უძრავი ქონება რომელიც მოსარჩელის სახელზე იყო აღრიცხული, კვლავ მამკვიდრებლის სახელზე აღირიცხა და სესხის თანხის – 8000 აშშ დოლარის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიცვირთა;

მოსარჩელეს მოთხოვნის საფუძველი არ წარმოშობია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, არამედ, ხსენებულმა გადაწყვეტილებამ მხოლოდ და მხოლოდ დაადასტურა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა 2011 წლის 13 დეკემბრიდან, როდესაც მამკვიდრებელსა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა თვალთმაქცური უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება;

17.2. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ახალი მოთხოვნის საფუძველი კი არ დადგინდა, არამედ, კრედიტორის მიერ კანონსაწინააღმდეგო გარიგების დადების ფაქტი დადასტურდა, რაც, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ კრედიტორმა იცოდა უფლების უკანონოდ განხორციელების ფაქტი. დაუშვებელია იმგვარი დასკვნის გამოტანა, რომ კრედიტორმა მას შემდეგ შეიტყო მოთხოვნის წარმოშობის შესახებ, რაც გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა;

17.3. სასამართლომ უსაფუძვლოდ დაასკვნა, რომ გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ ჩაბმით, მემკვიდრე ინფორმირებული გახდა მამკვიდრებლის სასესხო ვალდებულების შესახებ, ანუ მას ამ ფორმით წარედგინა კრედიტორის პრეტენზია, რის გამოც კრედიტორს მოთხოვნის წარდგენის ვადა დარღვეული არ ჰქონია;

17.4. ძირითად მოსარჩელეს, მამკვიდრებლის უფლებამონაცვლისათვის თანხის დაკისრება არ მოუთხოვია, მან მხოლოდ იპოთეკის საგნის რეალიზაცია მოითხოვა. ამგვარი სარჩელის პირობებში კი, მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანა გაუმართლებელია.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2019 წლის 26 მარტის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

19. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

20. განსახილველ შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნა მემკვიდრისათვის გარდაცვლილის ვალის დაკისრების თაობაზე სსკ-ის 1484-ე მუხლის პირველი ნაწილიდან (მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად) და 1494-ე მუხლიდან (კრედიტორთა მოთხოვნები მემკვიდრეებმა უნდა დააკმაყოფილონ ერთჯერადი გადახდის გზით, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი) გამომდინარეობს.

20.1. გარდაცვლილის ვალის წარმოშობის ფაქტობრივი საფუძველია მამკვიდრებლის მიერ კრედიტორის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, შესაბამისად, სსკ-ის 623-ე (სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი), 625.1 (მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი), 286.1 (უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში

მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა)), 289.1 (იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან) და 301.1 (თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ იპოთეკის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) მუხლების საფუძველზე, მამკვიდრებლის მიმართ კრედიტორის მოთხოვნა სესხის გადახდის მიზნით, იპოთეკის საგნის იძულებითი რეალიზაციის თაობაზე წარმოშობილი იყო.

21. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ მოსარჩელეს სასესხო დავალიანების დაკისრების გარეშე არ შეეძლო იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის დამოუკიდებლად აღძვრა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მიუხედავად იპოთეკის აქცესორული ბუნებისა, სსკ-ის 301-ე მუხლის პირველი ნაწილი იპოთეკარს ანიჭებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს იპოთეკის საგნის რეალიზაცია, თუ სახეზეა შემდეგი წინაპირობები:

ა) იპოთეკარმა წამდვილად გაასესხა თანხა, რომლის დაბრუნება უზრუნველყოფილია უძრავ ნივთზე კრედიტორის სასარგებლოდ დადგენილი იპოთეკით;

ბ) მოვალე ვადაში არ აბრუნებს სესხს, ანუ მოპასუხემ გააჭიანურა ვალდებულების შესრულება;

გ) უძრავ ნივთზე არსებული იპოთეკა იურიდიული ძალის მქონეა, რადგანაც აკმაყოფილებს მისი წამდვილობის წინაპირობებს (სსკ-ის 289.1 მუხლი).

განსახილველ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული გადანყვებილებით პრეიუდიციულად დადგენილია და მხარეებიც არ ხდიან სადავოდ, რომ მოსარჩელემ მოპასუხის მამკვიდრებელს ასესხა თანხა; ასევე უდავოა, რომ სესხის დავალიანება – 8000 აშშ დოლარი, არც გარდაცვლილსა და არც მის მემკვიდრეს არ დაუბრუნებია. ხსენებული გადანყვებილებითა და საჯარო რეესტრის ამონაწერით დადგენილია, რომ 2015 წლის 4 დეკემბერს სადავო უძრავი ქონება საჯარო რეესტრში კვლავ მამკვიდრებლის სახელზე აღირიცხა და სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არსებობს მითითებული სამართლებრივი საფუძვლით მოთხოვნის განხორციელების ყველა წინაპირობა, რის გამოც კასატორის პრეტენზია დაუსაბუთებელია და გაზიარებული ვერ იქნება.

22. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასა-

მართლოების დასკვნას, რომ მოსარჩელის მხრიდან არ დარღვეულა მოვალის მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის წარდგენის ექვსთვიანი ვადა.

22.1. სსკ-ის 1488-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 1488-ე მუხლში საუბარია არა სასარჩელო ხანდაზმულობის, არამედ პრეტენზიის წარდგენის ვადებზე, რაც განსხვავებული ცნებებია. პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადა არის მამკვიდრებლის კრედიტორთა მიერ მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის (პრეტენზიის) წარდგენისა და არა სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, თუ მამკვიდრებლის კრედიტორებმა ზემოხსენებული ვადის დაცვით არ წარუდგინეს მოთხოვნა მემკვიდრეებს, ისინი კარგავენ მოთხოვნის უფლებას, რაც, შემდგომში, სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, ამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იქნება. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ „მითითებული ნორმით დადგენილია პრეტენზიის მოთხოვნის წარდგენის ვადა და არა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც, სასამართლოსათვის მიმართვის გზით კრედიტორს შეუძლია, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით. მოთხოვნა კი, როგორც წესი, წარედგინება უშუალოდ მხარეს. საპრეტენზიო ვადაში მოთხოვნის წარუდგენლობა სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. საპრეტენზიო ვადაში წარდგენილი მოთხოვნა კი, შეიძლება არ დააკმაყოფილოს სასამართლომ, თუ გავიდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მოვალე მიუთითებს ამის თაობაზე (შდრ. სუსგ-ები 07.10.2010წ., საქმე №ას-143-136-2010; სუსგ, 22.02.2008წ., საქმე №ას-968-1269-2007).

22.2. მხარეთა შორის ძირითად სადავო საკითხს წარმოადგენს ის, თუ როდიდან უნდა დაიწყოს სსკ-ის 1488-ე მუხლით გათვალისწინებული პრეტენზიის წარდგენის ვადის ათვლა.

ამ თვალსაზრისით, პალატას მნიშვნელოვნად მიაჩნია, ყურადღება კვლავ გაამახვილოს სასარჩელო მოთხოვნაზე, ამ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველსა და მისი განხორციელების წინაპირობებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, იმისათვის, რომ მოსარჩელემ სსკ-ის 301.1 მუხლის საფუძველზე იპოთეკის საგნის რეალიზაცია მოითხოვოს, აუცილებელია, რომ არსებობდეს ნამდვილი იპოთეკა. სსკ-ის 289.1 მუხლის შესაბამისად კი, იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

განსახილველ შემთხვევაში, უდავო ფაქტია, რომ 2015 წლის 4 დეკემბრამდე სადავო უძრავი ქონება საჯარო რეესტრში მოსარჩელის საკუთრებად ირიცხებოდა, ის მხოლოდ 2015 წლის 4 დეკემბერს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე აღირიცხა მოვალის საკუთრებად და სადავო სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა.

გამომდინარე იქიდან, რომ 2015 წლის 4 დეკემბრამდე იპოთეკის უფლება რეგისტრირებული არ იყო, მოსარჩელე მოკლებული იყო შესაძლებლობას, იპოთეკის საგანთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია წარედგინა მოვალის მემკვიდრისათვის, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სადავო ქონება საჯარო რეესტრში მის საკუთრებად იყო რეგისტრირებული.

ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სსკ-ის 1488-ე მუხლით გათვალისწინებული პრეტენზიის წარდგენის ექვსთვიანი ვადის ათვლა 2015 წლის 5 დეკემბრიდან უნდა დაიწყოს.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელემ მოპასუხის მიმართ მამკვიდრებლის ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სარჩელი აღძრა 2015 წლის 8 დეკემბერს, ანუ პრეტენზიის წარდგენის ვადის დენის დაწყებიდან მეოთხე დღეს, შესაბამისად, კასატორის პრეტენზია მოსარჩელის მხრიდან უფლების არსებობის ვადის დარღვევასთან დაკავშირებით, უსაფუძვლოა და გაზიარებული ვერ იქნება.

23. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნას სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით.

24. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81); *Boldea v. Romania*, par. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის ყველა პრეტენზიაზე.

25. სსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითე-

ბულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

26. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 257.1, 264.3, 410-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. ო. პ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ოქტომბრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პრედიტორების მოთხოვნის წარდგენის ვადა

გადანყვითლება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1414-2019

28 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. ხ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოვალე ან მოპასუხის მეუღლე), რომლის რეგისტრირებული მეუღლე იყო მ. ქ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მონინააღმდეგე მხარე ან კასატორი), 2006 წლის 5 მაისს გარდაიც-

ვალა. 2007 წლის 5 ივნისის მოპასუხებ, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ, სრულად მიიღო მისი მეუღლის დანაშთი ქონება (სამკვიდრო აქტივი და პასივი) შესაბამისად, მის სახელზე გაიცა კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა.

2. სამკვიდრო მასაში შემავალი საგარეჯოს რაიონში, სოფელ ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, საკადასტრო კოდით №..., ნაწილს 25 ჰექტარს, 2009 წლის 27 თებერვლიდან (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადავო ქონება), ფლობს მ. ლ-ა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე ან კრედიტორი). ამჟამად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა მოპასუხე.

3. 2014 წლის 6 მარტს მოსარჩელემ მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა 19 000 აშშ დოლარის, დაკისრების მოთხოვნით. ის ამტკიცებდა, რომ მას მოპასუხის ან გარდაცვლილ მეუღლესთან დადებული ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, გადაეცა სადავო მიწის ნაკვეთი, რომელსაც ის ფლობს და განკარგავს – როგორც საკუთარს. ზეპირი შეთანხმება განაპირობა იმან, რომ იმ პერიოდში მოპასუხის მეუღლე ჯერ კიდევ არ იყო მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სადავო მიწის ნაკვეთის რეგისტრირებული მესაკუთრე. მიუხედავად იმისა, რომ მან ნასყიდობის საფასური, 19 000 აშშ დოლარი, გამყიდველს სრულად გადაუხადა, კერძოდ, 2004 წელს 12000 აშშ დოლარი, ხოლო 2005 წელს – 5000 აშშ დოლარი, მოპასუხე უარს აცხადებს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემაზე.

4. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელეს სადავო მიწის ნაკვეთი არა ნასყიდობის, არამედ ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა, ამასთან, მოსარჩელეს დარღვეული აქვს ფულადი მოთხოვნის წარდგენის ვადა.

5. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს 19 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 316-ე, 317-ე, 361-ე, 976-ე, 991-ე მუხლები გამოიყენა.

6. მოპასუხემ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი უარყოფილ იქნა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. საქმეზე დადგენილი

ფაქტობრივი გარემოებებისა და მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ერთობლივად შეფასებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა დგინდებოდა და მოპასუხეს სწორედ მოთხოვნილი თანხის გადახდა ეკისრებოდა მოსარჩელის სასარგებლოდ. სააპელაციო პალატამ უარყო აპელანტის პრეტენზია მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებითაც და აღნიშნა, რომ კონდიქციური (უსაფუძვლო გამდიდრება) ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე ვრცელდებოდა ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა, რაც განსახილველ შემთხვევაში გაშვებული არ იყო.

8. მოპასუხემ საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

9. კასატორის მტკიცებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არ იმსჯელეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, კერძოდ, 2007 წლის 5 ივნისს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ, მან სრულად მიიღო მისი მეუღლის დანაშთი ქონება (სამკვიდრო აქტივი და პასივი), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსარჩელეს ქონების გადაცემის ან თანხის დაბრუნების თაობაზე პრეტენზია მისთვის არ წარუდგენია და მხოლოდ 2014 წელს აღძრა სარჩელი, შესაბამისად, მას მოთხოვნის უფლება დაკარგული ჰქონდა.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 22 იანვრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი უარყოფილ იქნეს.

11. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მო-

პასუხემ/კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შე-
დავება) წარმოადგინა.

12. დადგენილია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხის ან გარდაც-
ვლილ მეუღლეს შორის ფორმალური გარიგება, კერძოდ, უძ-
რავი ნივთის ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო. ასეთი
გარიგება კი, დადების მომენტიდან ბათილია (სსკ-ის 59.1. 61.1. 328-
ე და 183.1 მუხლები). შესაბამისად, მოსარჩელემ მოპასუხის მეუღ-
ლის წინაშე შეასრულა არარსებული ვალდებულება – სამართლებ-
რივი საფუძვლის გარეშე გადასცა მას – 19 000 აშშ დოლარი. აღ-
ნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძ-
ველი იყო სსკ-ის 976.1 „ა“ ქვეპუნქტი და 979.1 მუხლები; თუმცა,
მემკვიდრისათვის გარდაცვლილის ვალის დაკისრების თაობაზე
კრედიტორის მოთხოვნის უსაფუძვლობას ამ უკანასკნელის მიერ
სსკ-ის 1484.1. (მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად და-
აკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ
მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციუ-
ლად) და 1488-ე (მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის გან-
მავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა მამკვიდროს
გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს,
რომლებმაც მიიღეს მამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მი-
უხედავად) მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობების შეუს-
რულებლობა განაპირობებს.

13. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 1488-ე
მუხლში საუბარია არა სასარჩელო ხანდაზმულობის, არამედ პრე-
ტენზიის წარდგენის ვადებზე, რაც განსხვავებული ცნებებია. პა-
ლატა აღნიშნავს, რომ მოცემული მუხლით დადგენილი ექვსთვია-
ნი ვადა არის მამკვიდრებლის კრედიტორთა მიერ მემკვიდრეები-
სათვის მოთხოვნის (პრეტენზიის) წარდგენისა და არა სასამარ-
თლოში სარჩელის შეტანის ვადა. ამასთან, გასათვალისწინებელია,
რომ, თუ მამკვიდრებლის კრედიტორებმა ზემოხსენებული ვადის
დაცვით არ წარუდგინეს მოთხოვნა მემკვიდრეებს, ისინი კარგა-
ვენ მოთხოვნის უფლებას, რაც, შემდგომში, სარჩელის წარდგენის
შემთხვევაში, ამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სა-
ფუძველი იქნება. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა,
რომ „მითითებული ნორმით დადგენილია პრეტენზიის მოთხოვნის
წარდგენის ვადა და არა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. სასარ-
ჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომ-
ლის განმავლობაშიც, სასამართლოსათვის მიმართვის გზით კრე-
დიტორს შეუძლია, დააკმაყოფილოს მოთხოვნა. ამ ვადის გასვლის
შემდეგ მოვალეს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფი-
ლებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით. მოთ-

ხოვნა კი, როგორც წესი, წარედგინება უშუალოდ მხარეს. საპრეტენზიო ვადაში მოთხოვნის წარუდგენლობა სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. საპრეტენზიო ვადაში წარდგენილი მოთხოვნა კი, შეიძლება, არ დააკმაყოფილოს სასამართლომ, თუ გავიდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მოვალე მიუთითებს ამის თაობაზე (შდრ. სუსგ-ები 07.10.2010წ., №ას-143-136-2010; სუსგ, 22.02.2008წ., №ას-968-1269-2007).

14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრაქტიკული მნიშვნელობისაა იმ საკითხის გარკვევა, თუ როდიდან იწყება სსკ-ის 1488-ე მუხლით გათვალისწინებული პრეტენზიის წარდგენის ვადის ათვლა. მითითებული ნორმა ადგენს, რომ ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა მამკვიდრებლის კრედიტორებმა შეიტყვეს სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუმცა ამავე ნორმის მიხედვით, მამკვიდრებლის კრედიტორებმა მოთხოვნა უნდა წარუდგინონ იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო. სსკ-ის 1499.1. მუხლის მიხედვით, სამკვიდრო მონაწილას გასცემს ნოტარიუსი. შესაბამისად, კრედიტორმა, რომლისთვისაც ცნობილი გახდება მოვალის გარდაცვალების შესახებ უნდა შეასრულოს შემდეგი იურიდიული მოქმედება – მან უნდა მიმართოს ნებისმიერ ნოტარიუსს, გარდაცვლილის მემკვიდრეების მიმართ მოთხოვნის წარდგენის პრეტენზიით. ნოტარიუსი კი ვალდებულია, მიიღოს მამკვიდრებლის კრედიტორის წერილობითი განცხადება, კრედიტორის პრეტენზიების შესახებ, განცხადება უნდა შედგეს კერძო ან საჯარო აქტის ფორმით, განცხადება მიიღება მიუხედავად იმისა, დადგა თუ არა მოთხოვნის ვადა. ამასთან, ნოტარიუსი ვალდებულია, მამკვიდრებლის კრედიტორის პრეტენზიების შესახებ აცნობოს პირებს, რომლებსაც სანოტარო ბიუროში წარდგენილი აქვთ განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა, რომ მისთვის იმთავითვე იყო ცნობილი მოვალის გარდაცვალების შესახებ, თუმცა გარდაცვლილის მემკვიდრის მიმართ მოთხოვნის წარდგენის პრეტენზიით, ნოტარიუსისთვის არ მიუმართავს. მას ასევე, გარდა მისი ზეპირსიტყვიერი განმარტებისა, სასამართლოსათვის არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ კანონით დადგენილ ვადაში უშუალოდ მემკვიდრეს მიმართა შესაბამისი პრეტენზიით. საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სსკ-ის 1488-ე მუხლით გათვალისწინებული გარდაცვლილის კრედიტორის პრეტენზიის წარდგენის ექვსთვიანი ვადის ათვლა მოვალის გარდაცვალებიდან ანუ 2006 წლის 5 მაისიდან უნდა დაიწყოს. დადგენილია, რომ მოსარჩელემ მოპასუხის მიმართ მამკვიდრებლის ვალ-

დებულების შესრულების მოთხოვნით სარჩელი აღძრა 2014 წლის 6 მარტს, ანუ პრეტენზიის წარდგენის ექვსთვიანი ვადის დარღვევით, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

15. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 4828.02 ლარის გადახდა;

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ჯ ი ტ ა:

1. მ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ლ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მ. ლ-ას მ. ჭ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 4828.02 ლარის გადახდა;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. სამკვიდრო მონუმოზა

სამკვიდრო მონუმოზის გაცემის კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1142-2022

23 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. დ. ჩ-ნმა (შემდგომ – პირველი მოსარჩელე, მამკვიდრებლის შვილი) და გ. კ-მა (შემდგომ – მეორე მოსარჩელე, მამკვიდრებლის მეუღლე) სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნოტარიუს ა. ჯ-ძის (შემდგომ – მოპასუხე ან ნოტარიუსი) მიმართ 19561 აშშ დოლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელებმა განმარტეს, რომ არიან 2009 წლის 13 მაისს გარდაცვლ. ა. ჩ-ის (შემდგომ – მამკვიდრებელი) პირველი რიგის მემკვიდრეები – შვილი და მეუღლე.

3. მოსარჩელეთა მითითებით, ჯერ კიდევ, 2009 წლის 29 დეკემბერს ნოტარიუს რ. ფ-ას მიერ მამკვიდრებლის დანაშთ უძრავ ქონებაზე ქ. თბილისში, ... (შემდგომ – პირველი უძრავი ქონება) გაიცა სამკვიდრო მონუმოზა – სანოტარო აქტი №... განცხადება სამკვიდროს მიღებისა და სამკვიდრო მონუმოზის გაცემის თაობაზე, ასევე, სამკვიდრო მონუმოზის გაცემის თაობაზე ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების შესაბამისად, სამემკვიდრეო საქმეთა რეესტრში რეგისტრირებული იყო ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში (2010 წლის 11 სექტემბერი).

4. მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ მამკვიდრებელს ასევე ეკუთვნოდა ქ. ქუთაისში, ... შესახვევი №2-ში მდებარე 32.20 კვ.მ, ასევე საერთო სარგებლობის 15.23 კვ.მ შესასვლელი (შემდგომ – მეორე უძრავი ქონება). 1999 წლის 21 ივნისს მამკვიდრებელმა აღნიშნული უძრავი ქონება უანდერძა შვილს. ანდერძი დამოწმდა ნოტარი-

უს ნ. ი-ის მიერ, №1-772 სანოტარო აქტით. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის № 71 ბრძანების შესაბამისად, ანდერძი რეგისტრირებული იყო ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში (2010 წლის 11 სექტემბერი).

5. 2012 წლის 9 იანვარს ქ. ქუთაისში მოქმედი ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელმა ვ. ჭ-ძემ მამკვიდრებლის დის, მეორე რიგის მემკვიდრე ლ. ჩ-ის სახელზე (შემდგომ – მამკვიდრებლის და) მეორე უძრავ ქონებაზე გასცა სამკვიდრო მონმოზა – №... სანოტარო აქტი, მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლის 29 დეკემბერს ნოტარიუს რ. ფ-ას მიერ მამკვიდრებლის დანაშთ პირველ უძრავ ქონებაზე გაცემული იყო სამკვიდრო მონმოზა №... სანოტარო აქტით. ამასთან, არსებობდა ნოტარიუს ნ. ი-ის მიერ №1-772 სანოტარო აქტით დამონმებული ანდერძი, ხოლო ზემოაღნიშნულის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყო სამემკვიდრეო საქმეთა და ანდერძების ერთიან რეესტრში.

6. მოსარჩელის მოსაზრებით, სამკვიდრო მონმოზა – №... სანოტარო აქტი შედგენილი და გაცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით. სადავო სამკვიდრო მონმოზის თანახმად დადგენილია, რომ მამკვიდრებლის დამ ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელ ვ. ჭ-ძეს სამკვიდროს მიღების თაობაზე განცხადებით მიმართა 2012 წლის 9 იანვარს. განმცხადებელმა ნოტარიუსს განუცხადა, რომ მამკვიდრებელს პირველი რიგის მემკვიდრეები არ ჰყავდა და იგი წარმოადგენდა მის ერთადერთ მემკვიდრეს. ნოტარიუსმა სამკვიდრო მონმოზა გასცა განცხადების შეტანის დღესვე – 2012 წლის 9 იანვარს ისე, რომ არ გადაუმონმებია სამემკვიდრეო საქმეთა და ანდერძების ერთიან ელექტრონულ რეესტრში არსებული ინფორმაცია (არ შეუმონმებია ინფორმაცია ნოტარიუსთა პალატაში), რისი ვალდებულებაც ჰქონდა. აღნიშნული ინფორმაციის გადამონმების შემთხვევაში იგი ნახავდა, რომ მამკვიდრებელს ჰყავს პირველი რიგის მემკვიდრეები და ჯერ კიდევ, 2009 წლის 29 დეკემბერს გაცემული იყო სამკვიდრო მონმოზა.

7. სადავო სამკვიდრო მონმოზა მამკვიდრებლის დამ წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რის საფუძველზეც გაიცა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. 2012 წლის 18 აპრილს მან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადასცა ო. კ-ძეს, რომელმაც მოგვიანებით 2016 წლის 29 აგვისტოს, აღნიშნული უძრავი ქონება ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადასცა მ. კ-ძეს და გ. კ-ძეს.

8. 2021 წლის 25 თებერვლამდე 2012 წლის 9 იანვარს გაცემული

სამკვიდრო მონუმობის (სანოტარო აქტი №...) არსებობის შესახებ მოსარჩელეთათვის ცნობილი არ ყოფილა. მას შემდეგ, რაც მოსარჩელე ნოტარიუსთან წარსადგენად საჭირო ცნობა-დახასიათების ასაღებად მივიდა საჯარო რეესტრში შეიტყო, რომ სამკვიდრებლის კუთვნილ ქ. ქუთაისში მდებარე უძრავ ქონებაზე, გაცემული იყო სამკვიდრო მონუმობა, ასევე, უძრავ ქონებას ჰყავს უკვე მესამე მესაკუთრე.

9. მოსარჩელების განმარტებით, მოპასუხის უკანონო ქმედების შედეგად დაკარგეს უძრავი ქონება და მიადგათ დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი. შპს „ა-თა“ მიერ გაცემული შეფასების დასკვნის თანახმად, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება შეადგენს 19561 აშშ დოლარს.

მოპასუხის პოზიცია:

10. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა: სამკვიდრებლის დამ განცხადებით მიმართა სანოტარო ბიუროს, განაცხადა, რომ 2009 წლის 13 მაისს გარდაცვლილი ძმის მეორე რიგის მემკვიდრეა და მოითხოვა წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე სამკვიდრო მონუმობის გაცემა. ნოტარიუსის შემცვლელმა შეამოწმა სამკვიდრებლის გარდაცვალების მონუმობა, დაბადების მონუმობა და განმცხადებლის დაბადების მონუმობა, რითაც დადგინდა, რომ ისინი არიან და-ძმა.

11. სამოქალაქო რეესტრის ქუთაისის სამსახურის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათით დასტურდება, რომ პ/ნ ... ეკუთვნის სამკვიდრებელს.

12. 2011 წლის 13 დეკემბერს ქუთაისის კახნიაურის ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული ცნობით დასტურდებოდა, რომ სამკვიდრებლის და ნამდვილად ცხოვრობდა ქ. ქუთაისში, ... რეგისტრაციის გარეშე. 2011 წლის 13 დეკემბრის ცნობა-დახასიათებით დასტურდებოდა, რომ აღნიშნულ მისამართზე მდებარე ქონება ირიცხებოდა სამკვიდრებლის სახელზე. სარჩელზე თანდართული სანოტარო აქტით ირკვევა, რომ მოსარჩელები იყვნენ სამკვიდრებლის მემკვიდრეები, თუმცა აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას მის სანოტარო ბიუროში შესრულებულ სანოტარო მოქმედებასთან კავშირი არ ჰქონდა.

13. სარჩელზე თანდართული ცნობა-დახასიათებით დასტურდება, რომ მეორე უძრავ ქონებაზე ანდერძი ნოტარიუს ი-თან შეუდგენია არა ა. ჩ-ს, არამედ ა. ა. ძე ჩ-ს. მოსარჩელის მიერვე წარმოდგენილ ცნობა-დახასიათებაში ... №15/2-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრედ აღრიცხულია არა ა. ჩ-ი, არამედ ა. ჩ-ი. არასწორია მოსარჩელის მტკიცება, თითქოს ანდერძი რეგისტრირებულია სანოტარო მოქმედებათა და ანდერძების რეესტრში 2010 წლის

11 სექტემბერს.

14. სანოტარო მოქმედებათა და ანდერძების ერთიან რეესტრში არც ა. და არც ა. ჩ-ის მიერ შედგენილი ანდერძი (ნოტარიუსი ი-ი) რეგისტრირებული არ არის, შესაბამისად, რეესტრის გადამოწმებით ასეთი ინფორმაცია არც 2012 წელს და არც დღეის მდგომარეობით არ იძებნება.

15. მოპასუხე არ დაეთანხმა მოსარჩელის მითითებას, რომ სამეკვიდრო საქმეთა და ანდერძების ერთიან რეესტრში რეგისტრირებული, ელექტრონულად განთავსებული იყო ინფორმაცია ა. ჩ-ის შესახებ და ნოტარიუსის შემცვლელმა ვ. ჭ-ემ არასწორად დააკმაყოფილა. №... სანოტარო აქტი გაიცა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, გარდაცვლილი ძმის ა. ჩ-ის სამეკვიდრო ქონებაზე. განმცხადებლის განმარტებით, სამეკვიდრებელს არ ჰყავდა პირველი რიგის სამეკვიდრეები. სანოტარო აქტის შედგენამდე ნოტარიუსის შემცვლელი პირის მიერ გადამოწმდა სამეკვიდრო საქმეთა და ანდერძების ერთიან ელექტრონული რეესტრი, სადაც ა. ჩ-ის სამეკვიდრეების შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდებოდა. ინფორმაცია მოძიებულ იქნა, როგორც სამეკვიდრებელი პირის სახელით და გვარით (ზუსტი შესაბამისობით პირადობის მოწმობის მონაცემებით) ისე სახელის, გვარისა და მისი პირადი ნომრის მითითებით (ასევე სრული შესაბამისობით პირადობის მოწმობის მონაცემებთან). შესაბამისად, ნოტარიუსს არ გააჩნია რაიმე საფუძველი, რაც დააბრკოლებდა მის მიერ სამეკვიდრო მოწმობის გაცემას ა. ჩ-ის მეორე რიგის სამეკვიდრეზე.

16. სამეკვიდრებლის დამწარადგინა სანოტარო აქტი საჯარო რეესტრში და გახდა სამეკვიდრებლის დანაშთი სამეკვიდრო ქონების მესაკუთრე, რის შემდეგაც სამეკვიდრეობით მიღებული ქონება გაასხვისა, ხოლო შემძენმა მოგვიანებით მითითებული ქონება ჩუქებით გადასცა სხვა პირებს.

17. მოპასუხის განმარტებით, თუ მოსარჩელები 2009 წელს გახდნენ სამეკვიდრებლის სამეკვიდრეები, მათ უნდა სცოდნოდათ სამეკვიდრებლის სწორი სახელი და გვარი, ასევე, უნდა ჰქონოდათ ინფორმაცია სხვა დანაშთი ქონების შესახებ, თუკი ოჯახის წევრები (მეუღლე და შვილი) იყვნენ.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა-
რეზოლუციო ნაწილი:**

18. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა 13000 ლარის გადახდა, რაც ორივე მხარემ გაასაჩივრა

სააპელაციო წესით: მოსარჩევეებმა მოითხოვეს სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ კი – სარჩელის უარყოფა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

19. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

20. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2009 წლის 13 მაისს. დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობებით, ასევე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემების თანახმად (აღნიშნულზე არც მხარეები დავობენ), მამკვიდრებლის სახელია ა. და არა ბ.

21. 2009 წლის 13 მაისს გარდაცვლილ ა. ჩ-ის საკუთრებაში ირიცხებოდა პირველი უძრავი ქონება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა-დახასიათების შესაბამისად, ა. ჩ-ის სახელზე, ასევე, ირიცხებოდა მეორე უძრავი ქონება.

22. 2009 წლის 29 დეკემბერს ნოტარიუსმა რ. ფ-ამ გასცა სამკვიდრო მოწმობა, რეესტრის №..., რომლის თანახმად პირველი რიგის მემკვიდრეებმა – მოსარჩევეებმა მიიღეს 2009 წლის 13 მაისს გარდაცვლილი ა. ჩ-ის სამკვიდრო პირველი უძრავი ქონება (სამკვიდრო ქონების მემკვიდრეებს შორის გაყოფის შესახებ ა. ჩ-ის მემკვიდრეების შეთანხმების საფუძველზე), თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ცნობილ იქნენ მამკვიდრებლის მეუღლე და შვილი.

23. 2010 წლის 6 იანვარს აღნიშნული სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე პირველი უძრავი ქონება აღირიცხა მოსარჩელეთა თანასაკუთრებად.

24. 2011 წლის 12 დეკემბერს ქ. ქუთაისის მერიის „კახნიაურის“ ტერიტორიული ორგანოს მიერ გაიცა №662 ცნობა, რომ მამკვიდრებლის და ნამდვილად ცხოვრობდა მეორე უძრავ ქონებაში. ცნობა გაიცა ნოტარიუსთან წარსადგენად.

25. 2012 წლის 9 იანვარს ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცველმა ვ. ჭ-ძემ გასცა სამკვიდრო მოწმობა, რეესტრის №..., რომლის მიხედვით მეორე რიგის მემკვიდრემ – მამკვიდრებლის დამ საკუთრებაში მიიღო 2009 წლის 13 მაისს გარდაცვლილი ა. ჩ-ის სამკვიდრო ქონება, მასში შემავალი აქტივებითა და პასივებით, მათ შორის, მეორე უძრავი ქონება. ამავე სანოტარო აქტის თანახმად, სამკვიდროს გახსნის ადგილია პირველი უძრავი ქონების მისამართი, რაც დასტურდება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალა-

ქო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის სამსახურის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათით. მამკვიდრებლის და, რეგისტრაციის გარეშე, ცხოვრობს მეორე უძრავი ქონების მისამართზე, რაც დასტურდება ქუთაისის მერიის „კახნიაურის“ ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული №662 ცნობით. 2011 წლის 13 დეკემბერს შეტანილი მემკვიდრის განცხადებით სხვა მემკვიდრეები არ არსებობენ. მამკვიდრებლის და არის მამკვიდრებლის მეორე რიგის მემკვიდრე. აღნიშნული გარემოება დგინდება როგორც მამკვიდრებლის, ისე მისი დის დაბადების მოწმობებით.

26. 2012 წლის 26 მარტის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მეორე უძრავი ქონება აღირიცხა მამკვიდრებლის დის საკუთრებად, რომელმაც აღნიშნული უძრავი ნივთი მიჰყიდა ო. კ-ძეს, მან კი, თავის მხრივ, იგი გააჩუქა მ. და გ. კ-ძეების სახელზე. ამჟამად უძრავი ქონება ირიცხება დასაჩუქრებულთა თანასაკუთრებად.

27. 1999 წლის 21 ივნისს, ა. ა. ძე ჩ-ის მიერ შედგენილი და სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძით, მან კუთვნილი მეორე უძრავი ქონება უანდერძა თავის შვილს – მოსარჩელეს.

28. სააპელაციო სასამართლომ ნოტარიუსთა პალატის ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის მონაცემებით დაადგინა და მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა ის გარემოება, რომ სამემკვიდრეო რეესტრის მონაცემებში მამკვიდრებელ ა. ჩ-ის (პ/ნ ..., (გარდაცვალების თარიღი – 13.05.2009წ., მისამართი – ქ. თბილისი, ...)), სამკვიდროს მიღების/სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ განცხადების გადამოწმების შედეგად, იძებნება ინფორმაცია მხოლოდ რ. ფ-ას სანოტარო ბიუროს მიერ 2009 წლის 29 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობის შესახებ.

29. დავას არც ის ფაქტობრივი გარემოება ინვესს, რომ ნოტარიუსთა პალატის ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის მონაცემებით სამემკვიდრეო რეესტრის მონაცემებში მამკვიდრებელ ა. ჩ-ის (პ/ნ ..., (გარდაცვალების თარიღი – 13.05.2009წ., მისამართი – ქ. თბილისი, ...)), სამკვიდროს მიღების/სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ განცხადების გადამოწმების შედეგად, იძებნება ინფორმაცია მხოლოდ ა. ჯ-ძის სანოტარო ბიუროს მიერ 2012 წლის 9 იანვარს გაცემული სამკვიდრო მოწმობის შესახებ.

30. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ 2012 წლის 9 იანვარს ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელმა ვ. ჭ-ძემ მეორე რიგის მემკვიდრის სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემისას, ნოტარიუსთა პალატის ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალში მამკვიდრებელზე ინფორმაცია მოიძია სწორად (ზუსტი შესაბამისობით პირადობის მოწმობის მონაცემებთან) სახელ „ა. ს“ მითითებით, თუმცა, სამემკვიდ-

რეო რეესტრის მონაცემებში მამკვიდრებელ ა. ჩ-ძე, მის მემკვიდრეებზე (როგორც კანონით, ისე ანდერძით) რაიმე სახის ინფორმაცია ვერ მოიძებნა.

31. სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად, არასახელშეკრულებოდ მიიჩნევა ზიანი, რომელიც მიყენებული იყო ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში და ქმედება ატარებს მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, რაც გულისხმობს დადგენილი წესებისა თუ წინდახედულობის ნორმების უგულვებელყოფის შედეგად მხარისათვის მიყენებულ ქონებრივ დანაკლისს.

32. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით განსაზღვრულია ნოტარიუსის ქონებრივი პასუხისმგებლობა, რომლის თანახმად, ნოტარიუსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახმა ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ. ერთ-ერთ საქმეში, რომელიც შეეხებოდა სანოტარო მოქმედებათა შესრულების შედეგად ზიანის მიყენებისა და აქედან გამომდინარე, ნოტარიუსისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლის არსებობას (მდრ: სუსგ №ას-182-169-2015, 27 აპრილი, 2015 წელი; სუს 14.07.2014წ.-ის განჩინება საქმეზე №ას-375-352-2014) საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის დაკისრების მატერიალურ საფუძველს ქმნის სსკ-ის 992-ე მუხლი (დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების მარეგულირებელი ნორმა), რომელიც იმავდროულად განსაზღვრავს პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებს და შედგება შემდეგი კომპონენტების ერთობლიობისაგან: ზიანი, მიზეზშედეგობრივი კავშირი და ბრალი. იმისათვის, რომ პირს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, საჭიროა ერთდროულად არსებობდეს რამდენიმე პირობა, კერძოდ, ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, მართლწინააღმდეგობა გამოწვეული უნდა იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით, ქმედებას უნდა მოჰყვეს ზიანი, ქმედებასა და მიღებულ შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ამ პირობათა ერთობლიობა სავალდებულოა ზიანის იურიდიული შემადგენლობისათვის, ანუ დელიქტური ვალდებულების წარმოშობისათვის (გენერალური დელიქტი).

33. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ მოსარჩელებისათვის ზიანის მიყენებაში იკვეთება ნოტარიუსის ქმედების მართლწინააღმდეგობა, რაც მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია და, თავის მხრივ, მიუთითა, რომ „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს

კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ნოტარიატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ამავე კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედებას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ასრულებს ნოტარიუსი ფიზიკური ან იურიდიული პირის თხოვნით და მას აქვს იურიდიული შედეგი. სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს აქვს უდავო მტკიცებულებითი ძალა. სანოტარო მოქმედების შესრულების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წარდგინებით ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით. ამავე კანონის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების შესრულების დროს ნოტარიუსი და სხვა თანამდებობის პირი, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით ადგენენ იმ პირების ან მათი წარმომადგენლების ვინაობას, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას.

34. სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის პირველი მუხლის შესაბამისად, ეს ინსტრუქცია ადგენს სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესს. სანოტარო მოქმედების შემსრულებელი ყველა პირის (ნოტარიუსი, ნოტარიუსის შემცვლელი პირი, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა პირები) მიერ სანოტარო მოქმედება სრულდება წინამდებარე ინსტრუქციით დადგენილ წესით. ამავე ინსტრუქციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი ვალდებულია იყოს მიუკერძოებელი და სანოტარო მოქმედების შესრულებისას დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირის ან მათი წარმომადგენლის ვინაობა, უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა, ნების თავისუფალი გამოვლენის ნამდვილობა, სანოტარო მოქმედების მონაწილეს განუმარტოს მისი უფლებები და ვალდებულებები, გააფრთხილოს სანოტარო მოქმედების იურიდიული შედეგების შესახებ.

35. ამავე ინსტრუქციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი ადგენს საანოტარო მოქმედების მონაწილე ფიზიკური პირის პირადობას მის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით. საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტად მიიჩნევა საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობის მოწმობა ან სამშობლოში დაბრუნების დროებითი მოწმობა. დასაშვებია საანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობის დადგენა სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ერთიანი ნიმუშის ეროვნული ან საერთაშორისო მოწმობის საფუძველზე, რომელიც გაცემულია საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ... ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დასაშვებია საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მცხოვრები უცხოელის იდენტიფიცირება და პირადობის დადასტურება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზიდან შესაბამისი პირის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის მონაცემების გამოყენებით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ ნოტარიუსს ეჭვი ეპარება წარდგენილი დოკუმენტის წარმდგენისადმი კუთვნილებას, ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობა ეჭვს იწვევს, ნოტარიუსი ვალდებულია უარი თქვას საანოტარო მოქმედების შესრულებაზე. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი ვალდებულია საანოტარო აქტში მიუთითოს საანოტარო მოქმედების მონაწილეთა სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი, პირადი ნომერი.

36. ამავე ინსტრუქციის 33-ე მუხლის თანახმად, ნოტარიუსი, აგრეთვე საანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა პირი, ვალდებულია აწარმოოს საანოტარო რეესტრი, რომელშიც რეგისტრირდება მის მიერ შესრულებული ყველა საანოტარო მოქმედება, აგრეთვე დადგენილებები და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოქმედებები (აქტები). საანოტარო რეესტრი ინარმოვბა ელექტრონული ფორმით.

37. ინსტრუქციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საანოტარო რეესტრი ერთიანია მასში ჩართული ყველა ნოტარიუსისათვის. საანოტარო რეესტრი თავის თავში აერთიანებს ამ ინსტრუქციის 38-ე მუხლით გათვალისწინებულ რეესტრებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საანოტარო რეესტრში სავალდებულო წესით მიეთითება შემდეგი ინფორმაცია: ფიზიკური პირის შემთხვევაში: სახელი, გვარი, დოკუმენტში (პირადობის მოწმობა, ბინადრობის მოწმობა, სარეგისტრაციო მოწ-

მობა) მითითებული ან გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი, ხოლო საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის შემთხვევაში, აგრეთვე პირადი ნომერი.

38. ამავე ინსტრუქციის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი გასცემს სამკვიდრო მონმობას, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში იღებს ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, აღწერს სამკვიდრო ქონებას, ნიშნავს სამკვიდროს მმართველს.

39. ამავე ინსტრუქციის 77-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სამკვიდროს მიღების (სამკვიდრო მონმობის გაცემის), ან სამკვიდროს მიღებაზე უარის, ან სამკვიდროსთან დაკავშირებული სხვა შინაარსის შესახებ განცხადება შეიძლება შედგეს საჯარო ან კერძო აქტის ფორმით. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული განცხადება შეიძლება წარედგინოს ნებისმიერ ნოტარიუსს. განცხადების მიღების აუცილებელი პირობაა ნოტარიუსისათვის პირის გარდაცვალების მონმობის წარდგენა. გარდაცვალების მონმობის წარდგენა არ არის აუცილებელი, თუ ნოტარიუსთან უკვე ინახება იგი ან სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში უკვე რეგისტრირებულია მამკვიდრებლის სამკვიდროს გახსნის ფაქტი სხვა ნოტარიუსის მიერ.

40. ზემოთ მოხმობილი ნორმების სისტემური ანალიზის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ ერთმნიშვნელოვნად დაადგინა, რომ სანოტარო მოქმედების შესრულებისას (ამ შემთხვევაში, სამკვიდრო მონმობის გაცემისას), ნოტარიუსი/მისი შემცვლელი ვალდებული იყო, დაედგინა მამკვიდრებლის ზუსტი ვინაობა და სანოტარო რეესტრში მიეთითებინა მამკვიდრებლის ზუსტი სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დოკუმენტში (პირადობის მონმობა, ბინადრობის მონმობა, სარეგისტრაციო მონმობა) მითითებული ან გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი. შესაბამისად, სანოტარო რეესტრში სწორედ ამავე მონაცემებზე მითითებით უნდა მოექცნა ინფორმაცია მამკვიდრებლის მემკვიდრეების თაობაზე.

41. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2012 წლის 9 იანვარს ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელმა ვ. ჭ-ძემ მეორე რიგის მამკვიდრებლის დის სახელზე №... სამკვიდრო მონმობის გაცემისას, აბსოლუტურად სწორად დაადგინა მამკვიდრებელ ა. ჩ-ის მონაცემები – სახელი, გვარი, გარდაცვალების თარიღი, პირადი ნომერი, მისამართი (ზუსტი შესაბამისობით პირადობის მონმობის მონაცემებთან). ასევე დადგენილია და მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ აღნიშნული სამკვიდრო მონმობის გაცემისას ნოტარიუსის შემცვლელმა პირმა მის მიერ მოპოვებული სწორი მონაცემებით მოიძია ინფორმაცია ნოტარიუსთა პალატის ელექტრო-

ნული სერვისების ერთიან პორტალში, კერძოდ, სახელ „ა.ს“ მითითებით, თუმცა, სამემკვიდრეო რეესტრის მონაცემებში მამკვიდრებელ ა. ჩ-ძე – მის მემკვიდრეებზე (როგორც კანონით, ისე ანდერძით) რაიმე ინფორმაცია ვერ მოიძებნა.

42. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითებით, სრულიად ერთმნიშვნელოვანია, რომ მოპასუხე ნოტარიუსმა, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, აბსოლუტური სიზუსტით სწორად დაადგინა და მოიძია სამკვიდრო მონუმბის თაობაზე ინფორმაცია, შესაბამისად, მას „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი და „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქცია არ დაურღვევია. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ მოპასუხე მხარის მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ დადგინდა, რაც, თავის მხრივ, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებას გამოორიცხავს.

43. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის შედეგება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე მხარემ დააარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობა, რადგან იგი ვალდებული იყო, სანოტარო რეესტრში ინფორმაცია მოეძიებინა ასევე სახელი „ა.“, რის შედეგადაც მისთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა ინფორმაცია მამკვიდრებლის მემკვიდრეების თაობაზე. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, კანონი ნოტარიუსს ავალდებულებს ფიზიკური პირის ზუსტი მონაცემების დადგენას და ამავე მონაცემებით ხელმძღვანელობას, რაც მის მიერ ზედმინევნით სიზუსტით იქნა შესრულებული. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სხვა ნოტარიუსის მიერ სანოტარო რეესტრში მამკვიდრებლის სახელის არასრულად მითითება (სახელით – ა.) მოპასუხისათვის ვერ იქნებოდა განჭვრეტადი, რაც გამოორიცხავს მასზე პასუხისმგებლობის დაკისრებას.

44. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სადავო პერიოდში მოქმედ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 85-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი შეიძლება დადგინდეს შემდეგი გარემოებებითა და/ან დოკუმენტებით: საგადასახადო ორგანოს ცნობა, სადაზღვევო კომპანიის ცნობა, ბანკის ცნობა იმის შესახებ, რომ მემკვიდრემ შეასრულა მამკვიდრებლის შეუსრულებელი საგადასახადო და/ან სახელშეკრულებო ვალდებულებები, ან მემკვიდრემ გადაიხადა სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებასთან დაკავშირებული გადასახადები (მაგალითად, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი) და/ან სადაზღვევო შენატანები. ამათანავე, ეს ვალდებულებები შესრულებული უნდა იყოს სამკვიდროს მიღების ვადაში; დ)

კომუნალური მომსახურების გადასახადების დამადასტურებელი ცნობები, ან ქვითრები, თუ შესაძლებელია მათში მითითებული გადამხდელის იდენტიფიკაცია და ა.შ; და ე) სხვა საჯარო დოკუმენტებით.

45. სადავო პერიოდში მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს.

46. ამავე კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი). ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში რწმუნებული საქართველოს კანონმდებლობითა და დებულებით დადგენილი წესით მოქალაქეებზე გასცემს საქონლის ადგილწარმოშობის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ცნობებს.

47. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ლ. ჩ-მა 2012 წლის 9 იანვარს სამკვიდრო მონუმობის გაცემისას ნოტარიუსს წარუდგინა 2011 წლის 12 დეკემბერს ქ. ქუთაისის მერიის „კახნიაურის“ ტერიტორიული ორგანოს, ანუ უფლებამოსილი საჯარო მოხელის მიერ გაცემული №662 ცნობა, რომლის თანახმად დასტურდება, რომ მამკვიდრებლის და ნამდვილად ცხოვრობდა მეორე უძრავ ქონებაში. ცნობა გაიცა ნოტარიუსთან წარსადგენად. აპელანტი შეედავა წარდგენილ მტკიცებულებას იმ დასაბუთებით, რომ ცნობიდან არ ირკვეოდა მის მიერ სამკვიდროს 6-თვიან ვადაში დაუფლების ფაქტი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ცნობა საკმარისი იყო, რათა კანონის ზუსტი დაცვით მოძიებულ სხვა მონაცემებთან ერთად (რომლის შედეგად უტყუარად დადგინდა, რომ ა. ჩ-ს არ ყავდა სხვა მემკვიდრეები), ნოტარიუსს დაექვეაფლდებინა განმცხადებლის მოთხოვნა და შესრულებინა სათანადო სანოტარო მოქმედება – გაეცა სამკვიდ-

რო მოწმობა.

48. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 1319-ე, 1421-ე და 1424-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ა. ჩ-ი გარდაიცვალა 2009 წლის 13 მაისს, ხოლო აღნიშნული ცნობა გაიცა მისი გარდაცვლებიდან თითქმის 2 წლისა და 6 თვის შემდგომ. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ სსკ-ის 1424-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული ცნობიდან არ დგინდება ის გარემოება, რომ მამკვიდრებლის დამ დანაშაუთი სამკვიდრო მიიღო სამკვიდროს გახსნიდან უშუალოდ 6 თვის ვადაში, პალატამ მიიჩნია, რომ სხვა მემკვიდრეთა თაობაზე მონაცემთა არარსებობის ვითარებაში წარდგენილი ცნობა სრულიად საკმარისი და რელევანტური მტკიცებულება იყო იმისთვის, რათა ნოტარიუსს სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების ფაქტი დადგენილად მიეჩნია.

49. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელე მხარეს ამ მტკიცებულებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე და საერთოდ ამ მხრივ რაიმე სახის შედავება აღნიშნულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით სათანადო საპროცესო ეტაპზე არ (საქმის მიმდინარეობისას პირველი ინსტანციის სასამართლოში) განუხორციელებია და რაიმე პრეტენზია არ წარუდგენია. შესაბამისად, ამ კუთხით სამკვიდრო მოწმობის გაცემის კანონიერება შეფასებისა და კვლევის საგანი არ გამხდარა. ამდენად, სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას აღნიშნულ ფაქტზე შედავება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) 216-ე მუხლის თანახმად დაუშვებელია, შესაბამისად ეს შედავება სასამართლოს მიერ შეფასებას ვერ დაექვემდებარება.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

50. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელებმა წარადგინეს საკასაციო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება და მოპასუხისათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ 25 000 ლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით:

51. კასატორებმა მიუთითეს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რამაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. გადაწყვეტილების დასაბუთებულობა გულისხმობს გადაწყვეტილებაში ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებასა და სამართლებრივ შეფასებებზე მსჯელობას, რომლებზეც მხარე თავის მოთხოვნასა თუ შესაგებელს აფუძნებს. კონკრეტულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული იმ მოტივით, რომ სასამართლომ სრულყოფილად არ იმსჯელა იმ ფაქტობრივ თუ სა-

მართლებრივ გარემოებებზე, რაზედაც მხარე ამყარებდა თავის მოთხოვნას.

52. კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საქმე საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევით განიხილა, რომლებმაც მიღებული გადაწყვეტილების, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლობა განაპირობა. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეყრდნობა მტკიცებულებების და ფაქტობრივი გარემოებების არასწორ შეფასებასა და ინტერპრეტაციას.

53. კასატორების განმარტებით, სსსკ-ის მე-4, 102-ე, 103-ე მუხლების საფუძველზე სამართალწარმოებისას მხარის და, მით უფრო, მოპასუხის ფაქულტატური ვალდებულებაა, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დაადასტუროს სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობა/საფუძვლიანობა. მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება კი საქმის განხილვის უმთავრესი პრინციპია. სასამართლოს რომ არ დაერღვია შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპი, ფაქტების მტკიცების ტვირთი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გადაენაწილებინა სამართლიანად, მიიღებდა განსხვავებულ გადაწყვეტილებას.

54. სსსკ-ის 244-ე მუხლისა და 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მოსაზრებები, რომელიც საფუძველად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. მტკიცებულებათა შეფასება მოსამართლის შინაგანი რწმენით არ ნიშნავს სრულიად უანგარიშგებო დასკვნების გაკეთების უფლებას. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს მოსაზრებაზე, რის გამოც, მან ზოგიერთი მტკიცებულება უტყუარად ცნო, ხოლო სხვები – არასარწმუნოდ.

55. კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ გამოიყენა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქცია, თუმცა არასწორად განმარტა იგი. მოქმედი დანაწესიდან გამომდინარე, სანოტარო მოქმედების შესრულებისას (ამ შემთხვევაში, სამკვიდრო მონუმბის გაცემისას), ნოტარიუსი/მისი შემცვლელი ვალდებული იყო, დაედგინა მამკვიდრებლის ზუსტი ვინაობა და სანოტარო რეესტრში მიეთითებინა მამკვიდრებ-

ლის ზუსტი სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დოკუმენტში (პირადობის მოწმობა, ბინადრობის მოწმობა, სარეგისტრაციო მოწმობა) მითითებული ან გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი. შესაბამისად, სანოტარო რეესტრში სწორედ ამავე მონაცემებზე მითითებით უნდა მოეძებნა ინფორმაცია მამკვიდრებლის მემკვიდრეების თაობაზე.

56. კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა, რომ ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელმა ვ. ჭ-ძემ 09.01.2012წ. მეორე რიგის მემკვიდრის სახელზე №120014172 სამკვიდრო მოწმობის გაცემისას აბსოლუტურად სწორად დაადგინა მამკვიდრებელ ა. ჩ-ის მონაცემები – სახელი, გვარი, გარდაცვალების თარიღი, პირადი ნომერი, მისამართი (ზუსტი შესაბამისობით პირადობის მოწმობის მონაცემებთან).

57. კასატორები აღნიშნავენ, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელ ვ. ჭ-ძესთან წარდგენილ დოკუმენტებში მითითებულია მამკვიდრებლის პირადი ნომერი (იდენტიფიკაციის მთავარი საშუალება). ის ფაქტი, რომ ნოტარიუსის შემცვლელმა პირმა ინფორმაციის გადასამოწმებლად მხოლოდ პირადი ნომერი არ გამოიყენა, ან გამოიყენა სახელი და გვარი, ა.(ი) ჩ-ი და პირადი ნომერი ერთად, არ ნიშნავს, რომ მან სამკვიდრო მოწმობა გასცა „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დაცვით. ნოტარიუსს ჰქონდა შესაძლებლობა და ვალდებულებაც, მამკვიდრებლის შესახებ ინფორმაცია, ნოტარიუსთან პალატის სამემკვიდრო რეესტრის ვებ გვერდის საშუალებით, მოეძია მამკვიდრებლის როგორც სახელის, გვარისა და პირადი ნომრის, ასევე, მხოლოდ პირადი ნომრის მითითებითაც. ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსისთვის ცნობილი გახდებოდა 2009 წლის 29 დეკემბერს ნოტარიუს რ. ფ-ას მიერ შესრულებული სანოტარო აქტის არსებობის შესახებ, ვინაიდან მამკვიდრებლის ა.(ი) ჩ-ის შესახებ ინფორმაცია ნოტარიუსთან პალატის სამემკვიდრო რეესტრში დაცულია. დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ელექტრონულ ბაზებში პირის იდენტიფიკაციის მთავარი საშუალება არის პირადი ნომერი. იმის გათვალისწინებით, რომ ერთი და იგივე სახელითა და გვარით შესაძლებელია არსებობდეს არაერთი პირი, ნებისმიერ შემთხვევაში პირის გადამოწმება ხდება პირადი ნომრით.

58. კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.03.2010წ. №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 85-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, სამკვიდ-

როს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი შეიძლება დადგინდეს შემდეგი გარემოებებითა და/ან დოკუმენტებით: საგადასახადო ორგანოს ცნობა, სადაზღვევო კომპანიის ცნობა, ბანკის ცნობა იმის შესახებ, რომ მემკვიდრემ შეასრულა მამკვიდრებლის შეუსრულებელი საგადასახადო და/ან სახელშეკრულებო ვალდებულებები, ან მემკვიდრემ გადაიხადა სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებასთან დაკავშირებული გადასახადები (მაგალითად, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი) და/ან სადაზღვევო შენატანები. ამასთანავე, ეს ვალდებულებები შესრულებული უნდა იყოს სამკვიდროს მიღების ვადაში; დ) კომუნალური მომსახურების გადასახადების დამადასტურებელი ცნობები, ან ქვითრები, თუ შესაძლებელია მათში მითითებული გადამხდელის იდენტიფიკაცია და ა.შ; და ე) სხვა საჯარო დოკუმენტებით.

59. კასატორები არ ეთანხმებიან სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ 2012 წლის 23 იანვრამდე ინსტრუქციის 85-ე მუხლი ითვალისწინებდა ასევე „სხვა საჯარო დოკუმენტის“ წარდგენის შესაძლებლობას და ქუთაისის მერიის „კახნიაურის“ ტერიტორიული ორგანოს მიერ 2011 წლის 13 დეკემბერს ნოტარიუსთან წარსადგენად გაცემული ცნობა წარმოადგენს სწორედ ამ მუხლში მითითებულ სხვა საჯარო დოკუმენტს, რადგან ინსტრუქციის 85-ე მუხლში 2012 წლის 23 იანვრამდე არსებული ჩანაწერი შეუძლებელია გულისხმობდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემულ დოკუმენტს. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ინსტრუქციაში 2012 წლის 23 იანვარს განხორციელებული ცვლილებით 85-ე მუხლში „დ“ პუნქტის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული დოკუმენტი კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ, აგრეთვე ორდერი, სადაც ორდერში შეტანილ პირებში მითითებულია როგორც მამკვიდრებელი, ისე მემკვიდრე) დამატება. აქვე საგულისხმოა ის გარემოება, რომ ცვლილებების შედეგად „ე“ პუნქტი: „სხვა საჯარო დოკუმენტები“ დოკუმენტები მუხლში დარჩა და არ იქნა ამოღებული, რაც ცალსახად ნიშნავს, რომ ამ პუნქტებში მითითებული დოკუმენტები სხვადასხვაა.

60. კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად მიუთითა, რომ ქ. ქუთაისის მერიის „კახნიაურის“ ტერიტორიული ორგანოს №662 ცნობა ადასტურებდა მამკვიდრებლის დის მეორე უძრავ ქონებაში ცხოვრებას. აღნიშნულ ცნობაში მითითებულია არა „ცხოვრობდა“, არამედ „ცხოვრობს“, რაც ნიშნავს, რომ ცნობის თანახმად დასახელებული პირი ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 2011 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით და არა მანამდე პერიოდში.

61. კასატორები არ იზიარებენ სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ ნოტარიუსთა პალატის ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის მონაცემების მიხედვით, დადგინდა და არც მხარეთა შორის სადავოდ არ გამხდარა შემდეგი: სამემკვიდრეო რეესტრის მონაცემებში მამკვიდრებელ ა. ჩ-ის (პ/ნ ..., (გარდაცვალების თარიღი – 13.05.2009წ., მისამართი – ქ. თბილისი, ბ-ის ქ. №...)) სამკვიდროს მიღების/სამკვიდრო მონმობის გაცემის შესახებ განცხადების გადამონმების შედეგად იძებნება ინფორმაცია მხოლოდ რ. ფ-ას სანოტარო ბიუროს მიერ 2009 წლის 29 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მონმობის შესახებ. ნოტარიუსთა პალატის ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის მონაცემებით სამემკვიდრეო რეესტრის მონაცემებში მამკვიდრებელ ა. ჩ-ის (პ/ნ ..., გარდაცვალების თარიღი – 13.05.2009წ., მისამართი – ქ. თბილისი, ...) სამკვიდროს მიღების/სამკვიდრო მონმობის გაცემის შესახებ განცხადების გადამონმების შედეგად, იძებნება ინფორმაცია მხოლოდ ა. ჯ-ძის სანოტარო ბიუროს მიერ 2012 წლის 9 იანვარს გაცემული სამკვიდრო მონმობის შესახებ.

62. კასატორები საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნევენ, რომ ნოტარიუსთა პალატის ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის მონაცემებით სამემკვიდრეო რეესტრის მონაცემებში მამკვიდრებელ ა.(ი) ჩ-ის (პ/ნ ...) სამკვიდროს მიღების/სამკვიდრო მონმობის გაცემის შესახებ განცხადების გადამონმების შედეგად, იძებნება ინფორმაცია, როგორც რ. ფ-ას სანოტარო ბიუროს მიერ 2009 წლის 29 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მონმობის შესახებ, ასევე, ა. ჯ-ძის სანოტარო ბიუროს მიერ 2012 წლის 9 იანვარს გაცემული სამკვიდრო მონმობის შესახებ.

63. კასატორები არ ეთანხმებიან სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელმა ვ. ჭ-ძემ 2012 წლის 9 იანვარს მეორე რიგის მემკვიდრის სახელზე სამკვიდრო მონმობის გაცემისას ნოტარიუსთა პალატის ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალში მამკვიდრებელზე ინფორმაცია სწორად მოიძია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელ ვ. ჭ-ძესთან წარდგენილ დოკუმენტებში მითითებულია მამკვიდრებლის პირადი ნომერი (იდენტიფიკაციის მთავარი საშუალება). ის ფაქტი, რომ ნოტარიუსის შემცვლელმა პირმა ინფორმაციის გადასამონმებლად არ გამოიყენა მხოლოდ პირადი ნომერი, არ ნიშნავს იმას, რომ მის მიერ სამკვიდრო მონმობა გაიცა „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დაცვით. ნოტარიუსს ჰქონდა შესაძლებლობა და ვალდებულებაც, მამკვიდრებლის შესახებ ინფორმაცია ნოტარიუსთა პალატის სამემკვიდრეო რეესტრის ვებგვერდის საშუალებით მოეძიებინა მამკვიდრებ-

ლის როგორც სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითებით, ასევე, მხოლოდ პირადი ნომრის მითითებითაც. ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსისთვის ცნობილი გახდებოდა 2009 წლის 29 დეკემბერს ნოტარიუს რ. ფ-ას მიერ შესრულებული სანოტარო აქტის არსებობის შესახებ, ვინაიდან მამკვიდრებლის ა.(ი) ჩ-ის შესახებ ინფორმაცია ნოტარიუსთა პალატის სამემკვიდრეო რეესტრში დაცულია.

64. კასატორები არ იზიარებენ სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომლითაც არ დაეთანხმა მოსარჩელების შედავებას, რომ მოპასუხემ დაარღვია მისთვის დაკისრებული მოვალეობა, რადგან იგი ვალდებული იყო, სანოტარო რეესტრში ინფორმაცია მოეძიებინა ასევე სახელის „ა.“ მითითებით, რის შედეგადაც მისთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა ინფორმაცია მამკვიდრებლის მემკვიდრეების თაობაზე. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ნოტარიუსის მიერ იმ ვალდებულების დარღვევას, რომლის დაცვითაც მას რეესტრში ინფორმაცია უნდა გადაემოწმებინა, როგორც წესი, მხოლოდ პირადი ნომრით.

65. კასატორები მიუთითებენ, სააპელაციო პალატამ არასწორად არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია, რომ ნოტარიუსის შემცვლელი პირის მიერ მამკვიდრებლის შესახებ ინფორმაცია არ იქნა მოძიებული სრულყოფილად, ასევე სამკვიდრო მონუმობის გაცემისას ნოტარიუსი არ დაეყრდნო სამკვიდრო მონუმობის დროს მოქმედი ინსტრუქციის 85.1. მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, რამაც გამოიწვია არასწორი სანოტარო მოქმედების შესრულება. გაცემული სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე კი პირველი რიგის მემკვიდრეებმა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება დაკარგეს.

66. კასატორები აღნიშნავენ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2012 წლის 9 იანვარს ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელ ვ. ჭ-ძეს განცხადებით მიმართა მამკვიდრებლის დამ და მოითხოვა ძმის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონუმობის გაცემა. მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის ის გარემოება, რომ მამკვიდრებლის დას ძმის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში სამკვიდროს მიღების მოთხოვნით სანოტარო ორგანოსათვის განცხადებით არ მიუმართავს. ასევე დადგენილია, რომ მეორე რიგის მემკვიდრემ, განცხადებასთან ერთად, წარადგინა ძმის დაბადების და გარდაცვალების მოწმობები, ასევე ქუთაისის მერიის „კახნიაურის“ ტერიტორიული ორგანოს მიერ 2011 წლის 13 დეკემბერს ნოტარიუსთან წარსადგენად გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, მეზობლების დასტურით განმცხადებელი ცხოვრობს მეორე უძრავ ქონებაში. შესაბამისად, მამკვიდრებლის დას ნოტარიუსისათვის უნდა წარედგინა ინსტრუქციის 85.1. მუხლით განსაზღვრული გარემოებები და დოკუმენტები (2012 წლის 9 იანვარს მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად).

67. კასატორები მიუთითებენ, რომ სანოტარო მოქმედებათა შესახებ ინსტრუქციის თანახმად, მემკვიდრის მიერ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება, კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის თაობაზე, სავალდებულო გახდა ინსტრუქციაში 2012 წლის 23 იანვარს განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, ნოტარიუსის მიერ მეორე რიგის მემკვიდრეზე სამკვიდრო მონაწილის გაცემის შემდეგ.

68. კასატორები არ ეთანხმებიან სააპელაციო პალატის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ 2012 წლის 23 იანვრამდე ინსტრუქციის 85-ე მუხლი ითვალისწინებდა ასევე „სხვა საჯარო დოკუმენტის“ წარდგენის შესაძლებლობას და ქუთაისის მერიის „კახნიაურის“ ტერიტორიული ორგანოს მიერ 2011 წლის 13 დეკემბერს ნოტარიუსთან წარსადგენად გაცემული ცნობა წარმოადგენს სწორედ ამ მუხლში მითითებულ სხვა საჯარო დოკუმენტს, რადგან ინსტრუქციის 85-ე მუხლში 2012 წლის 23 იანვრამდე არსებული ჩანაწერი შეუძლებელია, გულისხმობდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემულ დოკუმენტს. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ინსტრუქციაში 2012 წლის 23 იანვარს განხორციელებული ცვლილებით 85-ე მუხლში „დ“ პუნქტის დამატება (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული დოკუმენტი კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ, აგრეთვე ორდერი, სადაც ორდერში შეტანილ პირებში მითითებულია როგორც მამკვიდრებელი, ისე მემკვიდრე). აქვე საგულისხმოა, რომ ცვლილებების შედეგად „ე“ პუნქტი: „სხვა საჯარო დოკუმენტები“ მუხლში დარჩა და არ იქნა ამოღებული, რაც ცალსახად ნიშნავს, რომ ამ პუნქტებში მითითებული დოკუმენტები სხვადასხვაა. მეტიც, იმ დაშვებითაც, რომ ქუთაისის მერიის „კახნიაურის“ ტერიტორიული ორგანოს მიერ 2011 წლის 13 დეკემბერს ნოტარიუსთან წარსადგენად გაცემული ცნობა ინსტრუქციის 85-ე მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტს წარმოადგენს, ნოტარიუსის შემცვლელ პირს მაინც არ ჰქონდა მამკვიდრებლის დის სახელზე სამკვიდრო მონაწილის გაცემის უფლება, რადგან აღნიშნული ცნობა ადასტურებს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ მეორე რიგის მემკვიდრე 2011 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით ცხოვრობს მეორე უძრავ ქონებაში. აღნიშნული ცნობით ვერანაირად ვერ დადასტურდება ის გარემოება, რომ მას სსკ-ის 1424-ე მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადა გაშვებული არ ჰქონდა. აღნიშნული ცნობით არ დასტურდება, რომ მამკვიდრებლის და ძმის გარდაცვალების შემდეგ კანონით დადგენილ ვა-

დაში ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას (სსკ-ის 1421-ე მუხლი).

69. კასატორები მიუთითებენ, რომ საქმეში წარდგენილ სადავო სამკვიდრო მონუმობას ერთვის მამკვიდრებლის დისა და ა.(ი) ჩ-ის დაბადების მონუმობები. იმ ფონზე, როცა დაბადების მონუმობებში დედის გრაფაში მითითებული სახელი სხვადასხვაა (პ-ო/პ-ია), ნოტარიუსს არანაირი ეჭვი არ გასჩენია და სამკვიდრო მონუმობა გასცა განცხადების შეტანის დღესვე – 2012 წლის 9 იანვარს.

70. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლის პირველი ქვეპუნქტის საფუძველზე, კასატორები არ ეთანხმებიან სააპელაციო პალატის დასაბუთებას, რომლითაც პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ მოსარჩელები სათვის ზიანის მიყენებაში იკვეთება ნოტარიუსის ქმედების მართლწინააღმდეგობა, რაც მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

71. კასატორები მიუთითებენ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნოტარიუსის შემცველი პირის მიერ მამკვიდრებლის შესახებ ინფორმაცია არ იქნა მოძიებული სრულყოფილად, ასევე, სამკვიდრო მონუმობის გაცემისას ნოტარიუსი არ დაეყრდნო სამკვიდრო მონუმობის დროს მოქმედი ინსტრუქციის 85.1. მუხლით დადგენილი მოთხოვნებს, რამაც გამოიწვია არასწორი სანოტარო მოქმედების შესრულება. გაცემული სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე კი პირველი რიგის მემკვიდრეებმა დაკარგეს საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე.

72. კასატორების მოსაზრებით, სამკვიდრო მონუმობა – სანოტარო აქტი №... შედგენილი და გაცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით. ნოტარიუსის ქმედება აქტის გამოცემისას უდავოდ მართლსაწინააღმდეგოა, რასაც მოჰყვა ზიანი, მოსარჩელე მხარემ დაკარგა უძრავი ქონება, რომელიც შემდგომ რამდენჯერმე გასხვისდა და დღეისათვის ამ ქონების მესაკუთრე კეთილსინდისიერი შემძენია, რის გამოც, ქონების დაბრუნების მოთხოვნით სამოქალაქო დავა (სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა, ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობა) უპერსპექტივოა. ნოტარიუსის ქმედება სანოტარო მოქმედების შესრულებისას ატარებდა მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, რაც გულისხმობს და მოიზარებს დადგენილი წესებისა თუ წინდახედულობის ნორმების უგულვებელყოფის შედეგად მხარისათვის მიყენებულ ქონებრივ დანაკლისს, რომელიც უნდა ანაზღაურდეს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კი, აღნიშნული ზიანის ანაზღაურების

ვალდებულება ეკისრება მოპასუხე ნოტარიუს ა. ჯ-ძეს, რომელსაც უფლება აქვს, ნოტარიუსის შემცვლელ პირს ვ. ჭ-ძეს რეგრესის წესით მოსთხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

73. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 26 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2022 წლის 23 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით. წინამდებარე საქმეზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2023 წლის 16 თებერვალს ჩატარდა ზეპირი მოსმენა და მხარეებს მიეცათ გონივრული დრო მორიგების მიაღწევად, თუმცა მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა.

74. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელეთა საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

75. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება). ვინაიდან მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ წინამდებარე განჩინების პპ: 20-28-ში მითითებული და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ, კერძოდ, დადგენილია, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2009 წლის 13 მაისს. დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობებით, ასევე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემების თანახმად, მამკვიდრებლის სახელია ა. და არა ა.

76. 2009 წლის 13 მაისს გარდაცვლილ ა. ჩ-ის საკუთრებაში ირიცხებოდა პირველი უძრავი ქონება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა-დახასიათების შესაბამისად, ა. ჩ-ის სახელზე, ასევე, ირიცხებოდა მეორე უძრავი ქონება.

77. თავდაპირველად, 2009 წლის 29 დეკემბერს ნოტარიუსმა რ. ფ-ამ გასცა სამკვიდრო მოწმობა, რეესტრის №..., რომლის თანახმად პირველი რიგის მემკვიდრეებმა – მოსარჩელებმა მიიღეს მამკვიდრებლის პირველი უძრავი ქონება. 2010 წლის 6 იანვარს პირ-

ველი უძრავი ქონება დარეგისტრირდა მოსარჩელეთა თანასაკუთრებად.

78. 2011 წლის 12 დეკემბერს ქ. ქუთაისის მერიის „კახნიაურის“ ტერიტორიულმა ორგანომ გასცა №662 ცნობა, რომ მამკვიდრებლის და ნამდვილად ცხოვრობდა მეორე უძრავ ქონებაში. ცნობა გაიცა ნოტარიუსთან წარსადგენად.

79. 2012 წლის 9 იანვარს ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელმა ვ. ჭ-ძემ გასცა სამკვიდრო მოწმობა, რეესტრის №..., რომლის მიხედვით მეორე რიგის მემკვიდრემ – მამკვიდრებლის დამ საკუთრებაში მიიღო 2009 წლის 13 მაისს გარდაცვლილი ა. ჩ-ის სამკვიდრო ქონება, მასში შეშავალი აქტივებითა და პასივებით, მათ შორის, მეორე უძრავი ქონება. მამკვიდრებლის და, რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობს მეორე უძრავი ქონების მისამართზე, რაც დასტურდება ქუთაისის მერიის „კახნიაურის“ ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული №662 ცნობით. 2011 წლის 13 დეკემბერს შეტანილი მემკვიდრის განცხადებით სხვა მემკვიდრეები არ არსებობენ. მამკვიდრებლის და არის მამკვიდრებლის მეორე რიგის მემკვიდრე. აღნიშნული გარემოება დგინდება როგორც მამკვიდრებლის, ისე მისი დის დაბადების მოწმობებით.

80. 2012 წლის 26 მარტის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მეორე უძრავი ქონება აღირიცხა მამკვიდრებლის დის საკუთრებად, რომელმაც აღნიშნული უძრავი ნივთი მიჰყიდა ო. კ-ძეს, მან კი, თავის მხრივ, იგი გააჩუქა მ. და გ. კ-ძეების სახელზე. ამჟამად უძრავი ქონება ირიცხება დასაჩუქრებულთა თანასაკუთრებად.

81. 1999 წლის 21 ივნისს, ა. ა. ძე ჩ-ის მიერ შედგენილი და სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძით, მან კუთვნილი მეორე უძრავი ქონება უანდერძა თავის შვილს – მოსარჩელეს.

82. განსახილველ შემთხვევაში, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, პალატის მსჯელობის საგანია სამკვიდრო მოწმობის – სანოტარო აქტი №... შედგენისა და გაცემისას ნოტარიუსის შემცვლელი პირის ქმედების კანონიერება.

83. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს

ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტორზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტორივინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა, გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

84. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტორივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტორივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანაცვლებზე მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

85. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტორივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოე-

ბები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

86. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც ამკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80.).

87. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს, იმ საკითხის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი [მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა]. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შემოანმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამოწმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წინამძღვარს. ამის

შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წანამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით).

88. სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში, მოსარჩელების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 3.6 (ნოტარიუსი პასუხს აგებს თავისი სამსახურებრივი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის), 22-ე (ნოტარიუსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახმა ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ), „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 78-ე მუხლის მე-5 ნაწილი (არ დაიშვება ერთი და იმავე მამკვიდრებლის სამემკვიდრეო საქმის წარმოება რამდენიმე სანოტარო ბიუროში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა), სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლები.

89. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

90. საკასაციო სასამართლოს მიერ არაერთ გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობის შემოწმებისას სასამართლო იკვლევს, რამდენად დგინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნის, ან მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარმატებას განაპირობებს. სასამართლო ვალდებულია,

განსაზღვროს მოთხოვნის ფარგლები (ისე რომ არ გასცდეს მას), მოძებნოს დავის მომწესრიგებელი შესატყვისი სამართლის ნორმა (სპეციალური ან ზოგადი წესი) დადადგინოს იმ გარემოებათა არსებობა/არარსებობა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც ამ ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ.

91. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონშებს გადანყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანია კასატორთა შედეგების საფუძვლიანობა.

92. კასატორები (მოსარჩელები) აღნიშნავენ, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა, რომ ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელმა ვ. ჭ-ძემ 09.01.2012წ. მეორე რიგის მემკვიდრის სახელზე №... სამკვიდრო მონუმბის გაცემისას აბსოლუტურად სწორად დაადგინა მამკვიდრებელ ა. ჩ-ის მონაცემები – სახელი, გვარი, გარდაცვალების თარიღი, პირადი ნომერი, მისამართი (ზუსტი შესაბამისობით პირადობის მონუმბის მონაცემებთან). კასატორის მითითებით, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელ ვ. ჭ-ძესთან წარდგენილ დოკუმენტებში მითითებულია მამკვიდრებლის პირადი ნომერი (იდენტიფიკაციის მთავარი საშუალება). ელექტრონულ ბაზებში პირის იდენტიფიკაციის მთავარი საშუალება არის პირადი ნომერი. ნოტარიუსს ჰქონდა შესაძლებლობა და ვალდებულება, მამკვიდრებლის შესახებ ინფორმაცია ნოტარიუსთა პალატის სამემკვიდრეო რეესტრის ვებ გვერდის საშუალებით, მოეძია მამკვიდრებლის მხოლოდ პირადი ნომრის მითითებითაც. ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსისთვის ცნობილი გახდებოდა 2009 წლის 29 დეკემბერს ნოტარიუს რ. ფ-ას მიერ შესრულებული სანოტარო აქტის არსებობის შესახებ, ვინაიდან მამკვიდრებლის ა.(ი) ჩ-ის შესახებ ინფორმაცია ნოტარიუსთა პალატის სამემკვიდრეო რეესტრში დაცულია. დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ელექტრონულ ბაზებში პირის იდენტიფიკაციის მთავარი საშუალება არის პირადი ნომერი. იმის გათვალისწინებით, რომ ერთი და იგივე სახელითა და გვარით შესაძლებელია არსებობდეს არაერთი პირი, ნებისმიერ შემთხვევაში პირის გადამოწმება ხდება პირადი ნომრით (იხ. საკასაციო საჩივარი, წინამდებარე განჩინების პ.57).

93. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორთა მიერ წარმოდ-

გენილია დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია (შე-
დავება).

94. საკასაციო სასამართლოს მიერ არაერთ გადაწყვეტილება-
შია აღნიშნული, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შე-
მოწმებისას სასამართლო იკვლევს, რამდენად დგინდება სამარ-
თლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, რომლე-
ბიც სასარჩელო მოთხოვნის, ან მოთხოვნის გამომრიცხველი შესა-
გებლის წარმატებას განაპირობებს. სასამართლო ვალდებულია,
განსაზღვროს მოთხოვნის ფარგლები (ისე რომ არ გასცდეს მას),
მოძებნოს დავის მომწესრიგებელი შესატყვისი სამართლის ნორმა
(სპეციალური ან ზოგადი წესი) დაადგინოს იმ გარემოებათა არსე-
ბობა/არარსებობა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც ამ ნორ-
მის გამოყენებისთვის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ.

95. განსახილველ საქმეში, რამდენადაც მხარეებს შორის სადა-
ვო მამკვიდრებლის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე სანოტარო აქ-
ტის – სამკვიდრო მონუმობის გაცემის კანონიერება, საკასაციო პა-
ლატა ყურადღებას გაამახვილებს შესაბამის საკანონმდებლო და-
ნაწესებზე:

96. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის)
1306.1. მუხლის თანახმად, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის)
ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდე-
ბა კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. სსკ-ის 1319-ე
მუხლის თანახმად, სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების ან
სასამართლოს მიერ გარდაცვლილად მისი გამოცხადების შედეგად.
სსკ-ის 1499-ე მუხლის თანახმად, მემკვიდრეებად მოწვეულ პი-
რებს შეუძლიათ სანოტარო ორგანოსაგან მოითხოვონ სამკვიდრო
მონუმობა. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამკვიდრო
მონუმობის მიღება სავალდებულოა.

97. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი
მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნოტარიატი არის საჯარო სა-
მართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა სახელმწიფოს მიერ
დადგენილ ფარგლებში პირებს შორის სამართლებრივი ურთიერ-
თობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. ამავე კანო-
ნის მე-2 მუხლის თანახმად, ნოტარიატის საქმიანობის სამართლებ-
რივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი, სა-
ქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები
და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე
ნორმატიული აქტები. ამავე კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად,
სანოტარო მოქმედებას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვე-
ვებში ასრულებს ნოტარიუსი ფიზიკური ან იურიდიული პირის
თხოვნით და მას აქვს იურიდიული შედეგი. სანოტარო წესით და-

მოწმებულ დოკუმენტს აქვს უდავო მტკიცებულებითი ძალა. სა-
ნოტარო მოქმედების შესრულების წესი განისაზღვრება ინსტრუქ-
ციით, რომელსაც საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წარდგი-
ნებით ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი საქართველოს კანონმდებ-
ლობით დადგენილი წესით.

98. სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს იუსტიციის მი-
ნისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული
„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქ-
ციის პირველი მუხლის შესაბამისად, ეს ინსტრუქცია ადგენს სა-
ნოტარო მოქმედებათა შესრულების წესს. სანოტარო მოქმედების
შემსრულებელი ყველა პირის (ნოტარიუსი, ნოტარიუსის შემცვლე-
ლი პირი, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში სანოტარო
მოქმედების შემსრულებელი სხვა პირები) მიერ სანოტარო მოქმე-
დება სრულდება წინამდებარე ინსტრუქციით დადგენილი წესით.
ამავე ინსტრუქციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნ-
ქტის თანახმად, სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარი-
უსი ვალდებულია იყოს მიუკერძოებელი და სანოტარო მოქმედე-
ბის შესრულებისას დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილე
ფიზიკური და იურიდიული პირის ან მათი წარმომადგენლის ვინაო-
ბა, უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა, ნების თავისუფალი გა-
მოვლენის ნამდვილობა, სანოტარო მოქმედების მონაწილეს განუ-
მარტოს მისი უფლებები და ვალდებულებები, გააფრთხილოს სა-
ნოტარო მოქმედების იურიდიული შედეგების შესახებ. ამავე ინ-
სტრუქციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარი-
უსი ადგენს სანოტარო მოქმედების მონაწილე ფიზიკური პირის
პირადობას მის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი
დოკუმენტის მეშვეობით. საქართველოს მოქალაქის პირადობის
დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტად მიიჩნევა საქართველოს
მოქალაქის პასპორტი, პირადობის მოწმობა ან სამშობლოში დაბ-
რუნების დროებითი მოწმობა. დასაშვებია სანოტარო მოქმედების
მონაწილის პირადობის დადგენა სატრანსპორტო საშუალების მარ-
თვის მოწმობის ერთიანი ნიმუშის ეროვნული ან საერთაშორისო
მოწმობის საფუძველზე, რომელიც გაცემულია საქართველოს შე-
საბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ... ამავე მუხლის მე-2
პუნქტის თანახმად, დასაშვებია საქართველოს მოქალაქის ან სა-
ქართველოში მცხოვრები უცხოელის იდენტიფიცირება და პირა-
დობის დადასტურება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიუ-
ლი პირის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მო-
ნაცემთა ბაზიდან შესაბამისი პირის პირადობის (ბინადრობის) მოწ-
მობის მონაცემების გამოყენებით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თა-

ნახმად, თუ ნოტარიუსს ეჭვი ეპარება წარდგენილი დოკუმენტის წარმდგენისადმი კუთვნილებაში, ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობა ეჭვს იწვევს, ნოტარიუსი ვალდებულია უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო აქტში მიუთითოს სანოტარო მოქმედების მონაწილეთა სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი, პირადი ნომერი. ამავე ინსტრუქციის 33-ე მუხლის თანახმად, ნოტარიუსი, აგრეთვე სანოტარო მოქმედების შესრულებელი სხვა პირი, ვალდებულია აწარმოოს სანოტარო რეესტრი, რომელშიც რეგისტრირდება მის მიერ შესრულებული ყველა სანოტარო მოქმედება, აგრეთვე დადგენილებები და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოქმედებები (აქტები). სანოტარო რეესტრი ინარმოება ელექტრონული ფორმით. ინსტრუქციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სანოტარო რეესტრი ერთიანია მასში ჩართული ყველა ნოტარიუსისათვის. სანოტარო რეესტრი თავის თავში აერთიანებს ამ ინსტრუქციის 38-ე მუხლით გათვალისწინებულ რეესტრებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სანოტარო რეესტრში სავალდებულო ნესით მიეთითება შემდეგი ინფორმაცია: ფიზიკური პირის შემთხვევაში: სახელი, გვარი, დოკუმენტში (პირადობის მოწმობა, ბინადრობის მოწმობა, სარეგისტრაციო მოწმობა) მითითებული ან გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი, ხოლო საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის შემთხვევაში, აგრეთვე პირადი ნომერი. ამავე ინსტრუქციის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი გასცემს სამკვიდრო მოწმობას, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში იღებს ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, აღწერს სამკვიდრო ქონებას, ნიშნავს სამკვიდროს მმართველს.

99. ამავე ინსტრუქციის 77-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სამკვიდროს მიღების (სამკვიდრო მოწმობის გაცემის), ან სამკვიდროს მიღებაზე უარის, ან სამკვიდროსთან დაკავშირებული სხვა შინაარსის შესახებ განცხადება შეიძლება შედგეს საჯარო ან კერძო აქტის ფორმით. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული განცხადება შეიძლება წარედგინოს ნებისმიერ ნოტარიუსს. განცხადების მიღების აუცილებელი პირობაა ნოტარიუსისათვის პირის გარდაცვალების მოწმობის წარდგენა. გარდაცვალების მოწმობის წარდგენა არ არის აუცილებელი, თუ ნოტარიუსთან უკვე ინახება იგი ან სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში უკვე რეგისტრირებულია მამკვიდრებლის სამკვიდროს გახსნის ფაქტი სხვა ნოტარიუსის მიერ.

100. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ 2012 წლის 09 იანვარს, ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელ პირს, ვ. ჭ-ძეს განცხადებით მიმართა ლ. ჩ-მა, რომელმაც მოითხოვა ძმის – 2009 წლის 13 მაისს გარდაცვლილი ა. ჩ-ის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონაწილის გაცემა. უდავო გარემოებაა, რომ ლ. ჩ-ს ასეთი განცხადება მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში, არ გაუკეთებია. ლ. ჩ-ის მიერ, განცხადებასთან ერთად წარდგენილი იქნა მამკვიდრებლის დაბადების და გარდაცვალების მონაწილეები, ასევე, ქუთაისის მე-რიის კახნიაურის ტერიტორიული ორგანოს მიერ 2011 წლის 13 დეკემბერს ნოტარიუსში წარსადგენად გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, მეზობლების დასტურით ლ. ჩ-ი ცხოვრობს ქ. ქუთაისში, ... №15/2-ში.

101. 2012 წლის 9 იანვარს, ნოტარიუს ა. ჯ-ძის შემცვლელი პირის ვ. ჭ-ძის მიერ, ა. ჩ-ის მეორე რიგის მემკვიდრეზე, ლ. ჩ-მე გაიცა სამკვიდრო მონაწილეობა, რომლის საფუძველზე ლ. ჩ-მა საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონება, მათში შემავალი აქტივებით და პასივებით, მათ შორის უძრავი ქონება, მდებარე ქ. ქუთაისში, ... და ... პირველი შესახვევი №15/2-ში. ინფორმაცია რეგისტრირებულია სამემკვიდრეო საქმეთა რეესტრში. სამკვიდრო მონაწილის საფუძველზე, უძრავი ქონება აღირიცხა ლ. ჩ-ის საკუთრების უფლებით.

102. საკასაციო პალატა საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო სამკვიდრო მონაწილეობა – №... სანოტარო აქტი, ლ. ჩ-მე გაცემული იქნა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

103. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

104. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანასკნელის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს.

105. მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი – ამ ტიპის შეპასუხების დროს მოპასუხე არ ეთანხმება მოთხოვნის საფუძვლად მითითებულ ფაქტებს (მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს), შეაბამისად, თუ მოსარჩელე ვერ დაამტკიცებს სადავო (დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე) გარემოებებს, სარჩელი არ დაკმაყოფილება. სარჩელის წარმატება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის (დამფუძნებელი ნორმა) წინაპირობების მითითება/დადასტურებაზეა დამოკიდებული, ასეთი შედეგების დროს მოპასუხე სადავოდ ხდის სწორედ მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს, უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოთხოვნის არსებობას გამორიცხავენ, საკმარისია მოპასუხის მხრიდან თუნდაც ერთი წინაპირობის გამორიცხვა, რომ სარჩელის წარმატებას საფრთხე შეექმნას.

106. შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიციური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“. (შდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ.შმიტი, ჰ.რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.) კვალიფიციურ შედავებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი

მოსხენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედაგება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

107. მოსამართლეს დავის გადასაწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა წარდგენაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეებს. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედაგება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედაგების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედაგებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემა ც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად მოსამართლე ასე უწყვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე.

108. განსახილველ შემთხვევაში, კასატორთა (მოსარჩელეთა) პრეტენზიას, რომ სადავო სამკვიდრო მონაწილეობა – სანოტარო აქტი გაცემულია კანონის დარღვევით, მოპასუხე არ დაეთანხმა იმ დასაბუთებით, რომ მის მიერ მამკვიდრებლის შესახებ ინფორმაცია სამემკვიდრეო და ანდერძების ერთიან ელექტრონულ რეესტრში გადამოწმდა, როგორც მამკვიდრებლის სახელით და გვარით, ასევე, სახელის გვარის და პირადი ნომრის მითითებით და შესაბამისად, მოპასუხე მოქმედებდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

109. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოპასუხე ნოტარიუსის შე-

დავების საფუძვლიანობას შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით აღიარებული და უზრუნველყოფილია პირის სამართლებრივი მდგომარეობები, მათ შორის, ლეგიტიმური იდენტიფიცირების უფლება, საშუალებები და მეთოდები. პირის იდენტიფიცირების სამართლებრივი გარდაუვალობა განუყოფელია ადამიანის არსებობისა და სიცოცხლისუნარიანობისთვის, რაც გამოხატულებას პირებს მის სამართალსუბიექტობაში. პირის სამართლებრივი იდენტიფიცირება არის განმსაზღვრელი საქართველოს ძირითადი კანონით და ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოში აღიარებული და გარანტირებული ქმედითობის უზრუნველყოფის უფლებებში და საკუთარ ინტერესებში სრულყოფილად გამართლებისთვის. ასეთი ინსტიტუტი იძლევა ერთგვარ გარანტიას პირზე ვრცელდებოდეს სახელმწიფოების მიერ აღიარებული ადამიანური ღირებულებების თანმდევი სიკეთეები.

110. საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქის პირადობის (ბინადრობის) მოწმობა ორგვერდიანია, იბეჭდება და ივსება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე აფხაზურ ენაზე. მე-3 პუნქტის თანახმად, პირადობის მოწმობის რეკვიზიტებია: ა) სახელი; ბ) გვარი; გ) დაბადების თარიღი; დ) დაბადების ადგილი; ე) პირადი ნომერი; ვ) ფოტოსურათი, რომელსაც უნდა დაესვას სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის გერბიანი ბეჭედი; ზ) პირადი ხელმოწერა; თ) მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება; ი) სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა; კ) რელიგიური ბეჭედი; ლ) მოწმობის გაცემის თარიღი; მ) მოწმობის მოქმედების ვადა. ნ) მისამართი. ო) რეგისტრაციის თარიღი (იხ. სუსგ №ბზ-1073-1067(კ-17), 19 აპრილი, 2018 წელი).

111. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის, ასევე „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 1¹-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პირადი ნომერი არის პირის უნიკალური საიდენტიფიკაციო მონაცემი, რომლის შეცვლა დაუშვებელია, საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

112. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის მი-

ნისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის (შემდეგ „ინსტრუქცია“) თანახმად, საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ უზრუნველყო სამემკვიდრეო საქმეთა და ანდერძების ერთიანი ელექტრონული რეესტრების შექმნა. სანოტარო მოქმედების შემსრულებელი ყველა პირის (ნოტარიუსი, ნოტარიუსის შემცვლელი პირი, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა პირები) მიერ სანოტარო მოქმედება სრულდება „ინსტრუქციით“ დადგენილი წესით. „ინსტრუქციის“ 8.1. მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, ნოტარიუსს ავალდებულებს სანოტარო მოქმედების შესრულებისას დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირის ან მათი წარმომადგენლის ვინაობა, უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა და სხვა... „ინსტრუქციის“ 78.5. მუხლის თანახმად, არ დაიშვება ერთი და იმავე მამკვიდრებლის სამემკვიდრეო საქმის წარმოება რამდენიმე სანოტარო ბიუროში...”

113. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2012 წლის 9 იანვარს ნოტარიუსს (ნოტარიუსის შემცვლელი პირი) ჰქონდა შესაძლებლობა და ვალდებულებაც მამკვიდრებლის შესახებ ინფორმაცია, ნოტარიუსთა პალატის სამემკვიდრეო რეესტრის ვებ გვერდის საშუალებით, მოეძიებინა მამკვიდრებლის როგორც სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითებით, ასევე, მხოლოდ პირადი ნომრის მითითებითაც, რომელ შემთხვევაშიც ცხადი გახდებოდა 2009 წლის 29 დეკემბერს ნოტარიუს რ. ფ-ას მიერ შესრულებული სანოტარო აქტის არსებობის შესახებ, ვინაიდან მამკვიდრებლის ა.(ი) ჩ-ის შესახებ ინფორმაცია ნოტარიუსთა პალატის სამემკვიდრეო რეესტრში დაცულია.

114. საკასაციო პალატა კასატორების პრეტენზიების ფარგლებში ყურადღებას გაამახვილებს აგრეთვე, რომ „ინსტრუქციის“ IX თავი განსაზღვრავს სამემკვიდრეო საქმის წარმოების წესს. აღნიშნული წესიდან სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დავის წარმოშობისას მოქმედი რედაქციით სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტების დამდგენი დოკუმენტების ჩამონათვალზე (მუხლი 85).

115. როგორც ეს წინამდებარე განჩინებითაა დადგენილი, მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2009 წლის 13 მაისს, მეორე რიგის მემკვიდრემ – დამ ლ. ჩ-მა, ნოტარიუსს მიმართა 2012 წლის 9 იანვარს სამკვიდროს მისაღებად 6 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, შესაბამისად, ლ. ჩ-ს ნოტარიუსისთვის უნდა წარედგინა ინსტრუქციის 85.1. მუხლით განსაზღვრული გარემოებები და დოკუმენტები (2012 წლის 09 იანვარს მოქმედი რედაქციის შესაბამისად).

116. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 2012 წლის 09 იანვარს ლ. ჩ-ის მიერ, განცხადებასთან ერთად წარდგენილი იქნა ა. ჩ-ის დაბადების და გარდაცვალების მოწმობები, ასევე ქუთაისის მერიის კახნაურის ტერიტორიული ორგანოს მიერ 2011 წლის 13 დეკემბერს ნოტარიუსთან წარსადგენად გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, მეზობლების დასტურით ლ. ჩ-ი ცხოვრობს ქ. ქუთაისში, ... ქუჩა №15/2-ში.

117. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ინსტრუქციის“ თანახმად, მემკვიდრის მიერ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის თაობაზე, სავალდებულო გახდა „ინსტრუქციაში“ 2012 წლის 23 იანვარს განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, ნოტარიუსის მიერ მეორე რიგის მემკვიდრეზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის შემდეგ.

118. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ნოტარიუსის შემცვლელი პირის მიერ მამკვიდრებლის შესახებ ინფორმაცია არ იქნა მოძიებული სრულყოფილად, ასევე სამკვიდრო მოწმობის გაცემისას ნოტარიუსი არ დაეყრდნო სამკვიდრო მოწმობის დროს მოქმედი „ინსტრუქციის“ 85.1. მუხლით დადგენილი მოთხოვნებს, რამაც გამოიწვია არასწორი საწარმოო მოქმედების შესრულება, გაცემული სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე კი პირველი რიგის მემკვიდრეებმა დაკარგეს საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე.

119. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში წარმოშობილია მოსარჩევეების სასარგებლოდ მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობები.

120. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით განსაზღვრულია ნოტარიუსის ქონებრივი პასუხისმგებლობა, რომლის თანახმად, ნოტარიუსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახმა ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ.

121. სკ-ის 992-ე მუხლი დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების აუცილებელ წინაპირობებად განიხილავს ზიანს, მართლსაწინააღმდეგო, ბრალულ ქმედებასა და მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ანუ მოვალის ქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო, არამედ ზიანი უნდა იყოს ამ ქმედებით გამოწვეული მოქმედების უშუალო შედეგი.

122. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ ნოტარიუსის შემცვლელი პირის მიერ, 2012

წლის 9 იანვარს სამკვიდრო მონუმობის გაცემისას სანოტარო მოქმედება შესრულდა „ინსტრუქციით“ დადგენილი წესის დარღვევით, ასევე ნოტარიუსის შემცვლელი პირის მიერ მამკვიდრებლის შესახებ ინფორმაცია სათანადოდ არ იქნა მოძიებული სამემკვიდრეო და ანდერძების ერთიან ელექტრონულ რეესტრში. აღნიშნული ქმედებით კი მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვდრეებს (მოსარჩელებებს) მიაღვათ ზიანი, რისი ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მოპასუხე ნოტარიუსს.

123. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით.

124. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების საფუძველია, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

125. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ გამორიცხა მოპასუხე ნოტარიუსის ბრალეულობა სადავო სამკვიდრო მონუმობის გაცემისას, ამიტომაც საერთოდ არც კი იმსჯელა მიყენებული ზიანის ოდენობაზე. აღნიშნული კი მოითხოვს საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასების საფუძველზე, ზიანის ოდენობის კვლევასა და დადგენას, რის სამართლებრივ შესაძლებლობასაც საკასაციო პალატა სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, მოკლებულია.

126. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვე-

ტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად უნდა განსაზღვროს მოსარჩელეთათვის მიყენებული ზიანის ოდენობა.

127. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ (სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულის ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით), რომ ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და,

და ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ჩ-ნის და გ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge